ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 თებერვალი **ხუთშაბათი** 2011
№ 032 (13 329) ფასი 60 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავიმარჯვეთ, გავიხარეთ, მაგრამ საფიქრალიც დაგვრჩა



# ასე აპირებთ ხორვატებთან თამაშს?

2



ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

ამხანაგური მატჩი

# გვიხარია და ვფრთხილობთ

09.02. კვიპროსი. ლიმასოლი. ცირიონი. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 2 |
| სომხეთი | 1 |

1:0 იაშვილი (22, კობიაშვილის პასით), 2:0 სირაძე (34), 2:1 მანუჩარიანი (67, პენალტით).

საქართველო: ლორია (46. რევიშვილი)-სალუქვაძე, ხუბუტია, კალაძე (46. ამისულაშვილი), კობიაშვილი (46. კვირკველია)-დაუშვილი, ხიზანიშვილი (57. კაკუბავა)-იაშვილი (50. მერებაშვილი), ანანიძე, გოგუა (46. ვაწაძე)-სირაძე.

*სათადარიგოები: კანკავა, გ. კაშია*

სომხეთი: კასპაროვი (46. ს. კაზარიანი)-ოვსეფიანი, მკოიანი, არაქელიანი (46. იუზბაშიანი), აირაპეტიანი-არტაკ ედიგარიანი, მხითარიანი-მალაქიანი, პიზელი, გ. კაზარიანი-მანუჩარიანი (84. ალექსანიანი).

*სათადარიგო: არტურ ედიგარიანი.*

გაფრთხილება: ხუბუტია (31), კვირკველია (65), მანუჩარიანი (80), რევიშვილი (86).

არბიტრი: ვ. ანასტასიუ (კვიპროსი)

## გაორებული შთაბეჭდილება

...საქართველოს ნაკრების წაუგებელი სერია გრძელდება: **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით ჩვენმა უპირველესმა გუნდმა უკვე 9 მატჩი ჩაატარა და ფრედ დასრულებული ხუთი შეხვედრის გარდა ოთხი გამარჯვებითაც ვხარობთ; რა თქმა უნდა, ამხანაგურ მატჩში წარმატებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს, მაგრამ, მოდი, ნურც იმ დროს დავივიწყებთ (თანაც, არცთუ შორეულ წარსულს ვგულისხმობთ), როცა საქართველოს ნაკრები წელიწადნახევრის განმავლობაში გამარჯვებას ვერ ახერხებდა; არც იმას დავმალავთ, რომ, შესაძლოა, გუშინდელმა მატჩმა (განსაკუთრებით კი, მეორე ტაიმმა) ქართველ გულშემატკივრებში, ცოტა არ იყოს, გაორებული შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ პრინციპულ მეტოქესთან მოგებასაც „სხვა“ ფასი აქვს და, რაც მთავარია, თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, უახლოეს ოფიციალურ პაექრობამდე კიდევ ბევრი „რალაცის“ გამოსწორება შეიძლება. მით უფრო, რომ ეს უახლოესი მატჩი მეტად და მეტად სერიოზულ და ძლიერ მეტოქესთან გვაქვს და გუშინდელ მატჩში (განსაკუთრებით — მეორე ტაიმში) თუ მეტოქის შემტევები ჩვენი უკანახაზელთა (გნებავთ, შუახაზელთა) შეცდომებით ვერ სარგებლობდნენ, ხორვატთა ვარსკვლავები (**ლუკა მოდრიჩი, ნიკო კრანჩარი, მლადენ პეტრიჩი, დარიო სრნა**) ნამდვილად არაფერს გვაპატიებენ. ჩვენი ფორვარდების პასიურობაც კარგს არაფერს მოგვიტანს — მეორე ტაიმის ბოლოს **ჯანო ანანიძეს** ჩვეული ოსტატობით ორჯერ სიტუაცია რომ არ გაემწვავებინა, ვიტყოდით, შეხვედრის ამ მონაკვეთში საერთოდ არ შეგვიტევიაო. მოკლედ, მიუხედავად გამარჯვებისა და წაუგებელი სერიის გაგრძელებისა (თანაც, პრინციპულ მეტოქესთან), გუშინდელმა მატჩმა არაერთი კითხვის ნიშანიც დაგვიტოვა; კიდევ ვიმეორებთ: საბედნიეროდ, ყველაფერი ეს ამხანაგურ მატჩში გამოჩნდა და გარკვეული კომპონენტების გამოსწორებისათვის თემურ ქეცბაიას თვე-ნახევარი მაინც რჩება; მაგრამ, სომხეთთან მოგებულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვაყენა ერთობ მწარე რეალობის წინაშე: ქართულ ფეხბურთში კვალიფიციური შემსრულებლების და, საერთოდ, ადამიანური რესურსის დეფიციტია! თუმცა, ეს ნამდვილად არახალი ამბავია და ამ პრობლემის მოგვარებას უმოკლეს დროში ვერც თემურ ქეცბაია და ალბათ, ვერც ვერავინ მოახერხებს...

...არანაკლებ სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ნაკრების სტაჟიან წევრებს ღირსეული შემცვლელები არა ჰყავთ; აი, გავიდნენ მოედნიდან **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი** და... ყველანაირი (ტერიტორიული, სათამაშო და ასე შემდეგ) უპირატესობაც მეტოქის მხარეს გადავიდა! რა თქმა უნდა, ნურც ის ფაქტორი დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობისთვის სეზონი არ დაწყებულა (ან - არ განახლებულა) და აქედან გამომდინარე, ოპტიმალურ ფორმაშიც, შესაძლოა, ვერ ყოფილიყვნენ; საკადრო პრობლემებსაც გვერდს ვერ ავუვლით: ტრავმირებულებს, **ლადო დვალიშვილსა** და **სანდრო გურულს** ვგულისხმობთ; ალარაფერს ვამბობთ... **მალხაზ ასათიანზე**, ვინც ამჯერად უკლუბოდ კი არის, მაგრამ, ჩვენი სუბიექტური აზრით, გუშინდელი მატჩის მონაწილე მუდმივი პრაქტიკის მქონე ბევრ ჩვენს ფეხბურთელს, ალბათ, აჯობებდა კიდეც. თუმცა, მოდი, ისიც ვთქვათ, რომ ჩვენს გუშინდელ მეტოქეებსაც არანაკლები პრობლემები ჰქონდათ: საკადროც და ისიც, რომ წამყვანი მოთამაშეებისათვის ჯერ სეზონი არ დაწყებულა...

... შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს კიდეც: მოგებული მატჩის შემდეგ, ცოტა არ იყოს, პესიმისტურ განწყობას თუ „ამოიკითხავს“ ჩვენს სიტყვებში; მაგრამ, სჯობს, ამხანაგურ მატჩებში დავინახოთ უამრავი პრობლემა, ვიდრე - ოფიციალურ შეხვედრებში. თუმცა, მთლად კრიტიკულიც ნამდვილად ვერ ვიქნებით: იმ წაუგებელი სერიისა და ჩვენი ვეტერანების (დროა, ახალგაზრდა თაობამაც მიბაძოს) ჯიგრიანი თამაშის გარდა, სხვა დადებითი ფაქტორებიც იყო; ბოლოს და ბოლოს, ალბათ, საბოლოოდ გადაიჭრა კვალიფიციური მეკარ(ეებ)ის პრობლემა: **გიორგი ლორიამაც** (პირველ ტაიმში) და **ნუკრი რევიშვილმაც** უშეცდომოდ და, რაც მთავარია, დამაჯერებლად იასპარეზეს; ალარაფერს ვამბობთ ქართული ფეხბურთის ამ ეტაპისათვის, ალბათ, ერთადერთ იმედზე — ჯანო ანანიძეზე...

## ოპტიმალური შემადგენლობა

ქართველმა გულშემატკივარმა გუშინდელი მატჩის ტელერეპორტაჟი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მეშვეობით იხილა და თითოეულ ეპიზოდზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით; თუმცა შეხვედრის დასამახსოვრებელ მომენტებს გვერდს ვერ ავუვლით, ისე როგორც ჩვენი ნაკრების ტაქტიკურ განლაგებას.

გუშინდელ შეხვედრამდე საქართველოს ნაკრებს ბოლო მატჩი 17 ნოემბერს, სლოვენიის ნაკრებთან ჰქონდა ჩატარებული და იმ თამაშთან შედარებით ჩვენი გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად რომ შეიცვლებოდა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდებოდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სლოვენიელების წინაალმდეგ თემურ ქეცბაიამ ნაწილობრივ, ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა; აი, გუშინდელ მატჩში კი ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს საექსპერიმენტოდ ნამდვილად არ ეცალა და მალხაზ ასათიანის არყოფნას თუ არ ჩავთვლით, სომხებს, ფაქტობრივად, სადღეისოდ ოპტიმალური შემადგენლობა დაუპირისპირა. რა თქმა უნდა, დიდი გამოცანა იყო ყველასთვის, თუ ვის ანდობდა ქეცბაია ჩვენი ნაკრების კარის დაცვას: სლოვენიასთან მატჩის ერთ-ერთ გმირს გიორგი ლორიას თუ ნაკრებში მანამდე დამაჯერებლად მოასპარეზე ნუკრი რევიშვილს. მეკარეებზე ზემოთაც ვთქვით და ამჯერად ბევრს აღარ ვისაუბრებთ: ლორიამაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და რევიშვილმაც. ეგ კი არა, მეორე ტაიმში (პირწმინდად რომ ჩავაგდეთ) რევიშვილმა ორჯერ აშკარა ხიფათსაც გადაგვარჩინა, როცა ჯერ **მარკოს პიზელის** დარტყმა მოიგერია, შემდეგ კი **ჰენრიხ მხითარიანს** (ეს ბიჭი დონეცკის „შახტარში“ ტყუილუბრალოდ ნამდვილად არ მიუწვევიათ) არ დაანება გოლის გატანა. ლორიამ და რევიშვილმა საიმედოობითაც დაგვამახსოვრეს თავი და, ფაქტობრივად, არც გამოსვლებზე შემცდარან და არც — ხაზზე თამაშისას; იმედი დავიტოვოთ, რომ ასეთი კონკურენცია ჩვენს ნაკრებს მხოლოდ და მხოლოდ წაადგება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სხვა რგოლებზე...

დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ლაშა სალუქვაძის** გამოჩენა სიურპრიზი არავისთვის უნდა ყოფილიყო, დაცვის ცენტრში კი ქეცბაია კვლავაც „სლოვენიურ ვარიანტს“ დაეყრდნო და ამ ბოლო დროს ჩინებულ ფორმაში მყოფ ჩვენი ნაკრების კაპიტანს, **კახა კალაძეს** კვლავაც დებიუტანტი **აკაკი ხუბუტია** შეუწყვილა! მარცხენა მცველად კი, **ლევან კობიაშვილი** თამაშობდა — წესით, არც ეს ფაქტი უნდა გაგვკვირვებოდა, მით უფრო, რომ საქართველოს ნაკრებში თავისი 14-წლიანი კარიერის განმავლობაში „კობის“ არაერთხელ უასპარეზია ამ პოზიციაზე (ალარაფერს ვამბობთ მის ამჟამინდელ კლუბზეც „ჰერტაზეც“); თუმცა, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით კობიაშვილი დაცვის მარცხენა ფლანგზე პირველად ვიხილეთ. საყრდენ ნახევარმცველად, ისე როგორც სლოვენიასთან მატჩში, **ზურაბ ხიზანიშვილი** მოგვევლინა, ოღონდ ამჯერად მისი მეწყვილე ახალგაზრდა **ბუბა დაუშვილი** გახლდათ; შემტევი სამეულის გამოცნობა კი, ალბათ, ყველაზე ადვილი იყო: მარჯვენა გარემარბად ალექსანდრე იაშვილი, მარცხნივ - **გოგიტა გოგუა** (საუკეთესო სანაკრებო მატჩი გუშინ ნამდვილად არ ჩაუტარებია), ცენტრში კი - ჯანო ანანიძე. რაღა თქმა უნდა ეჭვს არც ცენტრფორვარდის პოზიციაზე **დავით სირაძის** გამოჩენა იწვევდა და ამ ფეხბურთელმაც, უკვე მერამდენედ დაამტკიცა, ჩვენი ნაკრებისათვის სასარგებლოზე-სასარგებლო და საჭიროზე-საჭირო კაცი რომ გახლავთ...



ბუბა დაუშვილის (მარჯვნივ) და ჰენრიხ მხითარიანის ორთაბრძოლა

## იმედის ტაიმი

ჩვენი ნაკრების „შუქ-ჩრდილებზე“ ვსაუბრობთ და ერთი, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორიც, კინაღამ დაგვავიწყდა: გუშინდელი ჩვენი მეტოქე სუსტთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა! ყოველ შემთხვევაში, **ვარდან მინასიანის** გუნდმა საკმაოდ ორგანიზებული კოლექტივის შთაბეჭდილება დატოვა და ერთიორი ისეთი შემსრულებელიც ჰყავდა, აი, კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლია. რაღა თქმა უნდა, ჰენრიხ მხითარიანს ვგულისხმობთ, პირველ ტაიმში ბუბა დაუშვილის მარწუხებში რომ მოექცა, მაგრამ აი, მეორეში კი ნამდვილად გაიღალა (ისე როგორც, მისმა თანაგუნდელებმა). თუმცა, პირველ ტაიმში ჩვენი ნაკრები იმდენად დამაჯერებლად ასპარეზობდა, გეგონებოდათ, მეტოქედ რეიტინგში ჩვენზე წინ მდგომი გუნდი კი არა, რომელიღაც მეორე-მესამეხარისხოვანი საფეხბურთო ნაკრები იყოო. კიდევ ვიმეორებთ: ყოველივე ეს ჩვენების დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, ერთი შეხედვით, აკადემიურ სტილში რომ ასპარეზობდნენ. ჰო, ფეხბურთში (მით უმეტეს, დღესდღეობით), მეტოქეებს შორის კლასში (გნებავთ, დონეში) სხვაობას დიდი მნიშვნელობა აქვს; ჰოდა, ჩვენებმაც, ფაქტობრივად, უფრო მაღალი კლასის ხარჯზე დაჯაბნეს მოწინააღმდეგე და აბსოლუტურად ლოგიკურიც იყო ის ფაქტი, როცა საქართველოს ნაკრებმა თავისი უპირატესობა მეტოქის კარში გატანილი ორი გოლით გამოხატა. არანაკლებ სასიამოვნო იყო იმ დახვეწილი კომბინაციების ხილვა, სომხეთის ნაკრებში გატანილ გოლებს წინ რომ უძღოდა! თუგინდ, პირველი ეპიზოდი გაიხსენეთ, როცა ზურაბ ხიზანიშვილმა მოედნის სიღრმეში ჯერ ოსტატური პაუზა გააკეთა, მერე კი დროულად გახსნილ ლევან კობიაშვილსაც არ დაუგვიანა ზუსტი გადაცემა, „კობის“ არანაკლებ ზუსტ და ოსტატურ გამჭოლ პასს კი ალექსანდე იაშვილი გამოეხმაურა და მეტოქის მეკარესთან ხისტ ორთაბრძოლაში ბურთის კარში გადაგზავნა მოახერხა! მოკლედ, „ვეტერანთა გოლი“ იყო...

არანაკლებ ეფექტური იყო ჩვენი მეორე გოლიც: კომბინაცია „იაშკამ“ წამოიწყო, მერე მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა ჯანო ანანიძემ საკმაოდ რთული მდგომარეობიდან მაინც მოახერხა და ასაკთან შეუფერებელი ოსტატობით, მოწინააღმდეგისათვის „უცნაური“ გადაწყვეტილება მიიღო; ყოველ შემთხვევაში, ბევრი ალბათ ელოდა, რომ ჯანო კარის გასწვრივ გამჭოლ პასს გააკეთებდა, თუმცა ქართული ფეხბურთის იმედმა დროის უმცირეს მონაკვეთში სწორად განჭვრიტა ყველაფერი და ბურთი მეტოქის საჯარიმოს სიღრმეში, ლევან კობიაშვილს გადააწოდა; ჩატარებული მატჩებით საქართველოს ნაკრების რეკორდსმენი „ერთი შეხებით“ გზავნიდა ბურთს მეტოქის კარში, მაგრამ **ჰრაირ მკოიანმა**, თითქოსდა, სიტუაცია განმუხტა (ბურთი, ხაზიდან გამოიტანა), მაგრამ მანამდე „ჩრდილში მყოფი“ დავით სირაძე (როგორც უკვე დაგვაჩვია) იქვე იყო „ჩასაფრებული“ და ორბურთიანი უპირატესობაც მოვიპოვეთ!

## უსიამოვნო მოულოდნელობა

აი, მეორე ტაიმზე კი, ალბათ, არც ღირს დაწვრილებით საუბარი; რა თქმა უნდა, ის „ვარიანტიც“ უნდა განვიხილოთ, ორბურთიანი უპირატესობის გამო ჩვენმა ფეხბურთელებმა საქმე რომ, შესაძლოა, მოთავებულად მიიჩნიეს; თუმცა, იმედია, ჩვენგან შეხსენება არავის სჭირდება, რომ საფეხბურთო მატჩი 90 წუთი გრძელდება და არა - 45; ალარაფერს ვამბობთ გუშინდელი მატჩის ერთ-ერთ მთავარ „უცნაურობაზეც“, უფრო ზუსტად, უსიამოვნო მოულოდნელობაზე: შეცვლაზე შემოსულ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობა ინერტულად გამოიყურებოდა, შებოჭილადაც და, რაც ყველაზე საწყენია, არასაკმარისად მოტივირებულად! არადა, თითქმის ყველა მათგანს, წესითა და რიგით, საკმარისზე მეტი ამბიცია უნდა ჰქონოდა; ბოლოს და ბოლოს, ამხანაგურ მატჩში, თანაც მშვენიერი სცენარით მიმდინარე შეხვედრაში თავის გამოჩენისა თუ საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცების მშვენიერზე-მშვენიერი შანსიც მიეცათ, მაგრამ... საპირისპირო რამ ვიხილეთ! ფაქტობრივად, მეორე ტაიმის 35 წუთი (!) სომხეთის ნაკრების უპირატესობა აშკარაზე მეტი იყო და კიდევ კარგი, ხან მეტოქის ფეხბურთელები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ხან კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნუკრი რევიშვილი თამაშობდა უშეცდომოდ. ჰო, ეს მართლაც უსიამოვნო „სანახაობა“ იყო: ჩვენი ნაკრების სათამაშო რგოლებს შორის ყველანაირი „ურთიერთობა“ გაწყვეტილი იყო და ალარაფერს ვამბობთ სათამაშო დისციპლინის სრულ უგულებელყოფაზე, რითაც მეტოქე მშვენივრად სარგებლობდა და სახიფათოდაც არაერთხელ შემოგვიტია.

...ვინმემ, შესაძლოა, კვიპროსელი არბიტრის შეცდომაზე ისაუბროს (ისე, ჩვენს კარში დანიშნული პენალტი „ასპროცენტიანთა კატეგორიას“ ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა), ვინმემ, შესაძლოა, ჩვენი ფეხბურთელების სათამაშო პრაქტიკის არქონას გაუსვას ხაზი, და საერთოდაც, „შეგვახსენონ“, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენო; ამ დროს კი, რეალობა სულ სხვაგვარია: სომხეთზე ბევრად კი არა, ოდნავ უფრო მაღალი კლასის გუნდი ამდენ შეცდომას არ გვაპატიებს!..

**გია ტუხაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარები მატჩის შემდეგ

# გელა სანაია: ნაკრებზე პირველი ტაიმით უნდა ვიმსჯელოთ

## მაქსიმალური შედეგი მწირი რესურსით

**საქართველო-სომხეთის მატჩის შემდეგ "ლოკომოტივისა" და "სამტრედიას" ყოფილ თავკაც გელა სანაიას შევეხმიანეთ და თამაშის შეფასება ვთხოვეთ.**

- ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. პირველში საქართველოს ნაკრებმა ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ითამაშა, მატჩის მეორე ნახევარში განხორციელებულმა შეცვლებმა კი ჩვენი თამაში საგრძნობლად შეასუსტა, რაც სულაც არ არის გასაკვირი. საბედნიეროდ, მეტოქის შეტევებს გავუძელით და გავიმარჯვეთ. სასიხარულოა, რომ ჩვენი ნაკრების დაუმარცხებელი სერია გრძელდება.

**- საქართველოს ნაკრების თამაშის ხარისხი დამაკმაყოფილებელი იყო?**

- შევთანხმდეთ, რომ ჩვენი გუნდის თამაშზე ძირითადად, პირველი ტაიმის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, რადგან საუკეთესონი მოედანზე სწორედ ამ დროს გვყავდა. საწყის 45 წუთში სომხეთის ნაკრებს დამაჯერებლად ვაჯობეთ და ორბურთიანი უპირატესობითაც ლოგიკურად დავწინაურდით. იმ ხარისხით, რაც პირველ ტაიმში ვაჩვენეთ, სავსებით შესაძლებელია უფრო ძლიერ გუნდებთან წარმატებისთვის ბრძოლა.



გელა სანაია ავტორის ფოტო

**- კონკრეტულად, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები დაინახეთ საქართველოს ნაკრების თამაშში?**

- მეორე ტაიმში დაცვაში რამდენიმე ისეთი შეცდომა დავუშვით, სომხეთზე ძლიერი მოწინააღმდეგე ამისთვის აუცილებლად დაგვსჯის. პირველ ტაიმში კი, ვფიქრობ, ბიჭებმა მწვრთნელის ყველა დავალება შეასრულეს. გამოჩნდა, რომ ჩვენს გუნდს თავის დაცვასთან ერთად შეტევაც შეუძლია, რაშიც ქართველ გულშემატკივარს აქამდე ეჭვი ეპარებოდა. თანაც, ქაოსურად კი არა, აზრიანად და კომბინაციურად ვუტევდით, კარგად ვიყენებდით ფლანგებს, რაც თანამედროვე ფეხბურთში ასე მნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, გუნდში ჯერ კიდევ გვყავს ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც თამაშის გაძღოლა და გამწვავება შეუძლიათ. დარწმუნებული ვარ, თემურ ქეცბაია საქართველოს ნაკრების კოზირებზე მუშაობას გააგრძელებს და ჩვენს მოთამაშეებს დადებითი თვისებების გამოვლენაში ხელს შეუწყობს, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად კი დრო კიდევ აქვს დარჩენილი. მთლიანობაში, ნამდვილად დავინახე ის პოტენციალი, რომლითაც ხორვატიასთან დადებით შედეგზე ფიქრი შეგვიძლია.

**- ფეხბურთელები ახსენეთ და, საქართველოს ნაკრებიდან ვის გამოარჩევდით?**

- მიხარია, რომ ჯანო ანანიძე კარგ ფორმაშია და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ნაკრებში ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე თამაშობს; ლევან კობიაშვილი მწვრთნელმა მარცხენა ფლანგზე დააყენა, რაც უდავოდ გამართლებული იყო. ლევანი ფლანგზე ყოველთვის პროდუქტიულია და ამჯერადაც ასე იყო. მისი შეტევითი პოტენციალის გამოყენება ნაკრებში ყოველთვის ვერ ხერხდებოდა, ახლა კი, საბედნიეროდ, კობიაშვილი წინ თავისუფლად მიდიოდა და საგოლე პასიც შეასრულა. მიხარია, რომ ზურა დაუშვილის პროგრესი გრძელდება და მისი სახით ნაკრებს მაღალი დონის საყრდენი ეზრდება; კარგია, რომ დავით სირაძემ ისევ გაიტანა, მომეწონა აკაკი ხუბუტია და ორივე მეკარე. სასიამოვნოა, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელი ნაკრებში დამაჯერებლად გამოიყურება, რაც იმას ნიშნავს, რომ არცთუ ისე წყალწაღებული ჩემპიონატი გვაქვს და შრომა და მონდომება საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებსაც დაუფასდებათ.

**- საქართველოს ნაკრების რომელმა რგოლმა ითამაშა ყველაზე საიმედოდ?**

- პირველ ტაიმში თანაბრად დაბალანსებული გუნდი გვყავდა, მეორეში კი, შეცდომების მიუხედავად, ჩვენმა დაცვამ მაინც ბევრი იშრომა.

**- როგორ ფიქრობთ, მეორე ტაიმში დაცვაზე აქცენტის გაკეთება ქეცბაიას არჩევანი იყო თუ სომხებმა გვაიძულეს?**

- ხშირად მწვრთნელის გადაწყვეტილება მეტოქის მიერ თავსმოხვეული სცენარითაა ნაკარნახევი და მგონია, რომ საქმე სწორედ ამ შემთხვევასთან გვქონდა. რომ არა წამყვანი ფეხბურთელების შეცვლა, საქართველოს ნაკრებს აუცილებლად ექნებოდა უპირატესობის განმტკიცების რეალური შანსი, შესუსტებული შემადგენლობით კი ეს ვერ შევძელით.

**- შეცვლაზე შესულ ფეხბურთელთაგან თავი არავინ დაგამახსოვრათ?**

- მეორე ტაიმში ისეთი ქაოსური თამაში იყო, ძნელია ვინმეს გამორჩევა, მაგრამ სხვებზე მეტად ლევან კაკუბავა მომეწონა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ შედეგზე სომხებმა უფრო გააკეთეს აქცენტი?**

- შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქეცბაიამ ამდენი შეცვლა 2:0-ის შემდეგ განახორციელა. რომ არა ორბურთიანი უპირატესობა, შესაძლოა, მას წამყვანი მოთამაშეების ნაწილი არც შეეცვალა. პირველი ტაიმის შემდეგ საქართველოს ნაკრები მიზანთან მეტოქეზე გაცილებით ახლოს იყო და სომხეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ექსპერიმენტები ალბათ ამიტომაც გადაიფიქრა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ორი კურდღელი დავიჭირეთ – გავიმარჯვეთ კიდეც და საქმეში ბევრი ფეხბურთელიც ვნახეთ. თემურმა ორივე მთავარი ამოცანა შეასრულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მატჩზე მხოლოდ და მხოლოდ დადებითად უნდა ვისაუბროთ. იმის მიუხედავად, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო, გამარჯვება ყველას გვინდოდა, თუნდაც მეტოქის ფაქტორიდან გამომდინარე...

**- მატჩის შედეგი ლოგიკურად მიგაჩნიათ?**

- იმის მიუხედავად, რომ სომხეთს საკმაოდ ბრძოლისუნარიანი ნაკრები ჰყავს და ამ გუნდს ურიგოდ არც ჩვენ წინააღმდეგ უთამაშია, შედეგი სავსებით ლოგიკურია, დღესდღეობით სომხეთზე უკეთესი ნაკრები გვყავს.

**- თუ გვაქვს იმის რესურსი, რომ ნაკრების შემადგენლობა გაძლიერდეს?**

- ვერ ვიტყვი, რომ ნაკრების მიღმა ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელია დარჩენილი, მაგრამ ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე გუნდს უდავოდ გააძლიერებდნენ, მალხაზ ასათიანს კი კვლავაც ნაკრების წევრად განვიხილავ. მთავარია, მან ახალი კლუბი დროულად იპოვოს და დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს მომავალშიც დიდ სამსახურს გაუწევს. მთავარი მაინც მწვრთნელის ფაქტორია. მთელი თავისი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში თემური საქმით ამტკიცებს, რომ მწირი რესურსით მაქსიმალური შედეგის მიღწევა შეუძლია.

**- მთლიანობაში, ჩვენი ნაკრების თამაშში პროგრესს თუ ხედავთ?**

- პროგრესი ცალსახად გვაქვს, მაგრამ გულშემატკივარი ეიფორიას არ უნდა მიეცეს და გუნდს წარმოუდგენელი ამოცანები არ უნდა დაუსახოს. წინ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ და შედეგები აუცილებლად მოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზაზა ზამთარაძე

# ქეცბაიამ იცის, რა და როგორ

**ზაზა ზამთარაძე**, თბილისის "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის დირექტორი:

- ლიმასოლში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ თემურ ქეცბაიამ იცის, რას ითხოვს გუნდისგან, როგორ ათამაშოს და რომელ ფეხბურთელს კონკრეტულად რა დავალება მისცეს. ის არის პრაგმატული მწვრთნელი და ტაქტიკას კონტინგენტის მიხედვით არჩევს. რა თქმა უნდა, არ ვიცი, რა დავალება მისცა მოთამაშეებს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მუშაობა იცის და მინდა მას და საქართველოს ნაკრებს ეს გამარჯვება მივულოცო.

**- მეორე ტაიმში ქეცბაიამ ძირითადი ბირთვი შეცვალა და ჩვენს დაცვასა და ნახევარდაცვაში ბევრი პრობლემა გამოჩნდა.**

- ამ დროისთვის იაშვილი, კობიაშვილი და კალაძე მოედანზე აღარ იყვნენ და, ცხადია, ეს გავლენას მოახდენდა. შესაძლოა, თემური ხორვატიასთან მატჩისთვის რაღაც ტაქტიკას ამუშავებდა, რაც, ბუნებრივია, მე არ ვიცი. შესაძლოა, სივრცეები იმიტომ გახსნა, რომ ამით გარკვეულ ექსპერიმენტს ატარებდა... ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ თემურმა გარისკა და მოიგო. შესაძლოა, ვინმემ თქვას, უფრო დამაჯერებლად უნდა მოგვეგოო, მაგრამ მე უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, რადგან ნაკრებმა მოიგო, ჩვენ კი მოგებას ველით და გვიხარია.

**- რომელიმე ფეხბურთელს თუ გამოარჩევდით?**

- მე ისევ მთავარ მწვრთნელს გამოვარჩევ და არა რომელიმე ფეხბურთელს, რადგან მოვიგეთ, ეს კი ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის დამსახურებაა.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქეები

# ხორვატებმა მწვრთნელის გულიც მოიგეს

| ხორვატია-ჩეხეთი | 4:2 |
|---|---|

ხორვატია: რუნიე, შიმუნიჩი, სრნა (69. შილდენფელდი), ჩორლუკა (46. სტრინიჩი), პრანიჩი (46. ლოვრენი), კრანჩარი, ილიჩევიჩი (83. ვრლაშკო), ვუკოიევიჩი (46. დუიმოვიჩი), რაკიტიჩი, ედუარდო (46. პეტრიჩი), კალინიჩი (63. იელავიჩი).

გოლები: 1:0 ედუარდო (8), 2:0 კალინიჩი (12), 2:1 სივოკი (20), 2:2 როსიცკი (45), 3:2 კალინიჩი (61), 4:2 ილიჩევიჩი (74).

| საბერძნეთი-კანადა | 1:0 |
|---|---|

საბერძნეთი: სიფაკისი (46. ხალკიასი), ტოროსიდისი (46. ვინტრა), მორასი, პაპასტატოპულოსი, ცაველასი, კაცურანისი (46. კაფესი), კარაგუნისი, ნინისი, სალპინგიდისი (46. მიტროღლუ; 68. გეორგიადისი), ლიბეროპულოსი (61. კონე), ფეტფაციდისი.

გოლი: 1:0 ფეტფაციდისი (63)

| ისრაელი-სერბეთი | 0:2 |
|---|---|

გოლები: 0:1 ტოშიჩი (23), 0:2 ტრივუნოვიჩი (77)

| ლატვია-ბოლივია | 2:1 |
|---|---|

გოლები: 1:0 ვერპაკოვსკისი (42. პენ.), 2:0 ცაუნია (49. პენ.), 2:1 მორენო (55. პენ.)

| მალტა-შვეიცარია | 0:0 |
|---|---|

საქართველოს ნაკრების მსგავსად, ამხანაგური მატჩებისთვის განკუთვნილი დღე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი გუნდის მეტოქეებმაც ნაყოფიერად გამოიყენეს.

თხრობის დაწყებას ხორვატია-ჩეხეთის დაპირისპირებით ვაპირებდით, მაგრამ წუხელ მალტელებმა იმდენი ივაჟკაცეს, რომ ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე შვეიცარიასთან ფრეს მიაღწიეს. ესეც კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა და ხუმრობა აუტსაიდერებად შერაცხილებთანაც არ შეიძლება. სახელოვანი **ოტმარ ჰიტცფელდის** სანაკრებო მოღვაწეობისას კი შვეიცარიის ნაკრები საფეხბურთო ჯუჯასთან უკვე მეორედ შერცხვა – ალბათ, გახსოვთ, 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში ჰიტცფელდის გუნდი შინ ლუქსემბურგთან 1:2 დამარცხდა.



დუბლის გამტანი ნიკოლა კალინიჩი

აღმოსავლეთ ევროპის ორი გამორჩეული ნაკრების შეხვედრა უაღრესად დრამატული და სანახაობრივი გამოდგა. ხორვატთა თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** ფაქტობრივად, საუკეთესო შემადგენლობას მოუყარა თავი და მატჩის დასაწყისშივე ხორვატებმა ჩეხებს შავი დღე დააწიეს. **ედუარდოსა** და **ნიკოლა კალინიჩის** გოლების შემდეგ თითქოს ყველაფერი ცხადი იყო, მაგრამ სტუმრები მალე მოეგნენ გონს და შესვენებაზე გუნდები ტოლ-სწორი მონაგარით გავიდნენ.

მეორე ტაიმში ბილიჩმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე შეცვალა და თავის გამოჩენის შანსი ახალბედებს მისცა, რომლებმაც მწვრთნელს იმედები გაუმართლეს. მათ აქტიურობას კალინიჩის მეორე გოლი მოჰყვა, მისი მოედნიდან გასვლის შემდეგ კი ყურადღების ცენტრში უკვე **ივო ილიჩევიჩი** მოექცა, რომელმაც შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. 4:2 და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოს ნაკრებს უახლოეს მატჩში უაღრესად ძლიერ მეტოქესთან ექნება საქმე.

*"ჩემთვის შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ფეხბურთელთა მზადყოფნის კიდევ ერთხელ შემოწმება იყო. ნაკრების შემადგენლობის ძირეული შეცვლის საფუძველი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ მინდოდა, ახალგაზრდებიც გამომეცადა და მოხარული ვარ, რომ მათ საკუთარ პოტენციალში დამარწმუნეს. ჩვენ ყველა რგოლში ძლიერად დაკომპლექტებული გუნდი გვყავს, რომელსაც ბევრის მიღწევა შეუძლია"* - თქვა ნამატჩევს ბილიჩმა.

ბერძნებმა სპარინგ-პარტნიორად გაცილებით მოკრძალებული მეტოქე აირჩიეს და შედეგსაც მოკრძალებულს მიაღწიეს. ელადელთა პორტუგალიელმა დამრიგებელმა **ფერნანდუ სანტუშმა** თავისი გუნდი კვლავაც შემტევი ტაქტიკით ათამაშა, მაგრამ საბერძნეთის ნაკრებში აშკარად შეინიშნება მაღალი დონის შემსრულებელთა ნაკლებობა. გამარჯვების მიუხედავად, სანტუშსა და მის ფეხბურთელებს ქომაგებმა დიდი რისხვა დაატეხეს თავს.

ისრაელის ნაკრები საკუთარ მოედანზე ყველასთან გააფთრებით იბრძვის, მაგრამ კლასს მაინც თავისი გააქვს და **ლუის ფერნანდესის** გუნდმა გაცილებით კლასმაღალ სერბეთს ვერაფერი დააკლო. ლატვია-ბოლივიის შეხვედრაში კი სამივე გოლი თერთმეტმეტრიანით გავიდა. ბალტიელთაგან თავი გუნდის ლიდერებმა, ვეტერანმა **მარის ვერპაკოვსკისმა** და ახალგაზრდა **ალექსანდრს ცაუნიამ** გამოიჩინეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ექიმებმა დვალიშვილს ერთი თვე უთხრეს

საქართველოსა და სომხეთის ნაკრებების გუშინდელი კვიპროსული მატჩი **ლადო დვალიშვილმა** ტრავმის გამო გამოტოვა. **თემურ ქეცბაიამ** ლადო კი გამოიძახა, მაგრამ ეროვნული ნაკრებისა და ჰაიფას "მაქაბის" თავდამსხმელს 5 თებერვალს ისრაელის ჩემპიონატის შეხვედრაში „ბნეი სახნინთან" კუნთი დაეჭიმა და მოედანი დატოვა.

*„ტრავმა ყოველთვის საწყენია, მაგრამ განსაკუთრებით - სანაკრებო მატჩის წინ. ძალიან დამწყდა გული, კარგ ფორმაში ვიყავი და სომხების წინააღმდეგ თამაში მსურდა. ექიმების თქმით, კუნთი სამი სანტიმეტრით არის გაწყვეტილი. ჯერ კიდევ ვმკურნალობ, ექიმები მაიმედებენ, რომ მოედანს სამ კვირაში, მაქსიმუმ ერთ თვეში დავუბრუნდები",* - გვითხრა დვალიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ლადო დვალიშვილი ბოლო ორ თვეში შესანიშნავად თამაშობს: გასული წლის დეკემბრიდან ჩატარებულ შვიდ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა, წლეულს კი ზედიზედ ხუთი შეხვედრაში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია.

სულ კი ისრაელის მიმდინარე ჩემპიონატში ლადოს ანგარიშზე შვიდი გოლია.

**მერაბ მამულაშვილი**





ლადო დვალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# თარგამაძემ რეალური კიევი რეალურად შეაფასა

### დინამოში სკამზე ჯდომას ალექსანდრიაში თამაში არჩია



დავით თარგამაძე არ ნანობს, კიევის "დინამოში" რომ არ გადავიდა და დარწმუნებულია, ახლა მისთვის "ალექსანდრიაში" თამაში უკეთესია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი „ფრაიბურგში" სამი წელინადი ირიცხებოდა, დუბლებიდან ძირითადშიც გადაიყვანეს, მაგრამ გასული წელი ჩაუვარდა, საერთოდ არ უთამაშია და ზაფხულში მოულოდნელად უკრაინის პირველი ლიგის „ალექსანდრიაში" ამოყო თავი.

თუმცა ამ მოულოდნელობას ბევრისთვის უცნობი მიზეზი ჰქონდა: სეზონისთვის მზადებისას თარგამაძეს მამა გარდაეცვალა, თბილისში ჩამოვიდა, გერმანიაში კარგა ხანს ვერ გაემგზავრა, ვერც ივარჯიშა და, ცხადია, ფორმიდან ამოვარდა. შარშანდელი წლის ოქტომბერში "ალექსანდრიას" წინადადებას ამიტომაც დათანხმდა.

არც უნანია: ის "ალექსანდრიას" უცებ შეეწყო, პირველივე შეხვედრაში გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა, პირველი წრის დასრულების შემდეგ კი კლუბის პრეზიდენტმა ნიკოლაი ლავრენკომ დაიტრაბახა, იშვიათად წარმატებული ტრანსფერი განვახორციელეთო.

დათო ახლა კლუბთან ერთად მეორე წრისთვის ემზადება. "ალექსანდრია" პირველ ადგილზეა, დამაჯერებლად ლიდერობს და უკრაინის "ვიშა ლიგაში" გადასვლა რეალურია. თავად დათოს მიმართ კი ინტერესი კიევის "დინამომ" გამოიჩინა. თარგამაძეს გუშინ დავუკავშირდით.

**- რამდენად მართალია, თითქოს კიევის "დინამო" გიწვევდა?**

- დიახ, მიწვევდა და, როგორც მითხრეს, სერიოზული დაინტერესება იყო, მაგრამ "ალექსანდრიაში" ვრჩები.

**- ეს ვინ გითხრა, თავად კიეველებმა თუ კლუბის ხელმძღვანელობამ და რამდენად სანდო ამბავია?**

- „ალექსანდრიას" მენეჯერმა და პრეზიდენტმა ნიკოლაი ლავრენკომ მითხრეს და, ცხადია, სანდო ინფორმაციაა.

**- კიევში წასვლა შენ არ გინდა თუ კლუბმა არ გაგიშვა?**

- ჯერჯერობით მე არ მინდა და კლუბში სეზონის ბოლომდე ვრჩები.

**- რა არის ამ უცნაური გადაწყვეტილების მიზეზი?**

- წასვლას იმიტომ არ ვაპირებ, რომ სათამაშო პრაქტიკა ჰაერივით მჭირდება, რაშიც "ალექსანდრია" ძალიან მეხმარება, მწვრთნელიც მენდობა და პრეზიდენტიც. ამ ყველაფრის შემდეგ არ გამოვა, ფეხი დავკრა და გუნდი უკანმოუხედავად მივატოვო. ზაფხულიდან კი ვნახოთ, იმედია, უმაღლეს ლიგაში გადავალთ.

**- ისე, კიევის "დინამო" შენი სტილის გუნდიც არ არის.**

- ეს უარის ერთ-ერთი მიზეზია. კიევის „დინამო" რომ „ალექსანდრიას" სჯობს, სადავო არ არის, მაგრამ ყველაფერი გასათვალისწინებელია. რად მინდა, გადავიდე და სათადარიგოებში დავჯდე, მეეჭვება, კიევში პირდაპირ „დინამოს" ძირითადში მათამაშონ.

**- როგორც ვიცი, უკრაინაში შენი წასვლა ოჯახურ ტრაგედიას უკავშირდება.**

- ასეც არის. მერე გერმანიაში უნდა ჩავსულიყავი, ვარიანტებს ველოდი, მაგრამ ბოლოს არაფერი გამოვიდა, ყველაზე რეალური ვარიანტი „ალექსანდრია" იყო და უარი სისულელე იქნებოდა. მოუმზადებელი დაბალ ლიგაში ფორმის აღდგენასა და გუნდთან ერთად უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე ვფიქრობდი და, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

ვიტ ჯორჯია

# მომთაბარეობა მალე დასრულდება

### ვიტ ჯორჯია ნორჩებს შეეხიზნა

მრავალსტადიონმოვლილი "ვიტ ჯორჯია" არენას საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზეც შეიცვლის, თანაც ორჯერ. "ლელო" უკვე წერდა, რომ კლუბის კუთვნილ მცხეთის „არმაზის" სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ფაქტობრივად, დასრულებულია.

იყო იმედი, რომ ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის საშინაო მატჩებს „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში თებერვალშივე უმასპინძლებდა. პატარა და კოხტა „არმაზზე" ხელოვნური საფარი დაიგო, მის სათამაშო კონდიციამდე მისაყვანად კი ეგვიპტური ქვიშის დაყრა არის საჭირო, მაგრამ ქვიშის შემოტანა დაგვიანდა.

სწორედ ამის გამო, "ვიტ ჯორჯიას" გენერალურ დირექტორ **მალხაზ კაკაურიძის** თქმით, გუნდი მეორე ეტაპის პირველ ორ საშინაო შეხვედრას, 19 თებერვალს ზუგდიდის "ბაიასთან" და 27 თებერვალს "სამტრედიასთან", ახლახან გარემონტებულ "ნორჩი დინამოს" თემქის სტადიონზე გამართავს.

სამგზავრისი. ტორპედო

# ტორპედომ მერანს მეორედაც მოუგო

გუშინ ქუთაისის „ტორპედო" პირველი ლიგის ლიდერ მარტვილის „მერანს" საკუთარ ბაზაზე ამხანაგურად ეთამაშა. დეკემბერში, როდესაც მოსამზადებელ ეტაპს იწყებდნენ, გუნდები ერთმანეთს უკვე შეხვდნენ და მაშინ ქუთაისელებმა 3:0 გაიმარჯვეს.

ეს მატჩიც მათი უპირატესობით დაიწყო: სახიფათო მომენტები შექმნეს **გიორგი სეთურიძემ, თენგიზ ჩიკვილაძემ, ლევან ბაკურაძემ.**

მასპინძლებმა ანგარიში 35-ე წუთზე გახსნეს: **თორნიკე თარხნიშვილის** დარტყმული ბურთი მეკარემ ვერ დაიმორჩილა, **ვახტანგ კვარაცხელიამ** კი დამატებაზე გაიტანა.

"ტორპედო" მეორე ტაიმშიც უტევდა. 62-ე წუთზე **ლუკა გუგუჩიამ** ახლო მანძილიდან დაარტყა, მეკარემ ბურთი მოიგერია, მაგრამ ყველას ისევ მასპინძელთა ნახევარმცველმა დაასწრო და ანგარიში გაზარდა - 2:0.

65-ე წუთზე ტორპედოელები დაცვაში შეცდნენ და "მერანის" ფორვარდმა სხვაობა შეამცირა - 2:1.

ამის შემდეგ მთავარმა არბიტრმა კამათისთვის ჩიკვილაძე მოედნიდან გააძევა, მაგრამ მასპინძლებს მისი შეცვლის უფლება მისცა, „ტორპედოს" თავკაცმა **გია გიგატაძემ** კი მოედანზე **თემურ ფარულავა** შეიყვანა.

მატჩი ასეც დასრულდა - ქუთაისელებმა 2:1 მოიგეს. მეორე ეტაპამდე ბოლო ამხანაგურ მატჩს „ტორპედო" დღეს საკუთარ ბაზაზე ხარაგაულის „ჩხერიმელასთან" გამართავს.

ტორპედო: **მიგინეიშვილი - ფოფხაძე (46. გუგუჩია), ს. თოდუა, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე (75. ფარულავა) - სეთურიძე (70. გურული), ქებაძე (46. ნ. მაისურაძე), ბაკურაძე (46. მეგრელაძე), თარხნიშვილი (55. გიგაური), დათუნაიშვილი (56. გ. ჩხეტიანი) - ვ. კვარაცხელია (46. გოცირიძე).**

ინტერვიუ ზორბეგ ებრალიძესთან

# ქართველებს ქართული ფეხბურთი გვენატრება

### რა ულმერთოდ ვფლანგავთ იმას, რასაც ღმერთი გვაძლევს

**ბოლო დროს დაწინაურებულ ფეხბურთელთა ინტერვიუებში ხშირად გვხვდება ერთი და იგივე ფრაზა - ზორბეგ ებრალიძესთან "ნორჩ დინამოელში" ვვარჯიშობდიო. ლანჩხუთის "გურიას", ქუთაისის "ტორპედოსა" და თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი დიდი ხანია, მომავალი თაობის გაზრდას ემსახურება და, როგორც ჩანს, კარგადაც, რადგან მის ხელში ბევრ ნიჭიერ ფეხბურთელს გაუვლია.**

**ვერ ვიტყვით, რომ უიღბლო კარიერა ჰქონდა: დაიბადა ლანჩხუთში, თამაშობდა "გურიაში", შემდეგ ქუთაისის "ტორპედოში", სადაც კაპიტანი იყო, 1971-დან 1977 წლამდე კი თბილისის "დინამოში" გამოდიოდა. როგორც თვითონ იხსენებს, საკავშირო პირველობაზე დაახლოებით 280-მდე მატჩი ჩაატარა, თასისა და საერთაშორისო შეხვედრების ჩათვლით კი 400-მდე.**

**ნაკრებში გამოძახება ცუდად დაამახსოვრდა: საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე ერთი მატჩი ჩაატარა, მაგრამ კუბაში დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალა და ამის შემდეგ აღარ გამოუძახებიათ.**

**ვეტერანი ქართული ფეხბურთის პრობლემებსა და სატკივარზე გველაპარაკება:**

**- ბავშვთა ფეხბურთში რომელი წლიდან საქმიანობთ?**

- თამაში 1977 წელს დავასრულე, იმავე წელს გრიგოლ გაგუამ "ნორჩ დინამოელში" მიმიწვია. 1978-80 წლებში მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა დავამთავრე. იქიდან ჩამოსულს თბილისის "ლოკომოტივი" ჩამაბარეს. ჩვენთან ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობდა: ოთარ კორღალიძე, მალხაზ ლაცაბიძე, გოჩა ტყებუჩავა, ილია რუხაძე, რამაზ მუმლაძე, ნოდარ კიკნაძე, რომან შოთაძე, ძმები კაპანაძეები, დათო უგრელიძე... ყველას ვერც ვიხსენებ, კარგი გუნდი გვყავდა, ვინც მაშინ თბილისის "დინამოში" ვერ მოხვდა, ჩვენ ავიყვანეთ. ისე გამოვიდა, ლანჩხუთელმა კაცმა თბილისში "გურიას" მომავალი თაობა გავზარდე, შემდეგ ამ ბიჭების უმრავლესობა ხომ ლანჩხუთში წავიდა და ძალიან კარგი გუნდი ჩამოყალიბდა. ნოდარ ახალკაცთან შეთანხმება მქონდა, ვინც მოეწონებოდა, "დინამოში" წაიყვანდა. მაშინ ხომ დუბლებში განაცხადი აუცილებელი არ იყო, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ფეხბურთელის მიწვევა. "ლოკომოტივში" თითქმის ორი წელი ვიმუშავე და გივი ნოდიამ "ტორპედოში" გადასვლა შემომთავაზა. ქუთაისში გიგა ნორაკიძესთანაც ვიმუშავე. 1984 წელს ოზურგეთის "მერცხალში" ნახევარი წელიწადი გავატარე, ამის შემდეგ კი "ნორჩ დინამოელში" გადავედი.

მაშინ ორ ადგილზე მუშაობა აკრძალული იყო, ბავშვებს კი ვარჯიშს ვერ გავუცდენდი და მთლიანად ბავშვთა ფეხბურთზე გადავერთე. 1997 წელს ავიყვანე 1987 წელს დაბადებულთა თაობა. ბევრი ნიჭიერი ბავშვი ვარჯიშობდა: მიხეილ ალავიძე, უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, ნიკა ფირცხალავა, ზურაბ არზიანი, გიორგი დიაკვნიშვილი, ჯაბა ლიპარტია, ფარნა კუსრაშვილი, დათო დევდარიანი, ძმები ჩაგელიშვილები და სხვები. ეს ბავშვები ყველაფერს იგებდნენ, შემდეგ გელა გომელაური ჩვენგან "ოლიმპში" გადავიდა და რამდენიმე ბიჭი წაიყვანა, ჩვენგან კი ცხრა ბავშვი თბილისის "დინამომ" შეარჩია.

უჩა ლობჟანიძე ლაგოდეხიდან ჩამოვიყვანე, გიორგეთის გუნდთან ვითამაშეთ, მოგვეწონა და თბილისში მოვიწვიეთ. მონდომებული და წესიერი ბავშვი იყო, ერთი ვარჯიში არ გამოუტოვებია, არადა, წყნეთიდან დადიოდა.

არავის ეწყინოს და, ამ თაობაში გამორჩეული ფარნა კუსრაშვილი იყო: მას შეეძლო, საქართველო ესახელებინა. ასეთი ნიჭიერი მეორე არ მინახავს, ნაკლი არ ჰქონდა, გამოირჩეოდა ჭკუით, სისწრაფით, ტექნიკით, პასით, ორივე ფეხს კარგად ხმარობდა, შრომაც არ ეზარებოდა, მაგრამ დაიკარგა და გული ძალიან მწყდება. რატომ, დღემდე ვერ ამიხსნია.

**- ნიჭიერი ქართველი ბავშვების დიდი ნაწილი მართლაც იკარგება.**

- სამწუხაროდ, ასეა და გული მწყდება, ქართული ფეხბურთი საბადოა, მაგრამ აუთვისებელი და ამ უზარმაზარ პოტენციალს ვერ ვიყენებთ. ახლა კუსრაშვილი რომ თამაშობდეს, ნაკრებს ათი ნომრის პრობლემა არ ექნებოდა, მას ქინქლაძის პოტენციალი ჰქონდა.

**- და რატომ იკარგებიან სწორედ გამორჩეულად ნიჭიერები?**

- ჩვენ ნიჭიერებს ვერ ვუგებთ. მარადონა, ბრაიტნერი, გერდ მიულერი, როი კინი და რომარიოც არ იყვნენ უცოდველი კრავები, მაგრამ თავიანთი ნაკრებებსა და ქვეყანას გამოადგნენ. ასეთებს გასაღები უნდა მოვუძებნოთ მაშინ, როდესაც კაცობის ასაკში შედიან, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ. დარწმუნებული ვარ, 16-17-წლამდელებით ისეთი ნაკრების ჩამოყალიბება შეგვიძლია, არც ერთ უცხოურ გუნდს ტოლს რომ არ დაუდებს. ასეც არის, ამ ასაკის ბიჭები წარმატებით თამაშობენ. ბავშვები თურქეთსა და საბერძნეთში წამიყვანია და ყველას ვჯობდით, მაგრამ შემდეგ ვერ ვითარდებიან.

**- ეს იმიტომაც ხდება, რომ ბევრი მწვრთნელი ნიჭიერს წესიერ, მაგრამ უნიჭოს ამჯობინებს, ასე ნაკლებ პრობლემას აწყდება.**

- შეიძლება, ასეც არის. ხომ გითხარით, ნიჭიერი ბავშვების გაგება ძნელია. თუმცა ბევრი მშობლისგან მსმენია, ბავშვი ნიჭიერია, მაგრამ უფულობის გამო ფეხბურთზე ვერ მიმყავს და მეჩაგრებაო. რამდენი ხანია, ბავშვებში ვმუშაობ, მაგრამ ჩვენს სკოლაში გაჭირვებული ოჯახებისთვის გადასახადი არასდროს მოგვითხოვია, სტიპენდიას იქით ვაძლევთ. ასე იყო კუსრაშვილის შემთხვევაში, სკოლის დირექტორმა ოთარ შენგელიამ ხელფასი დაუნიშნა. სკოლაში ითვალისწინებდნენ, რომ გადასახადი ზოგიერთისთვის ბარიერი იყო. გადასახადისგან დღესაც ბევრია გათავისუფლებული, რადგან ჯობს ამ ფულით ნორმალურად გამოიკვებონ და შეკრებაზე წავიყვანოთ, ვიდრე ფეხბურთს თავი დაანებონ.



თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ 16-17 წლის ასაკიდან ბევრს ვკარგავთ, რადგან დიდ ფეხბურთში უამრავი პრობლემაა და გასაქანი არ ეძლევათ. უსისტემობაც ხარვეზია: ჩემი ფეხბურთელობის დროს ყველა გუნდს ჰყავდა დუბლშემადგენლობა, სადაც ნიჭიერ ბიჭებს წლების განმავლობაში ზრდიდნენ. დღეისთვის ეს სისტემა მოიშალა და კადრების ნაკლებობაც აშკარაა. კარგად მახსოვს, ჩივაძე, კოპალეიშვილი, ჩხაიძე და სხვები დუბლებში იზრდებოდნენ და შემდეგ დააწინაურეს. დუბლების ჩემპიონატი ახლა კი არსებობს, მაგრამ სისტემა მოიშალა.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, ჩვენ რომ გვენატრება, ისეთი ქართული ფეხბურთი მხოლოდ წლების შემდეგ თუ გვექნება. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდება, ლეგიონერებში მილიონებს გადავიხდით და უცხოეთში წასული ქართველების ნაწილს მაინც დავაბრუნებთ. ჩვენ ვთამაშობდით საბჭოთა კავშირის პირველობაზე, რომელიც, ფაქტობრივად, ალმოსავლეთ ევროპის ჩემპიონთა ლიგა იყო და, ბუნებრივია, მოთამაშეთა კლასი იზრდებოდა.

საბჭოთა კავშირი ჯანდაბას, მაგრამ პირობები თუ იქნება, ეროვნული ჩემპიონატის დონეც ამაღლდება, საამისო რესურსს ნამდვილად ვხედავ. მაგრამ, როგორ შეიძლება ჩემპიონატი მიმზიდველი იყოს, როდესაც სამი გუნდიც არ გვყავს, ევროთასების პირველ ეტაპს რომ გაივლიან. თბილისის "დინამო" რატომ იყო ათი წელიწადი საქართველოს ჩემპიონი? იმიტომ, რომ საკავშირო ჩემპიონატის ინერციას ინარჩუნებდა, მაგრამ ჩვენს პირველობაზე საბოლოოდ რომ გადმოერთო, მისი კლასიც დაეცა და დღეს "ზესტაფონის" და "ოლიმპის" დონეს გაუთანაბრდა. სანამ დაწყობილი ქვეყანა არ იქნება, მანამდე ჩემპიონატსაც არაფერი ეშველება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გულწრფელი ნათქვამი

# ჩელსის ფეხბურთელობა არ მინდოდა


„ელ ნინიოს" ალსარება

ᲗᲐᲛᲐᲛᲘ განცხადებაა, „ლივერპულიდან" უფრო პატარა კლუბში გადავედიო - „ჩელსიზეა" ლაპარაკი. ალბათ მიხვდით, **ფერნანდო ტორესის** თემას ვაგრძელებთ. დიახ, ესპანელი თავდამსხმელისთვის ფაქტი ფაქტად რჩება: „ლივერპული" „ჩელსიზე" დიდი კლუბია, მაგრამ ალალად მთქმელი ვარსკვლავი არც იმას მალავს, რომ „ენფილდ როუდზე" კრიტიკოსებმა ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს და ბოლოს უკვე ერთი სული ჰქონდა, როდის გამოიქცეოდა იქიდან. 26 წლის „ელ ნინიო" ამბობს:

*„ჩემთვის „ლივერპული" ყოველთვის განსაკუთრებულ გუნდად დარჩება. ბრწყინვალე ისტორიის გამო ის „ჩელსიზე" დიდ კლუბად რჩება, მაგრამ ამჟამად რთული პერიოდი უდგას. იქ, ზაფხულის არდადეგებიდან ახალი შემართებით დაბრუნებული უცბად მივხვდი, რომ სინამდვილე და ჩემი სურვილი ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თურმე მიზანი არასწორად იყო დასახული, გუნდს რეალურად არ შეუძლია ის, რაც ჩვენ გვსურს.*

*„ლივერპულში" სამი დიდებული წელიწადი გავატარე, მაგრამ ბოლო ექვსი თვე განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. ამ ნახევარმა წელიწადმა დამაკარგვინა სიხარული, ენთუზიაზმი და გოლების გატანის სურვილი".*

არადა ტორესი მერსისაიდელთა კერპი იყო, მაგრამ როგორც კი შეიტყვეს, რომ მან „ლივერპულის" ბოსებს „ჩელსიში" გადასვლა სთხოვა, შეიძულეს. როგორც ჩანს, თავმოყვარე ლივერპულელებზე, ესპანელი თავდამსხმელის იმ ინტერვიუმ იმოქმედა, სადაც მან თქვა, რომ მსოფლიოში „ჩელსის" მეტი გულშემატკივარი ჰყავს, ვიდრე „ლივერპულს". მოგეხსენებათ, მერსისაიდელები დაჩვეულნი არიან, რომ მათ გუნდზე ყველა მხოლოდ აღმატებით ხარისხში ლაპარაკობს. სამაგიეროდ ამ სიტყვებმა აღაფრთოვანა „ჩელსის" ქომაგები, რომელთაც „წითლების" ფანებისგან დღენიადაგ ნიშნისმოგებით ესმოდათ, რომ მათ კლუბს ღარიბი ისტორია აქვს.

ტორესმა თქვა, რომ „ლივერპულში" დარჩენას განსაკუთრებით ორი ადამიანი სთხოვდა. ესენი გახლდნენ მწვრთნელები **სემი ლი და სტივ კლარკი,** თავადაც „ჩელსის" ყოფილი ვარსკვლავი. თავდამსხმელმა განაგრძო:

*„როდესაც პირველად გავიგე, რომ „ჩელსის" ჩემი ყიდვა უნდოდა, ვარჯიშზე ვიყავი. მაშინვე მივაშურე კლუბის სპორტულ დირექტორსა და მწვრთნელს, რათა ეს ამბავი მეთქვა და ჩემი მდგომარეობა ამეხსნა. მეორე და მესამე მწვრთნელები, ლი და კლარკი ახალგაზრდობაში თავადაც ფეხბურთელები იყვნენ, ამიტომ მათ გამიგეს, მაგრამ ძალიან მთხოვეს დავრჩენილიყავი. ისინი მიმტკიცებდნენ, რომ ახლა გადასვლისთვის შესაფერისი მომენტი არ იყო, მაგრამ მე მომენტის შერჩევა აღარ დავიწყე. გარშემო ყველაფერი მუქად მეჩვენებოდა, ცუდი სეზონი უარესისკენ მიექანებოდა. წარმოიდგინეთ, არც პირად და არც გუნდის დონეზე კარგი არაფერი იკვეთებოდა, ჩემპიონატის დასრულებამდე კი რჩებოდა ექვსი თვე რომლის გაძლება ნამდვილი ტანჯვა იქნებოდა. ასეთ დროს, როდესაც ფეხბურთელი ხედავს, რომ შენ წინაშე ისეთი კლუბის კარი გაიღო, როგორიც „ჩელსია", რასაკვირველია, შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ გინდა. ჩემი მხრიდან „სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლა ყველაზე რაციონალური ვარიანტი გახლდათ".*

თავდამსხმელი, რომელსაც ლივერპულში, თუმცა რაღა ლივერპულში, მთელ მსოფლიოში, უამრავი ადამიანი ეთაყვანებოდა და ეთაყვანება კიდეც, საკუთრივ ტრანსფერის ფორმით გახლავთ უკმაყოფილო. იგი ამბობს, რომ გიჟურმა ერთმა თუ ორმა კვირამ გული ატკინა.

იმ დღეებში ინგლისურ პრესას მოედო ფოტოები, როგორ წვავენ მერსისაიდელი ფანები ტორესის მაისურებს. ერთი ასეთი ფოტო „ლელოს" მკითხველებსაც შევთავაზეთ. „ლივერპულის" ქომაგთა რისხვის ამსახველი ჩანაწერები მთელ დედამიწას მოედო და რაა გასაკვირი, რომ ესპანელ თავდამსხმელს რეპუტაციის დაცვის სურვილი გაუჩნდა.

როგორი რეაქცია ჰქონდა ტორესის წასვლაზე „ლივერპულის" მწვრთნელ **კენი დალგლიშს?** „კოპის მეფე კენი" აშკარად გაღიზიანებული იყო და ინტერვიუებში „ელ ნინიოს" მიმართ აგრესიას გამოხატავდა, მაგრამ ფეხბურთელმა მდგომარეობის ჩაცხრობა გადაწყვიტა:

*„ფანებზე იმას ვიტყვი, რომ მათ ჩართული კამერები რომ არ დაენახათ, ჩემს მაისურებს არ დაწვავდნენ. ეს საჩვენებელი აქცია იყო. რაც შეეხება მწვრთნელს, მას, ისე როგორც ნებისმიერ ადამიანს დედამიწაზე, აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება აქვს.*

*ლივერპულელებს მიაჩნიათ, რომ ჩემი სხვა გუნდში გადასვლა მათ მიმართ უსამართლო საქციელი იყო. მეტიც, ამ ხალხს ჩემი პირიდან სიმართლის მოსმენა არ უნდოდა, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და აქ არავინ იცის, როდის რა მოხდება. ჯერჯერობით, მერსისაიდელმა ფანებმა მათთვის მოსახერხებელი მითი შექმნეს და დაიჯერეს, თითქოს მე „ჩელსის" ფეხბურთელობა მინდოდა. მაგრამ ეს ტყუილია.*

*მე სინდისი სუფთა მაქვს. „ლივერპულში" ყველას პატიოსნად მოვექეცი. ამიტომაც მტკენს გულს ის ინფორმაცია, რომელიც გაზეთებში იწერება. სამწუხაროა. ხომ შეიძლებოდა ყველაფერი სულ სხვანაირად გაგრძელებულიყო".*

● ამბები

# ინგლისური არეულობა

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ფეხბურთის ასოციაციის ყოფილმა შეფმა ლორდმა **ტრისმენმა** ყველას გასაოცრად თავის ყოფილ სამსახურსა და კოლეგებს, უპირველეს ყოვლისა კი პრემიერლიგას და მის თავმჯდომარე **დეივ რიჩარდსს** შეუტია. კერძოდ, ტრისმენმა სამთავრობო-საგამოძიებო კომისიის წინაშე თქვა:

*„ბატონმა მინისტრმა მკითხა, კარგი სისტემა გვაქვს თუ არა. ჩემი პასუხი ასეთია: ფეხბურთის ასოციაციაში საშინლად მორყეული სისტემაა".*

შემდეგ ლორდმა ბრძანა, რომ პრემიერლიგის შეფებმა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებაზე, არც მეტი, არც ნაკლები, ხელი აიღეს. პირადად რიჩარდსი ფეხბურთის ასოციაციას ბევრჯერ ენით აუწერელი ცვლილებებითაც კი დაემუქრა. მან ერთხელ ისიც კი გამოაცხადა, რომ პრემიერლიგის გუნდებს ფეხბურთის ასოციაციის თასიდან გაყვანას უპირებდა. ასოციაციის დირექტორატი შიდა დაპირისპირებების გამო გაიხლიჩა და არაქმედუნარიანი გახდა. ორგანიზაცია, რომელსაც წესით მთელი ინგლისური ფეხბურთის მართვა ევალება პრემიერლიგასა და ფეხბურთის ლიგასთან ვეღარ თანამშრომლობს.

*„იმის ზუსტად აღწერა, თუ რამხელა განსხვავებებია ჩამოთვლილი ორგანიზაციების ინტერესებსა და მიდგომებში, შეუძლებელია"* - თქვა ტრისმენმა და დასძინა - *რიჩარდსი სხვათა გასაგონად, კომისიის წინაშე თავაზიანად ლაპარაკობს, მაგრამ ცალკე ის აგრესიულია".*

# სექსისტების რეაბილიტაცია

ტელეკომპანია Sky Sports-ის ყოფილმა წამყვანებმა **ენდი გრეიმ** და **რიჩარდ კეისმა** TALKSSPORT-ში დაიწყეს მუშაობა. გეხსომებათ, რომ ამ ორ გავლენიან საფეხბურთო მიმომხილველს პრობლემები მას მერე შეექმნა, რაც შემთხვევით ეთერში გაისმა მათი ლაპარაკი თანამსაჯი ქალის **სიან მესის** შესახებ - ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ მესის, როგორც ყველა ქალს ოფსაიდის წესი არ ესმის. ამის შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით გადაიცა ჩანაწერები, გრეი და კეისი, ერთად თუ ცალ-ცალკე ამა თუ იმ ქალზე არაკორექტულად რომ ხუმრობდნენ ან რამეს ამბობდნენ. ეს გახლდათ კერძო საუბრები, რომლებიც იმიტომ აღმოჩნდა ჩაწერილი, რომ ამბავი ტელევიზიაში მოხდა, სადაც კამერა ხშირად ჩართულია და, ბუნებრივია, ყველაფერს იწერს. საბოლოოდ აგორდა სექსიზმის სკანდალი, რამაც გრეის Sky Sports-დან გაგდება გამოიწვია, კეისი კი თავად მიჰყვა კოლეგას.

მაგრამ ახლა წყვილი კვლავ სტუდიაში დაბრუნდა. ისინი სხვა კომერციულმა არხმა დაიქირავა და ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დღეში სამსაათიანი ტოქშოუ მისცა.

*„ვერ წარმოიდგენთ რა ბედნიერად ვგრძნობ თავს,* - თქვა 55 წლის გრეიმ, - *მე და რიჩარდს კვლავ გვეძლევა საშუალება გავაკეთოთ ის, რაც ყველაზე მეტად გვეხერხება - სპორტზე ვილაპარაკოთ".*


სიან მესი

● ჩელსი

# ლივერპულმა ჩელსის ფეხები მოჰკვეთა


ნირწამხდარი დიდიე

**ᲓᲘᲓᲘᲔ ᲓᲠᲝᲒᲑᲐ** ამბობს, რომ ასეთი ნირწამხდარი „ჩელსი" არასდროს უნახავს. კვირას ინგლისის ჩემპიონს, მოგეხსენებათ, „სტემფორდ ბრიჯზე" „ლივერპულმა" 1:0 მოუგო და ტიტულის ხელახლა მოპოვების შანსი ფაქტობრივად წაართვა, რის მერეც „ლურჯების" ბანაკში, თურმე, დანა პირს არავის უხსნის. სპილოს ძვლის ნაპირთა ნაკრების ფორვარდი ამბობს, რომ **კენი დალგლიშის** გუნდმა მათ ფეხები მოჰკვეთა და ძირს დაანარცხა. დროგბას თქმით „ჩელსიში" ვერა და ვერ შეგუებიან აზრს, რომ ისინი მთავარი ფავორიტები კი არა, დანინაურებულ გუნდთაგან ერთ-ერთი არიან და მეტი არაფერი.

დროგბამ თქვა: *„დღევანდელი რთული პერიოდის გადალახვა ძალიან მიჭირს და მარტო მე არ ვარ ასე. ბიჭებს ერთიანად ცხვირ-პირი ჩამოსტირით, რადგან ამდენ წაგებას ჩვენთან არავინ არის დაჩვეული. ბოლო კვირებში კარლო ანჩელოტი ჩვენით კმაყოფილი არ იყო. ტრავმები, გოლების სიმცირე, ცუდი შედეგები... ამიტომაც დავითრგუნეთ ყველა. საკუთარ თავზე იმის თქმა შემიძლია, რომ ტრავმებისა და შემოდგომაზე გადატანილი მალარიის გამო ძველებურად ვეღარ ვთამაშობ".*

„ლივერპულთან" წაგების შემდეგ „ჩელსი" ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს" 10 ქულით ჩამორჩება. პრემიერლიგის მოყვარულებმა იციან, რომ ბოლო პერიოდში „ლურჯებმა" კრიზისი, თითქოს, დაძლიეს, მაგრამ დროგბას თქმით, სწორედ ამ „თითქოს დაძლეული კრიზისის" შემდგომ წაგებას აღმოაჩნდა განსაკუთრებით მწარე გემო. თავდამსხმელი განაგრძობს:

*„ჩვენ წინა სამი თამაში მოვიგეთ. დავამარცხეთ „ბლექბერნი", „ბოლტონი" და „სანდერლენდი", რის გამოც ვფიქრობდით, რომ გვირაბის ბოლოს სინათლეს ვხედავდით, მაგრამ „ლივერპულთან" წაგებამ ფეხები მოგვკვეთა და ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად მოგვისპო. ამიერიდან, „მანჩესტერ იუნაიტედის" დაწევა თითქმის შეუძლებელია".*

რასაკვირველია, ჟურნალისტებმა დროგბას ახალი თანაგუნდელის, **ფერნანდო ტორესის** შესახებაც ჰკითხეს. როგორც გაირკვა, კოტდივუარელი ვარსკვლავი მისი და ესპანელის პარტნიორობას ოპტიმისტურად უყურებს:

*„ფერნანდო ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და ჩვენს გუნდს უეჭველად დიდ ძალას შემატებს. რაც შეეხება მის პირველ თამაშს... ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ბრძოლა ტორესისთვის ემოციურად მძიმე იყო და ამან დაღი დაასვა. მეორე მხრივ, მისი „ჩელსიში" გამოჩენა იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში დიდი კონკურენცია გვექნება და ეს გუნდს ძალიან წაადგება. ბოლო წლებში სწორედ ფეხბურთელებს შორის კონკურენცია დაგვეხმარა ამდენი ტიტულის მოგებაში".*

● დერბის წინ

# ბუუ ჩემი პროფესიის ნაწილია

**ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲢᲔᲕᲔᲡᲘ** შაბათს „ოლდ ტრეფორდზე" ბრუნდება... რასაკვირველია, „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელის რანგში და თავისი ყოფილი გუნდის, „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გოლის გატანას შეეცდება. არც იმას უნდა დიდი მიხვედრა, რომ არგენტინელს „იუნაიტედის" ფანობა ღრიანცელითა და სტვენით შეხვდება და ავ სიტყვას ტრიბუნებიდან ორი ტაიმის განმავლობაში არ მოაკლებს, მაგრამ ტევესს ეს არ ადარდებს. ოდესღაც „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდადებული ფორვარდი დღეს **რობერტო მანჩინის** ტიტულისთვის მებრძოლი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავია.

ბოლო ტურში, „ვესტ ბრომვიჩთან", ისტლენდელმა თავდამსხმელმა პირველივე ტაიმში ჰეთ-ტრიკი შეასრულა და ამ სეზონში, ყველა შეჯიბრებაში გატანილი გოლების რაოდენობა ოცამდე გაზარდა. იმავე დღეს „მანჩესტერ იუნაიტედმა" აუტსაიდერ „ვულვერჰემპტონთან" 2:1 წააგო და ერთი ქალაქის ორ გუნდს შორის სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შაბათის დერბი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჟურნალ ZOO-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ტევესმა თქვა:

*„სულ არ მადარდებს დამიძახებს თუ არა „ოლდ ტრეფორდზე" ხალხი „ბუუს". ტრიბუნიდან ღრიანცელი არც გასულ სეზონში მომკლებია, მაგრამ ცხოვრებამ მასწავლა, რომ გულშემატკივრებს თავიანთი ცხოვრება და წესი აქვთ. ისინი თავიანთ გუნდს უჭერენ მხარს და სხვა არაფერი აინტერესებთ, მე კი ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე ვარ.*

*„მანჩესტერ იუნაიტედის" ვერც ერთი გულშემატკივარი ვერ იტყვის, რომ მე მათ გუნდში თამაშის დროს გულსა და სულს არ ვტოვებდი მოედანზე. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბევრ მათგანს დღემდე არ ესმის, რატომ გადავედი „იუნაიტედიდან". ერთი სიტყვით, ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის ტრიბუნიდან „ბუუს" მოსმენა პროფესიის შემადგენელი ნაწილია და ამას ყურადღებას ვერ მივაქცევ.*

*დერბი ყოველთვის განსაკუთრებულია. ძალიან მიყვარს არგენტინული და ბრაზილიური დერბები, მაგრამ ინგლისში მათ კიდევ სხვა გემო აქვს. „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ თამაში მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ შეხვედრის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება იმიტომ კი არ მაქვს, რომ „იუნაიტედის" ხალხზე ნაწყენი ვარ და შურისძიება მამოძრავებს, არამედ იმიტომ, რომ დღეს სამ ქულას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა".*

ტევესის ინტერვიუში ყურადღება მიიქცია იმან, რომ ის „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებას „სიტის" უმთავრეს მიზნად სულაც არ მიიჩნევს და ამბობს, რომ სეზონის განმავლობაში უდიდესი მნიშვნელობა მეორეხარისხოვან გუნდებთან ქულების მაქსიმალურად მოპოვებას აქვს.

*„ჩვენი დღევანდელი შემადგენლობა ძალიან ძლიერია. ბოლო წლებში ამჟამინდელზე უკეთესი გუნდი არ გვყოლია, მაგრამ თუნდაც ასეთი შემადგენლობით, მთავარი „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხება სულაც არ არის. მთავარი ქულების მოპოვებაა. ჩემპიონის ტიტული სწორედ იმ თამაშებში იკარგება და არა უშუალო კონკურენტებთან დაპირისპირებაში".*

საინტერესოა, რომ არგენტინელი ფორვარდი არცთუ დიდი ხნის წინ „მანჩესტერ სიტიდან" გაქცევას აპირებდა და ამისათვის მისი ბრაზილიელი აგენტი, ცნობილი **კია ჯურაბჩიანი** რა ხერხს არ მიმართავდა, მაგრამ დღეს ის სულ სხვა ჭკუაზეა და ამბობს, რომ ისტლენდელთა გუნდი მასზე მეტად არავის უყვარს.

*„მე ამ კლუბიდან გაქცევა არასდროს მნდომებია. „მანჩესტერ სიტის" საწინააღმდეგოდ არასდროს არაფერს გავაკეთებ. არა მგონია ამქვეყნად ეს გუნდი ვინმეს ჩემზე მეტად უყვარდეს. ამას ყოველ ტურში თავდადებული თამაშით ვამტკიცებ. ჩემთვის მთავარი სწორედ მოედანია, თორემ პრესასთან ხშირი შეხვედრით ნამდვილად არ გამოვირჩევი".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პორტრეტი

# You Wanna Be Italiano

## კაცი, რომელიც იტალიას მართლა სჭირდება

**სანამ „სკუადრა აძურას" ჩეზარე პრანდელი ჩაიბარებდა, არაიტალიელი ფეხბურთელები იტალიის ნაკრებში მთლად ტაბუდადებული თემა არ ყოფილა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთებს ვერ ნახავდით. შესაძლოა, არც პრანდელის გამოეჩინა ამ „დაუწერელი კანონის" შეცვლის ინიციატივა, რომ არა „აძურას" სამარცხვინო ასპარეზობა 2010 წლის მუნდიალზე, როცა მოქმედი ჩემპიონი ჯგუფურ ეტაპსაც კი ვერ გასცდა. ერთ-ერთი უპირველესი, რაც პრანდელიმ მარჩელო ლიპის პოსტის დაკავების შემდეგ გააკეთა, მარიო ბალოტელის ნაკრებში გამოძახება იყო. ბალოტელიზე მხოლოდ ნაცისტურად განწყობილი იტალიელი თუ იტყვის, ეგ ჩვენებური არააო, რადგან მარიოს იტალიური პასპორტის გარდა, იტალიური გვარიც აქვს, მაგრამ მაინც: პრანდელიმ ამ ნაბიჯით ნიადაგი მოსინჯა. მერე იყო ბრაზილიელი კარვალიო ამაურის „სკუადრა აძურაში" ხმობა და „ლაციოს" არგენტინელი საყრდენის, კრისტიან ლედესმას გაიტალიელება. ახლა კი იტალიის ნაკრებში უკვე ტიაგო მოტაც თამაშობს - წარმოშობით ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველის დებიუტი „სკუადრა აძურაში" გუშინ, 28 წლის ასაკში შედგა.**

**გადავწყვიტეთ, მოტა უფრო ახლოს გაგაცნოთ.**




ტიაგო მოტა იტალიის ნაკრებში განსაკუთრებით კარგად ანტონიო კასანომ მიიღო

ორშაბათს **ტიაგო მოტას** ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დღე იყო. დილას, თანაკლუბელებთან, **ჯამპაოლო პაცინისთან** და **ანდრეა რანოკიასთან** ერთად, იტალიის ნაკრების ბაზისკენ, კოვერჩანოსკენ აიღო გეზი. მართალია, მოტა ბავშვი აღარ არის, მაგრამ სანაკრებო ფეხბურთი აქამდე მისთვის უცხო ხილი იყო და ამიტომაც ამბობს, ნაკრების ბაზისკენ მიმავალს, გული ამიჩქარდა, ეს სულ სხვანაირი განცდა იყოო.

*„ვერ ვიტყვი, რომ იტალიის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. უბრალოდ, არჩევანი უნდა გამეკეთებინა: ან მხოლოდ „ინტერი", ანაც იტალიის ნაკრებიც,* - ამბობს მოტა „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში. *- იტალიის ნაკრებში თამაში იმიტომ კი არ მინდა, რომ ბრაზილიაზე შური ვიძიო, არამედ იმის გამო, რომ ყოველთვის მსურდა სანაკრებო ფეხბურთში თამაში. რაც თავი მახსოვს, ყველა მეუბნება, რომ ნაკრები სულ სხვა რამაა. ყველა ფეხბურთელი, ვისაც ვიცნობ, ყოველთვის ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა და შესაბამისად, მეც მინდოდა იმ გრძნობის გამოცდა, რასაც ნაკრებში თამაში ჰქვია."*

მოტა ოდნავადაც არ ღელავს იმის გამო, რომ პრანდელის გადაწყვეტილებებს, „აძურაში" არაიტალიელები გამოეძახა, ყველა იტალიელი აღფრთოვანებით არ შეხვედრია. ამაური, ლედესმა, ახლა უკვე მოტაც - ეს ამბები „ტიფოზების" გარკვეულ ნაწილს სულაც არ მოსწონს, მაგრამ პრანდელი უკან დახევას არ აპირებს.

*მეამაყება, რომ ფეხბურთელს, რომელიც იტალიაში არ დაბადებულა, იტალიის ნაკრებში თამაში უნდა და ვფიქრობ, ეს ნებისმიერ იტალიელს უნდა ეამაყებოდეს. მე ნაკრებში მხოლოდ ისეთებს ვიძახებ, ვინც მართლა იმსახურებს „სკუადრა აძურაში" თამაშს. მე თვითონ უდიდესი პატრიოტი ვარ და სანამ მწვრთნელი ვარ, არასდროს დავუშვებ, ჩვენს ნაკრებში ითამაშოს ისეთმა ფეხბურთელმა, რომელიც იტალიას და იტალიელებს პატივს არ სცემს, ან რომლის თამაშის სტილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ფეხბურთის თამაშის იტალიური სტილისგან. დააკვირდით, იტალიაში უმეტესად სწორედ ამაურის სტილის თავდამსხმელები, ლედესმასა და მოტას სტილის საყრდენები თამაშობენ,"* - აცხადებს ჩეზარე.

სპორტული თვალსაზრისით მოტას იტალიელების დახმარება მართლაც შეუძლია და ორი აზრი არ არსებობს, რომ „სკუადრა აძურას" ამაურიზე და ლედესმაზე მეტად გამოადგება. ტიაგომ მუხლის სერიოზული ტრავმა ნოემბერში სრულად მოიშუშა და მას მერე მუდმივად, თანაც, უმაღლეს დონეზე თამაშობს. ნოემბრის მერე მან სერია A-ში ოთხი გოლის გატანა და სამი საგოლე პასის გაკეთება შეძლო, რაც საყრდენი ნახევარმცველისთვის ძალიან კარგი შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ მისი უპირველესი ამოცანა ყოველთვის მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლაა, მოტა საკმაოდ ხშირად ერთვება შეტევებში და ეძებს მეტოქის კარისგან გათავისუფლებულ გზებს. ამაში მას საკმაოდ კარგი ტექნიკა და ის ფაქტიც ეხმარება, რომ ადრე ფუტზალს თამაშობდა.

> „ეს არ არის ბრაზილიაზე შურისძიება. უბრალოდ, ნაკრებში თამაში მინდოდა"

*„14 წლამდე ფუტზალელი ვიყავი და ეს დიდი ფეხბურთის თამაშის ჩემეულ სტილს დღემდე მაგრად ეტყობა,"* - აცხადებს მოტა და მართლაც: მისი „სავიზიტო ბარათები" ბურთთან მუდმივი კონტაქტი, მოკლე პასები, ასევე პასის მიცემა და მაშინვე გახსნაა.

როცა პრანდელიმ ნაკრებში უხმო, იტალიელმა ექსპერტებმა უდიდესი დისკუსია გააჩაღეს. უმრავლესობა ამბობდა, ჩეზარემ ტიაგოს იმიტომ დაუძახა, რომ **ანდრეა პირლო** ჰყავს ტრავმირებულიო. პრანდელი კი ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებს: *„ტიაგო მოტას მაშინაც ვაკვირდებოდი, როცა პირლო ჯანმრთელი იყო. მართალია, იტალიის ნაკრებს ნახევარდაცვაში ყველაზე ნაკლებად უჭირს, მაგრამ მინდა, რომ შუა ხაზშიც დიდი კონკურენცია მქონდეს, რადგან დღევანდელ ფეხბურთში თამაშებს მეტწილად სწორედ ძლიერი ნახევარდაცვა იგებს. თანაც, მოტა უნივერსალია და ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში."*

არადა, არც ისე დიდი ხნის წინ ტიაგო მოტას საფეხბურთო კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მენისკი, ჯვარედინი მყესების განყვეტა და მუდმივი, გაურკვეველი ტკივილები მუხლში - 28 წლის საყრდენს ეს ყველაფერი ერთად დაატყდა თავს და ექიმების ნაწილი კარიერის ნაადრევად დასრულებას ურჩევდა. მერე კი ისიც ცნობილ ამერიკელ ექიმს, **რიჩარდ სტიდმანს** ესტუმრა და ისევე, როგორც სხვა არაერთ ფეხბურთელს, მოტასაც ამ უკანასკნელმა უშველა.

თუმცა დიდხანს მაინც გაურკვეველი იყო, შეძლებდა თუ არა მოტა დიდ ფეხბურთში დაბრუნებას. სწორედ ამ გაურკვევლობის გამო გაუწყვიტა მას კონტრაქტი მადრიდის „ატლეტიკომ" 2008 წლის ზაფხულში და წესით მოტასთვის ახალი გუნდის პოვნა იოლი არ უნდა ყოფილიყო. ტრავმებით გატანჯული საყრდენის აყვანა იტალიურმა „ჯენოამ" გარისკა და რისკმა ასი პროცენტით გაამართლა. თუმცა თვითონ ფეხბურთელმაც მაგრად მოინდომა - ვარჯიშებზე ყოველთვის პირველი მიდიოდა და ბაზას ბოლო ტოვებდა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ მოტამ „ჯენოასთან" ერთად კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა. შედეგიც სახეზე იყო: „ჯენოა" მეხუთე ადგილზე გავიდა, მოტა კი თანაკლუბელ **დიეგო მილიტოსთან** ერთად მილანის „ინტერში" გადავიდა და თავიდან, ცხადია, ვერ წარმოიდგენდა, რომ „ნერაძურიში" ნამდვილი ზღაპარი ელოდა.

ერთი წლის შემდეგ ტიაგო მოტამ „ინტერთან" ერთად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც საკლუბო დონეზე შეიძლება და იმ სეზონში მხოლოდ ერთი სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა - „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში მოედნიდან გააძევეს. ეს მაინცდამაინც „ნოუ კამპზე" მოხდა - იქ, სადაც მისი კარიერა დაიწყო.

მოტა „ბარსაში" ექვსი წლის მანძილზე, 2001-დან 2007 წლამდე თამაშობდა, უფრო ადრე კი, „ბარსელონას" მეორე გუნდში ორი სეზონი ჰქონდა გატარებული. ამბობს, რომ მისთვის მისაბაძი მაგალითი „ბარსას" ჰოლანდიელი საყრდენი **ფილიპ კოკუ** იყო - მეორე ასეთი სრულყოფილი საყრდენი ნახევარმცველი არ არსებულაო. მოტას დებიუტი „ბარსელონაში" **ლუის ვან გაალის** ხელში შედგა, 2004 წლიდან კი ტრავმები დასჩემდა, რის გამოც, „ჯენოამდე" ფეხბურთი წესიერად აღარ უთამაშია.

*„ჯენოა" „ბარსასთან" შედარებით ძალიან მოკრძალებული კლუბია. მიუხედავად იმისა, რომ მოტამ ესპანეთის ჩემპიონატი ორჯერ მოიგო, ერთხელ კი ჩემპიონთა ლიგაც დააგემოვნა როცა ჩვენთან გადმოვიდა, ქედმაღლობა ოდნავადაც არ დასტყობია. მოედანს მიღმა ისე იქცეოდა, თითქოს ყველასათვის უცნობი ფეხბურთელი იყო, მოედანზე კი ნამდვილი ლიდერი გახლდათ. გადამწყვეტ მომენტებში ყველანი მას ვუყურებდით, პასებს ყოველთვის მას ვაძლევდით,"* - ეს ტიაგო მოტას ჯენოელი თანაგუნდელის, ფორვარდ **რაფაელე პალადინოს** სიტყვებია.

დღეს ტიაგო მოტას ჩემპიონთა ლიგა უკვე ორჯერ აქვს მოგებული და ახლა იტალიის ნაკრების წევრიცაა. ეს კი მისთვის უკვე დიდი ტრიუმფია. მიუხედავად ამისა, ტიაგო მოტა ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ და გაწონასწორებულ ფეხბურთელად დარჩა. ფაქტია, მას ყველა წინა პირობა აქვს შექმნილი საიმისოდ, რომ იტალიის ნაკრების შეუცვლელი ფიგურა გახდეს.

● შალკე

# მაგათი: ნოიერს ვერ წაგვართმევენ!

## თურმე რა უდევს მანუელს კონტრაქტში...

„შალკეს" მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** გუნდის „ნატვრისთვალის", მეკარე **მანუელ ნოიერის** გაყიდვას კატეგორიულად გამორიცხავს და ირწმუნება, ეს ბიჭი მინიმუმ 2012 წლამდე „შალკეში" ითამაშებსო. ასეთი განცხადება „დესპოტმა ფელიქსმა" „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.




ფელიქს მაგათი მანუელ ნოიერის შენარჩუნებისთვის ყველაფერს აკეთებს

როგორც იცით, გერმანიის ნაკრების კიპერს, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია, მთხოვნელების დიდი რიგი უდგას. ყველაზე მეტად მიუნხენის „ბაიერნი" აქტიურობდა, მაგრამ რაკი რეკორდმაისტერმა იანვარში მანუელის გადაბირება ვერ შეძლო და ბუნდესმეკარე ვერც ზაფხულისთვის დაიბევა, ლუის ვან გაალმა ახალგაზრდა **თომას კრაფტზე** გააკეთა აქცენტი და ვარაუდობს, რომ ეს უკანასკნელი იმედებს იმდენად გაუმართლებს, რომ ბავარიელებს ნოიერის ყიდვა აღარ დასჭირდებათ.

მაგათი კი ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ ნოიერის ახალ კონტრაქტზე დათანხმებას შეძლებს. *„თებერვალში ან მარტში მანუელთან მოლაპარაკებებს დავიწყებ და იმედი მაქვს, ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, როგორსაც მისგან „შალკეს" გულშემატკივრები ელიან. ერთი რამის თქმა ახლავე შემიძლია: მანუელ ნოიერი მინიმუმ 2012 წლამდე აუცილებლად „შალკეში" ითამაშებს,"* - ამბობს მაგათი.

ფეხბურთელის აგენტის, **თომას კროთის** თქმით, მანუელთან დაკავშირებით ახალი არაფერია. კროთი ამბობს, ფაქტი ისაა, რომ ნოიერს „შალკესთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებსო.

გელზენკირხენულ კლუბს 21 ტურის შემდეგ ბუნდესლიგაში 26 ქულა აქვს და ცხრილის ქვედა ნახევარშია. „შალკეს" გასავარდნ ზონას მხოლოდ 4 ქულა აშორებს. გელზენკირხენში ყველა ხვდება, რომ რომ არა მანუელ ნოიერი, „შალკე" ახლა გასავარდნ ზონაში იქნებოდა. ამასობაში, „შპორტ ბილდმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ნოიერს არსებულ კონტრაქტში ისეთი პუნქტი უდევს, რომ ნებისმიერი ოფიციალური შემოთავაზება მის ხელფასს ავტომატურად ზრდის. მაგალითად, თუ ჩემპიონთა ლიგის რომელიმე წარმომადგენელი „შალკეს" ნოიერში 15 მილიონ ევროზე მეტს შესთავაზებს და გელზენკირხენული კლუბი მანუელის გაყიდვაზე უარს იტყვის, ნოიერის ხელფასი ავტომატურად 20 პროცენტით გაიზრდება.

მანუელის ჯამაგირი ამჟამად წელიწადში 2 მილიონ ევროს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტრაქტში ჩადებული ზემოთ ხსენებული პუნქტი ოფიციალური წინადადების არსებობის შემთხვევაში მეკარის ხელფასს 400 000 ევროთი გაზრდის.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანური კალეიდოსკოპი

### ბარსა ზაფხულში 40 მილიონს დახარჯავს

„ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტმა ფინანსურ დარგში **ხავიერ ფაუსმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კლუბი ზაფხულის სატრანსფერო სეზონში 40 მილიონ ევროს დახარჯავს გასაძლიერებლად. ერთი მხრივ, საკმაოდ სოლიდური თანხაა, ნებისმიერ გუნდში (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) ამ ფრაზის გაგონებაზე მწვრთნელი სიხარულით ცას ეწეოდა, მაგრამ ასე ხომ „ბლაუგრანა" სანუკვარ ოცნებას ვერ აისრულებს! 40 მილიონი ევრო მარტო **სესკ ფაბრეგასის** ტრანსფერს არ ეყოფა. „შარშან ჩვენ მათ 40 მილიონი შევთავაზეთ სესკის სანაცვლოდ, „არსენალი" კი მოლაპარაკების მაგიდასაც კი არ მიუჯდა. სამწუხაროდ, ეკონომიკური მდგომარეობა 40 მილიონზე მეტის დახარჯვის საშუალებას არ გვაძლევს, თუნდაც ეს ფეხბურთელი ფაბრეგასი იყოს. ამიტომაც, ამ თანხით, ალბათ, სხვა ფეხბურთელით ან ფეხბურთელებით გავძლიერდებით ზაფხულში", - განაცხადა ფაუსმა.

შეგახსენებთ, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონში „ბარსელონამ" თითქმის იუქმა, მხოლოდ 24 წლის ჰოლანდიელი გარემარბი **იბრაჰიმ აფელაი** შეიძინა და ისიც, სულ რაღაც, 3 მილიონ ევროდ.

### პეპე არსენალში?

„დიარიო ასი" ამტკიცებს, რომ ლონდონის „არსენალი" პორტუგალიელ **პეპეს** სანაცვლოდ „რეალს" 30 მილიონ ევროს სთავაზობს. პეპეს თითქმის ჩაეშალა მოლაპარაკებები „სამეფო კლუბთან" კონტრაქტის გაუმჯობესების თაობაზე, სხვანაირად კი მცველს კონტრაქტის გახანგრძლივება არ სურს. პორტუგალიელის ხელშეკრულებას ვადა 2012 წელს გასდის. პეპე „რეალში" წელიწადში 1,8 მილიონ ევროს იღებს, ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ხელფასია მადრიდულ კლუბში. არადა, პეპე დაცვის ხაზის ნამდვილი ლიდერია. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია, ვერ გეტყვით, თუმცა „არსენალს" არ ახასიათებს ამხელა თანხის გადახდა.

### ისევ მესი და ისევ რონალდო

„კასტროლის" ფეხბურთელთა რეიტინგ-ლისტში **ლიონელ მესი** კვლავ პირველ ადგილზეა. მესის მთავარი კონკურენტი **კრიშტიანო რონალდო** აქაც მეორეა. არგენტინელს 1227 ქულა აქვს, ხოლო პორტუგალიელს - 996. „კასტროლის" მოწინავე 10-ეული ასე გამოიყურება: 3. **გონსალო იგუაინი** (რეალი) - 912 ქულა; 4. **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ტოტენჰემი) - 871; 5. **დიმიტარ ბერბატოვი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 867; 6. **ლუკას ბარიოსი** (დორტმუნდი) - 849; 7. **ფრენკ ლამპარდი** (ჩელსი) - 848; 8. **ფლორან მალუდა** (ჩელსი) - 832; 9. **დავიდ ვილია** (ბარსელონა) - 831; 10. **მატს ჰუმელსი** (დორტმუნდი) - 829. „კასტროლის" ახალი რეიტინგი 9 მარტს გამოქვეყნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## მილანი

# სამი ამბავი მილანელოდან

"მილანის" გულშემატკივრებისთვის ერთი კარგი, ერთი ცუდი და ერთიც ისეთი ამბავი გვაქვს, არც კარგი რომ ეთქმის და არც ცუდი. თავდაპირველად სწორედ ამ უკანასკნელის შესახებ ვთქვათ. თურმე, ამ ზამთარს **მარკ ვან ბომელს** ინგლისურ "ტოტენჰემთან" ჰქონია მოლაპარაკებები და დიდი იყო შანსი, ჰოლანდიელი ლონდონურ გუნდში გადაბარგებულიყო. ეს ისტორია კი იმად გახლავთ საინტერესო, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე "ტოტენჰემი" ვან ბომელის ამჟამინდელი გუნდის, "მილანის" მეტოქეა – ამ საკითხზე ჰოლანდიელი საინტერესოდ საუბრობს:

"ინგლისელები უფრო ადრე შემეხმიანენ, ვიდრე იტალიელები და მოლაპარაკებებიც დავიწყეთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან დიდი სურვილი მქონდა ამ გუნდში გადაბარგების და რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთე. მოლაპარაკებებში რაფაელ ვან დერ ვაარტიც იყო ჩართული, რომელმაც მისი კლუბი და იქ არსებული ატმოსფერო ძალიან კარგად დამიხასიათა. რაფა ჩემი ახლო მეგობარია და მართლაც მომინდა, რომ "ტოტენჰემში" გადავსულიყავი. მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული, როდესაც მიუნხენის "ბაიერნის" მესვეურებს შეთავაზებული თანხა ეცოტავათ და პროცესი ჩიხში შევიდა. ამ ყველაფერმა ძალიან დამწყვიტა გული, მაგრამ ბედს შევეგუე. სულ მალე "მილანის" მესვეურები შემოგვეხმიანენ და ახალ გუნდში ამოვყავი თავი. იტალიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე "ტოტენჰემთან" მომიწევს თამაში – არადა, დიდი იყო შანსი, პირიქით, ინგლისური გუნდის შემადგენლობაში "მილანის" წინააღმდეგ მეასპარეზა".

ცუდ ამბავზე დიდხანს აღარ განერვიულებთ და გეტყვით, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გადატვირთულმა კალენდარმა ძალიან გადაღალა – ამის შესახებ პრესასთან ვრცლად ისაუბრა: "დასამალი არაფერია, თავს ცუდად ვგრძნობ, გადაღლილი ვარ და ბოლო ორ შეხვედრაში საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინე. დასვენება ნამდვილად არ მაწყენდა და ამის შესახებ მასიმილიანო ალეგრის აუცილებლად დაველაპარაკები. არ იფიქროთ, რომელიმე მატჩის გამოტოვება მსურდეს, პირიქით, მინდა, რომ აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში მივიღო მონაწილეობა და თანაც, საუკეთესო კუთხით წარმოვჩინდე. იქნებ გარკვეული პერიოდით ვარჯიშების შემსუბუქება იყოს საჭირო, ამაზე მსურს მწვრთნელთან ლაპარაკი და ვნახოთ, რას მეტყვის. ალეგრის უდიდეს პატივს ვცემ და ნებისმიერ შემთხვევაში, მის აზრს გავითვალისწინებ".

იბრაჰიმოვიჩი "მილანისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და მისი ასეთ მდგომარეობაში ყოფნა ძალიან ცუდი ამბავია. მით უმეტეს, კარს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის ბატალიებია მომდგარი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "როსონერის" "ტოტენჰემთან" მოუწევს ჭიდილი. სამაგიეროდ, **ალესანდრო ნესტა** ადგას გამოჯანმრთელების გზას და ესეც კარგი ამბავი. "გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 34 წლის მცველმა მსუბუქად დაიწყო ვარჯიში და სულ მალე, გუნდსაც შეუერთდება. არ არის გამორიცხული, სერია A-ს მომდევნო პაექრობაში ცოტა ხნით მაინც გავიდეს მოედანზე, აი, მომდევნო კვირიდან კი აუცილებლად ითამაშებს. შესაბამისად, ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში გუნდთან ერთად იქნება. თავად ფეხბურთელი შესანიშნავ ხასიათზეა და ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება მოედანს:

"სამწუხაროდ, ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, რომ ყველა შეხვედრაში მივიღო მონაწილეობა. ამ სეზონში 23 მატჩი მაქვს ნათამაშები და სიმართლე გითხრათ, ამითაც კმაყოფილი ვარ. თუმცა, ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ, მალე გამოვჯანმრთელდები და კიდევ ერთხელ მოვირგებ "მილანის" მაისურს. მთავარი ბრძოლები წინ გველის როგორც სერია A-ში, ისე ჩემპიონთა ლიგასა და იტალიის თასზე".


იბრა დაიღალა

**ლაშა ნიკლაური**

## დიდი მატჩის წინ


ვესლი სნეიდერი

# სნეიდერი და მაროტა დერბიზე

**ვესლი სნეიდერისთვის** სეზონის პირველმა ეტაპმა წარუმატებლად ჩაიარა - ძირითადად ლაზარეთში იყო და რაც ითამაშა, იქაც ბევრი ვერაფერი გვაჩვენა. სამაგიეროდ, **ლეონარდოს** ხელში ათამაშდა შესანიშნავად და გასული სეზონის მსგავსად, გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. ჰოლანდიელმა გასულ ტურში გაიბრწყინა, "რომასთან" შეხვედრაში შესანიშნავი დარტყმით გახსნა ანგარიში და დიდი წვლილი შეიტანა "ინტერის" გამარჯვებაში. სნეიდერმა მომავალ უქმეებზე გასამართ დიდ იტალიურ დერბიზე ისაუბრა:

"ძალიან მიხარია, რომ საკუთარი თავი დავიბრუნეთ და თამაშს თამაშზე ვიგებთ. ისევე მსიამოვნებს ფეხბურთის თამაში, როგორც გასულ სეზონში და ეს ნამდვილად ლეონარდოს დამსახურებაა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ "მილანთან" ჩამორჩენა მცირდება და სულ მალე პირველ ადგილზე გადავალთ. მთავარია, რომ დიდი იტალიური დერბი მოვიგოთ და შემდეგ, ზედ "ფიორენტინაც" მივაყოლოთ. "იუვენტუსის" დამარცხება ფსიქოლოგიური კუთხითაც უმნიშვნელოვანესი იქნება, კიდევ უფრო ვირწმუნებთ საკუთარ ძალებს და შემდეგ უკვე ნამდვილად ველარავინ შეგვაჩერებს".

მოახლოებულ პაექრობაზე "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტაც** საუბრობს: "ეს ის "ინტერი" აღარ არის, რომელსაც საკუთარი თავის არ სჯეროდა და ქულებს აქეთ-იქით ანიავებდა. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ბევრი რამე შეცვალა გუნდში და უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ დადებითი კუთხით. ორი აზრი არ არსებობს, რომ ამ "ნერაძურის" "მილანისთვის" დიდი კონკურენციის გაწევა შეუძლია. ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებმაც უკვე არაერთხელ დაამტკიცეს, რომ დიდი მიზნების მიღწევა შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ, რომ "ინტერს" ტოლსწორად ვეპაექროთ და ვაჯობოთ კიდეც".

**ლაშა ნიკლაური**

## პალერმო

# ტიფოზების წერილი პრეზიდენტს

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში **დელიო როსი** "პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლონ. ამის შესახებ კულუარებშიც აქტიურად საუბრობენ და მიზეზად მწვრთნელსა და კლუბის პრეზიდენტს შორის არსებულ კონფლიქტს ასახელებენ. სიცილიური გუნდი სერია A-ს სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა, რაც შესანიშნავი შედეგია, მაგრამ ექსტრავაგანტური **მაურიციო ძამპარინისთვის** არაადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ, დელიო როსის შესაძლო გათავისუფლების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არავის გაკვირვებია. მართალია, ცნობა ჯერ არ დადასტურებულა და ზუსტად არავინ იცის, მართლაც აპირებს თუ არა ძამპარინი მწვრთნელის გაშვებას, მაგრამ გუნდის გულშემატკივრებმა თავი დაიზღვიეს და პრეზიდენტს ღია წერილით მიმართეს:

"ძვირფასო პრეზიდენტო, კარგად გვესმის, რომ ჩვენი ქალაქის ფეხბურთი პირველ რიგში თქვენს სახელთან არის დაკავშირებული. ძალიან ბევრი რამ გააკეთეთ გუნდისთვის და ის, რომ დღეს სერია A-ში მაღალი ადგილებისთვის ვიბრძვით, სწორედ თქვენი დამსახურებაა. ამასთან, ვფიქრობთ, რომ თავის დროზე შესანიშნავი გადაწყვეტილება მიიღეთ, როდესაც მთავარ მწვრთნელად დელიო როსი მოიწვიეთ. ის იდეალურად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც შედეგებიდანაც კარგად ჩანს. სერია A-ში მეხუთე ადგილზე ვართ და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძვით, იტალიის თასზე კი ნახევარფინალში გავედით. ამასთან, როსი ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს, რაც მომავლის რწმენას გვიღრმავებს. ვფიქრობთ, სენიორ დელიო იდეალური მწვრთნელია "პალერმოსთვის" და იმედია, ჩვენს აზრს თქვენც გაიზიარებთ".

ამასობაში, კიდევ ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა "პალერმოს" შესახებ, რომლის მიხედვითაც **ხავიერ პასტორეს** გადაბირებით "იუვენტუსია" დაინტერესებული. "კორიერეს" ცნობით, ტურინელები ზაფხულში შეეცდებიან არგენტინელის შეძენას და მზად არიან, მის სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადონ. ამ ამბავმა თავად ფეხბურთელამდეც მიაღწია და მოკლე კომენტარიც გააკეთა: "ამჟამინდელ კლუბთან 2015 წლამდე მაქვს კონტრაქტი გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემს ბედს მაურიციო ძამპარინი გადაწყვეტს. სიცილიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ თუ გრანდში გადაბარგების შანსი მომეცემა, სიამოვნებით დავთანხმდები. თუ "პალერმოს" პრეზიდენტმა ჩემი გასხვისება გადაწყვიტა, უპირატესობას იმ გუნდს მივანიჭებ, სადაც ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის მეტი შანსი მექნება. მაგალითად, "რეალში" და "ბარსელონაში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ იქ სასტარტოში მოხვედრა დღეს ძალიან რთულია. სხვა ამბავია "იუვენტუსი", რომელიც ჩამოყალიბების სტადიაშია და იქ მეტი შანსია, რომ ძირითადში დამკვიდრდე. ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ ჩემით ტურინული გრანდია დაინტერესებული. თანაც, ჩემი წინაპრები წარმოშობით პიემონტის რეგიონიდან არიან - ასე რომ, "იუვეში" ასპარეზობა ჩემთვის დიდი პატივი იქნება"

"პალერმოს" გულშემატკივრებს ისღა დარჩენიათ, რომ პრეზიდენტის სახელზე კიდევ ერთი წერილი გაამზადონ, სადაც გუნდისთვის ხავიერ პასტორეს მნიშვნელობაზე იქნება საუბარი.


დელიო როსი გულშემატკივრებს არ ეთმობათ

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

საკლუბო პორტრეტი

ბილბაო

# ლომების მომთვინიერებლები კათედრალიდან

## რას უმზადებს ბილბაო საფეხბურთო ევროპას

პრიმერას 22-ე ტურში ბილბაოს „ატლეტიკმა" **დავიდ ლოპესის, გაისკა ტოკეროსა** და **ფერნანდო ლორენტეს** გოლებით 3:0 გაანადგურა ხიხონის „სპორტინგი" და ლა ლიგაში უკვე მე-5 ადგილზე გადაინაცვლა. სეზონის ბოლო რომ იყოს, ეს ადგილი ბილბაოელებს ევროპის ლიგაში თამაშის საშუალებას მისცემდა, თუმცა არც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მომტან მე-4 ადგილამდე არის უზომოდ შორი - ბასკებს „ვალენსიამდე" 6 ქულა აშორებთ. მაშინ, როცა ესპანურ პრიმერაში „ბარსას" გარდა ყველა გუნდს სხვადასხვა პრობლემა ექმნება - ბილბაოელებს ჯერჯერობით ულხინთ: მათი მთავარი მონაპოვარი მაინც მსოფლიოს ჩემპიონი ფორვარდის, **ფერნანდო ლორენტეს** შენარჩუნებაა. „მეფე ლომს", როგორც ტანმაღალ ცენტრფორვარდს ესპანეთში უწოდებენ, ზამთრის სატრანსფერო სეზონის ერთ-ერთ ყველაზე „მსუყე ლუკმად" თვლიდნენ, მაგრამ ეს „ლუკმა" ვერც „რეალმა" და ვერც სხვა კლუბმა ჩაიგდო ხელთ - ლორენტე „ატლეტიკში" დარჩა. პლუს ამას, ახლახან ვწერდით, რომ „ატლეტიკმა" ოფიციალურად დაიბევა „სარაგოსას" ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი **ანდერ ერერა**, რომლის სანაცვლოდაც ბილბაოელები 8,5 მილიონ ევროს გადაიხდიან. ანდერი „ატლეტიკის" ფორმას 1-ელ ივლისიდან მოირგებს.

ლიდერები



20. ფერნანდო ლორენტე

25 წლის, 194 სმ

22 თამაში, 13 გოლი



16. ხავი მარტინესი

22 წლის, 190 სმ

20 თამაში, 4 გოლი

შუა სატრანსფერო პერიოდში „ლოს ლეონესის" (ლომები ესპანურად) პრეზიდენტი **ფერნანდო გარსია მაკუა** დაიღალა ერთი და იმავეს მტკიცებით, რომ ფერნანდო ლორენტეს არც თავად სურს კლუბთან განშორება და რომ მას არც არანაირ თანხად არ გაყიდიან. *„ფეხბურთში მთავარი ფული არ არის, ასეც რომ იყოს, ფული ჩვენ არ გვაკლია, ლორენტეს გაყიდვა კი არა, ჩვენი განვითარების კონკრეტული გეგმა გვაქვს და ამ გეგმაში ფერნანდოს ცენტრალური როლი უკავია. ჩვენი გეგმის დეტალებს კი ნელ-ნელა შეიტყობთ"*, - ამტკიცებდა პრეზიდენტი, მაგრამ არავინ უჯერებდა. ყველას ეგონა, რომ ის „რეალთან" ან რომელიმე სხვა პოტენციურ მყიდველ კლუბთან ვაჭრობდა. დრო გადის და მაკუას სიტყვების სიმართლე ნელ-ნელა აშკარა ხდება, თუნდაც ანდერის ტრანსფერი ჩათვალეთ საამისო მტკიცებულებად, ან თუნდაც ის, რომ ფერნანდო ლორენტე აცხადებს: *„კლუბის დატოვებას არ ვაპირებ. მეამაყება, რომ ისეთი მდიდარი ისტორიის ნაწილი ვარ, როგორიც ბილბაოს „ატლეტიკია"*.

კლუბს ისტორია მართლაც ძალზე მდიდრული და ორიგინალური აქვს. მის მოყოლას ახლა არ შევუდგებით, უბრალოდ ვიტყვით, რომ 1898 წელს შექმნილი კლუბი „რეალთან" და „ბარსელონასთან" ერთად იმ ტრიუმვირატს ქმნის, რომელიც არასოდეს გავარდნილა პრიმერადან. „ატლეტიკი" ესპანეთის ჩემპიონი 8-ჯერ გახდა, სამეფო თასი კი 23-ჯერ მოიგო! თუმცა ბასკები საერთაშორისო ასპარეზზე უეფას თასის ფინალში გასვლის მეტი (1977 წ) დიდი ვერაფრით დაიკვეხნის. ორიგინალურობა კი ყველასთვის ცნობილია - ბილბაოს „ატლეტიკი" ყოველთვის ადგილობრივ ტალანტებს ეყრდნობა, ის მოთამაშეებს მხოლოდ „დიდი ბასკეთიდან" იწვევს (ამ რეგიონში შედის ბისკაია, გიპუსკოა, ალავა, ნავარა - ესპანეთში და ლაბური, სოლა და ქვედა ნავარა - საფრანგეთში). „ატლეტიკი" „სან მამესზე" თამაშობს, რომელსაც ესპანეთში, არც მეტი არც ნაკლები, „საფეხბურთო კათედრალი" ეწოდება. **მამესი** იყო ქრისტიანი, რომელიც რომაელებმა ლომებს შეუგდეს საჯიჯგნად, თუმცა ლომები მოულოდნელად თვინიერნი გახდა და მას არც კი გაეკარნენ. მოგვიანებით ის ესპანეთში წმინდანად შერაცხეს.



**ბილბაო ამ სეზონში:** ირაისოსი (22), ირაოლა (22, 2), ლორენტე (22, 13), ხ. მარტინესი (20, 4), სან ხოსე (20, 2), გურპეგი (19, 2), მუნიაინი (19, 2), სუსაეტა (19), გაბილონდო (18, 5), ტოკერო (16, 3), დ. ლოპესი (14, 3), ორბაისი (13), აურტენეჩე (10), იტურასპე (10), კოიკილი (10), ამორებიეტა (9), უსტარიცი (9), ი. მარტინესი (8), დე მარკოსი (6), ეკიზა (5), ველესი (5), ოსიო (4), კასტილიო (3), პერესი (2, 1), ვერა (1), დე სერიო (1), გომესი (1), ა. ფერნანდესი, ი. ფერნანდესი, ბალენზიაგა, ჩ. ეჩებარია.

მოკლედ, მდიდარ ისტორიას დღეს კარგი ბაზისი და შესანიშნავი პერსპექტივა უმაგრებს ზურგს. **ხოაკინ კაპაროსმა** მოახერხა ბრძოლისუნარიანი კოლექტივის შეკვრა. გასულ სეზონში მე-8 ადგილზე გასული „ბილბაო" წლეულს აშკარად მეტისთვისაა მზად. 55 წლის სპეციალისტი 2007 წლიდან უძღვება გუნდს, უნარიანადაც.

ახალ სეზონში ნახევარზე მეტი გაილია და ბილბაოელებმა 22-დან 12 თამაში მოიგეს, 2-ჯერ კი ფრე ითამაშეს. მათ მეტოქეთა კარი 37-ჯერ დალაშქრეს. 5 დეკემბერს „რეალ სოსიედადთან" ბასკურ დერბიში 0:2 წაგების შემდეგ კაპაროსის გუნდმა 8 ტურიდან 6 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა და 1 წააგო, ბოლო ოთხი მატჩია, „ბილბაო" მხოლოდ იგებს (10-1 ბურთების ბალანსი). რის ხარჯზე მოახერხეს ბილბაოელებმა მდგომარეობის გაუმჯობესება ბოლო დროს? - პასუხი ცალსახაა, გუნდი შეთამაშდა და გაცილებით უკეთ აკონტროლებს ბურთს. ადრე თუ ეს ძალიან უჭირდა („ბარსელონასთან" ბურთის ფლობის პროცენტი სამარცხვინო ჰქონდათ - 26%), ახლა ამ მაჩვენებლით შინ ყველას სჯობნიან, სტუმრად კი თანასწორად არიან.

კაპაროსის უპირატესობა ის არის, რომ მას სხვა საშუალო ესპანური გუნდებისგან განსხვავებით ტაქტიკური სქემების ცვლის საშუალება აქვს, მას ჰყავს შესაბამისი კადრები. ათამაშდა **გაისკა ტოკერო** და მწვრთნელმა ორი თავდამსხმელით თამაშზე გააკეთა აქცენტი (ერთხელ სამიც დააყენა). ბოლო ტურებია მწვრთნელი 4-3-1-2 სისტემას იყენებს. ასეთ შემთხვევაში „ბილბაო" ფერნანდო ლორენტესა და გაისკა ტოკეროს წყვილს იყენებს, რომელთაც სიღრმიდან **კარლოს გურპეგი** ეხმარება. ახალი სეზონიდან ამ სამკუთხედის საწყის წახნაგში სწორედ ანდერ ერერას უპირებენ ჩასმას.

მოკლედ, განვიხილოთ კაპაროსის „ლომები". ვნახოთ, რა არის ბასკთა ბოლოდროინდელი წარმატებების მიზეზი. კარს იცავს 29 წლის **გორკა ირაისოსი,** რომელმაც ამ სეზონში ყველა მატჩი ჩაატარა შეუცვლელად. 189 სმ სიმაღლის მეკარე 2007 წელს იყიდეს „ესპანიოლიდან" 4,6 მილიონ ევროდ. მან დაიმკვიდრა ძირითადში ადგილი. თუ როგორი მეკარეა გორკა, სჯობს **კაკას** და **კრიშტიანო რონალდოს** ჰკითხოთ, შარშან იანვარში მან „რეალის" წინააღმდეგ ფანტასტიკური „სეივები" აკეთა. თუკი დაცვის მარცხენა ფრთაზე ამ სეზონში უკვე 4 ფეხბურთელი მოსინჯეს, მარჯვენაზე ყველაფერი გარკვეულია - 28 წლის **ანდონი ირაოლა** „ატლეტიკის" განთქმული საბავშვო სისტემის, ლეზამას აღზრდილია. შემტევი, მებრძოლი და კარგი ჩაწოდების პატრონი , ტექნიკური და აგრესიული გუნდური სტილის ფეხბურთელია. როცა წინ ფერნანდო ლორენტე გყავს, ირაოლას დარი ჩამწოდებლები აუცილებლად საჭიროა გუნდში. მარცხენა ფლანგი ჯერ ვერ გაიყვეს გამოცდილმა **კოიკილი დელ კამპომ** და 19 წლის **იონ აურტენეჩემ.** ეს უკანასკნელი ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრი და გუნდის მომავალი ბირთვის სავარაუდო ნაწილია. დაცვის ცენტრში დაიბევა ადგილი **მიკელ სან ხოსემ**, 21 წლის ტანმაღალმა ფეხბურთელმა, რომელიც „ლივერპულის" საკუთრება იყო და მშობლიურ კლუბს მისმა გამოსყიდვამ მოუწია. სან ხოსეს უპირატესობა თავით თამაში და უნივერსალობაა. ის ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, მაგრამ ახლა ასაკით აღარ უწევს **ოთარ გაბელიას** გუნდთან დაპირისპირება. მეორე ცენტრალურ მცველად დამკვიდრებას ბასკური წარმოშობის ვენესუელელი **ფერნანდო ამორებიეტა, უსტარიც ასტარლოა** და ახალი შენაძენი, 22 წლის **ბორხა ეკიზა** ცდილობენ. არის კიდევ გამოცდილი **აიტორ ოსიოც,** მაგრამ მისი დრო უკვე წასულია.

ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე ბოლო დროს 28 წლის **დავიდ ლოპესმა** აჯობა 23 წლის **მარკელ სუსაეტას.** მარცხენა ფლანგზე კი ბასკური კლუბის უმთავრესი იმედი - **იკერ მუნიაინი** თამაშობს. 18 წლის მუნიაინს კი ნამდვილად ვიხილავთ თბილისში, თუ ტრავმამ არ შეუშალა ხელი ან... ესპანეთის მთავარ ნაკრებში არ გამოიძახეს. იკერი „ატლეტიკის" მდიდარ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა იყო, როცა „ბილბაოს" ძირითადი გუნდის მაისურა მოირგო - 16 წლისა და 7 თვის. ტანდაბალი მუნიაინი რაკეტასავით დაქრის მარცხენა ფლანგზე და უაღრესად ტექნიკურია. ამ ფლანგზე ხანდახან ვეტერანი **იგორ გაბილონდო** თამაშობს.

მომავალი



27. იკერ მუნიაინი

18 წლის, 167 სმ

19 თ, 2 გოლი



ანდერ ერერა

21 წლის, 182 სმ

ითამაშებს 1 ივლისიდან

მოედნის შუაში ორ ფეხბურთელს გამოვარჩევთ: მსოფლიოს ჩემპიონ 22 წლის **ხავიერ მარტინესს** და კარლოს გურპეგის. იცით, როგორი ფეხბურთელია ხავი მარტინესი? ისეთი, როგორსაც ნებისმიერი გუნდი ინატრებს! 190 სანტიმეტრი სიმაღლის მარტინესი ერთდროულად სწრაფიც არის, ტექნიკურიც, თავით უბადლოდ თამაშობს, დიდებულად ართმევს თავს თავდაცვით ფუნქციებს, მაგრამ შეტევაშიც მაგარია, კარგად ასრულებს სტანდარტულებს. მეტი რაღა ქნას ფეხბურთელმა, რომელიც „ბილბაომ" 17 წლის ასაკში 6 მილიონ ევროდ წაჰგვარა „ოსასუნას". ამბობენ, რომ პამპლონაში ახლაც ნანობენ მარტინესის გაშვებას და ამას კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდ შეცდომად აფასებენ. 2010 წელს მას „დონ ბალონის" პრიზი გადაეცა, როგორიც სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ ფეხბურთელს. გურპეგის გარდა შუა ხაზში თამაშობს **პაბლო ორბაისიც**, გუნდის კაპიტანი. წინა ხაზზე კი უკვე დავწერეთ...

დანიშვნა

# მარსელინო მედიას წარუდგინეს





გუშინ ვწერდით, რომ სანტანდერის „რასინგიდან" გათავისუფლებული **მიგელ ანხელ პორტუგალის** ნაცვლად **მარსელინო გარსია ტორალის** კანდიდატურა განიხილებოდა. ვარაუდი გამართლდა - დღეიდან მარსელინო კანტაბრიული გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელია. „რასინგის" ახალმა მეპატრონემ, ინდოელმა ბიზნესმენმა **ალი საიედმა** სულ ორი ტური ითმინა პორტუგალის მწვრთნელობა და სპეციალისტს კარზე მიუთითა. არადა ამ ორ მატჩში „რასინგს" არ წაუგია: „ვალენსიას" და „სარაგოსას" ფრე ეთამაშა. თავად პორტუგალი ამტკიცებს და, ძნელია, ეჭვი შევიტანოთ მის სიტყვებში, რომ ახალ მეპატრონეს ის არასოდეს შეხვედრია. როგორც ჩანს, 55 წლის პორტუგალის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა ალი საიედმა კანტაბრიული კლუბი გადაიბარა.

45 წლის მარსელინო ახალი მწვრთნელია, მაგრამ მას ადრეც უმუშავია „რასინგში". 2007-08 წლების სეზონში მარსელინომ ნაყოფიერად იშრომა „თეთრ-მწვანეებში", გუნდი მე-6 ადგილზე გაიყვანა და ევროთასის საგზური მოუპოვა... შემდეგ კი „სარაგოსაში" წავიდა.

2009 წლის ბოლოს მარსელინო არაგონული გუნდიდან გაუშვეს და მას შემდეგ ის უმუშევარი იყო. ახლა კი მარსელინო ისევ მთავარი მესაჭეა „ელ სარდინიეროზე". გუშინ დილით ახალი მწვრთნელი „რასინგის" ფეხბურთელებს წარუდგინეს, ნაშუადღევს კი - მედიას. დღეიდან „სევილიასთან" მატჩისთვის „რასინგს" მარსელინო მოამზადებს.

„რასინგის" პრეზიდენტმა **ფრანსისკო პერნიამ** პრეზენტაციაზე ასეთი სიტყვებით მიმართა მარსელინოს: *„გილოცავ სახლში დაბრუნებას და გისურვებ წარმატებას. დღეს ძალიან კარგი დღეა, რადგან სამი წლის წინათ, როცა ერთმანეთს ნახვამდის ვუთხარით, მარსელინოსთან ერთად მისი გუნდიც დაგვემშვიდობა. მართალია, თავად ყოველთვის ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობას ძველ ნაცნობებთან, მაგრამ მაინც გაგვიჭირდა მწვრთნელობის ისევ მისთვის შეთავაზება. მოხარულები ვართ, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, მარსელინოს კი ძველი წარმატების გამეორებას ვუსურვებთ"*, - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა. მარსელინომ 1,5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

პორტუგალი მეხუთე მწვრთნელია, რომელიც ლა ლიგის ახალი სეზონის დაწყების შემდეგ მოხსნეს. სექტემბრის ბოლოს „სევილიამ" **ანტონიო ალვარესი** გაათავისუფლა და **გრეგორიო მანსანო** დანიშნა, ნოემბერში სამი მწვრთნელი შეიცვალა, „მალაგამ" პორტუგალიელი **ჟეზუალდუ ფერეირას** ნაცვლად ჩილელი **მანუელ პელეგრინი** დანიშნა, ხოლო „სარაგოსაში" **ხოსე აურელიო გაის** ნავლად მექსიკელი **ხავიერ აგირე** მიიყვანეს, „ალმერიამ" **ხუან მანუელ ლილიოს** ნაცვლად **ხოსე ლუის ოლტრა** დანიშნა. ვინ იქნება შემდეგი?

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

დაპირისპირება

# კლუბები ფიფას წინააღმდეგ


კარლ-ჰაინც რუმენიგე

ევროპული კლუბების ასოციაციამ რამდენიმე დღის წინ ჟენევაში ტრადიციული შეკრება გამართა, სადაც გამომსვლელებმა ფიფა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ძველი კონტინენტის წამყვანი კლუბების ბოსებმა მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას გადაწყვეტილებების მიღებისას ბიუროკრატიზმში დასდეს ბრალი, ხოლო თავად კლუბებთან ურთიერთობისას - მათი ინტერესების გაუთვალისწინებლობა. ევროპული კლუბების გაღიზიანებას პირველ რიგში ის იწვევს, რომ ფიფაში სერიოზულად მსჯელობდნენ ყატარის 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ზამთარში ჩატარებაზე. კლუბების ბოსები ფიქრობენ, რომ თუნდაც წინასწარი გადაწყვეტილება ამის თაობაზე მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა კასტამ ისე გამოიტანა, რომ ამით ხელყო "დემოკრატიისა" და "გამჭვირვალობის" პრინციპები.

*"მონოპოლიების დრო წარსულს ჩაბარდა,* – აღშფოთებულმა განაცხადა ტრიბუნიდან "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** და იქვე დასძინა – *ფეხბურთს წარმოუდგენლად აკლია დემოკრატიული პრინციპებით მართვა".* სხვათა შორის, ორიოდე თვის წინ ფიფას "დრომოჭმული წესებით" თამაშში ბრალი მეორე ბაიერნელმა **ული ჰიონესმაც** დასდო. ევროპული კლუბების ასოციაცია მივიდა დასკვნამდე, რომ ფიფა ვალდებულია ისინი წინასწარ ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების საქმის კურსში ჩააყენოს, რომელსაც ფეხბურთის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. *"ნამდვილად არ მინდა იმის თქმა, რომ კლუბები ფიფას ომს ვუცხადებთ. პირიქით, ამ ეტაპზე ჩვენ საკმაოდ მშვიდად ვგრძნობთ თავს, მაგრამ ყველანაირ მოთმინებასაც აქვს თავისი ზღვარი,* - განუცხადა "როიტერს" "ბარსელონას" პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა**. – *იმედი გვაქვს, რომ ფიფა გაითვალისწინებს ჩვენს პოზიციას, რადგან რასაც ჩვენ ვითხოვთ, ყველაფერი სამართლიანი და ლოგიკურია".*

ევროპული კლუბების ასოციაციის წევრებმა ერთხმად დაგმეს ფიფას ინიციატივა სანაკრებო ამხანაგური თამაშების რაოდენობის გაზრდის შესახებ, რადგან მათი აზრით, ამით საფეხბურთო სეზონის მეტ-ნაკლებად გამართული სისტემა შეიძლება ერთიანად შეირყეს. *"არ მეგულება საკლუბო მწვრთნელი, ვისაც გაუხარდება, რომ მეორე დღეს მის შეგირდებს ამხანაგური შეხვედრა ელით,* - აღნიშნა "მილანის" დირექტორმა **უმბერტო განდინიმ**. – *ეს ნონსენსია. სწორედ სანაკრებო პაუზების დროს არის ხოლმე, როცა გრანდების ბანაკში ძალიან ცოტა ფეხბურთელი რჩება და ამით საწვრთნელი პროცესი პრაქტიკულად იშლება. ეს იმ დროს, როცა კლუბს უქმეებზე ისევ ჩემპიონატის მატჩებზე უწევს გადართვა. ერთ დღეს მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ ფიფაში საფეხბურთო კალენდრით მანიპულაციები დაიწყეს. მას ისე ცვლიან, როგორც მოუნდებათ. რამდენიმე დღეში ჩემპიონთა ლიგა განახლდება და ამ ტურნირის დაწყებამდე სანაკრებო ამხანაგური შეხვედრების დანიშვნა სწორედ ფიფას შეცდომაა და მეტი არაფერი".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ამას რაღა დააჭკვიანებს?

ადვილი სავარაუდოა, "რომა" მხარმტკივან **ადრიანოს** ბრაზილიაში რა მიზნით გაუშვებდა – ფეხბურთელს სამშობლოში უნდა ემკურნალა. ალბათ ისიც ადვილი სავარაუდო იყო, რომ საექიმო პროცედურების გარდა ფეხბურთელი არც სხვა "პროცედურებს" დაიკლებდა. დიახ, დიახ, ადრიანო მორიგ შარში გაეხვია. ბრაზილიური გაზეთების ცნობით, პოლიციამ ის მთვრალი გააჩერა და მისთვის ალკოჰოლური ექსპერტიზის ჩატარება მოინდომა. ვარსკვლავმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რის გამოც 420 ევროს ეკვივალენტი თანხით დააჯარიმეს. გარდა ამისა, მას ერთი წლით ჩამოართვეს მართვის მოწმობა.

## ვოლფსბურგს ზეედორფი მოუნდა

გერმანულმა "ვოლფსბურგმა" საზაფხულო სატრანსფერო მიზნებში ერთ-ერთი "მილანის" 34 წლის ნახევარმცველი **კლარენს ზეედორფი** მონიშნა. ჰოლანდიელს სეზონის ბოლოს "როსონერისთან" ხელშეკრულება უმთავრდება, "მილანში" კი მის გაგრძელებაზე ნამდვილად არ ფიქრობენ. გერმანელი ჟურნალისტების თქმით, "მგლები" უახლოეს დღეებში გეგმავენ კლარენსის აგენტთან მოლაპარაკებათა პირველი რაუნდის დაწყებას.

## ერნანდესს ბრძოლა მოუწევს

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელ **ხავიერ ერნანდესს** სულაც არ მიაჩნია, რომ რახან სახელოვან ევროპულ გრანდში თამაშობს, ამით მას მექსიკის ნაკრების ძირითადში თამაში გარანტირებული აქვს. *"ეროვნული გუნდის რიგითი წევრი ვარ და რაღაც გარანტიებზე ლაპარაკის უფლება არ მაქვს. ერთადერთი, რაც მევალება, ეს თავდაუზოგავი მუშაობაა. გადაწყვეტილებას კი მწვრთნელი მიიღებს,"* – განაცხადა "ჩიჩარიტომ".

## გომესი: იანვარში ჩელსი მიწვევდა

"ბაიერნის" 25 წლის თავდამსხმელმა **მარიო გომესმა** მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას "ჩელსიმ" მის ამჟამინდელ კლუბს ოფიციალური წინადადებით მიმართა და მასში 42 მილიონ ევროს იხდიდა. *"ჩელსის" წინადადების შესახებ მხოლოდ მას მერე გავიგე, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ ის კატეგორიულად უარყო. თუმცა რომც გამეგო, ეს არაფერს შეცვლიდა. სადაც მსურდა, სწორედ იქ ვთამაშობ, ტოპკლუბში",* - განუცხადა გომესმა "შპორტ ბილდს".

## შედგება დიდი დაბრუნება?

"მარსელს" "ჩელსიდან" **დიდიე დროგბას** შეძენა სურსო, დაირხა ხმები და ამას ფრანგული პრესა სულ უფრო და უფრო ხშირად იმეორებს. შეგახსენებთ, რომ ივუარელი ფორვარდი "არისტოკრატებში" 2004 წლის ზაფხულზე 24 მილიონ ფუნტად სწორედ "ველოდრომიდან" გადავიდა. 33 წლის დროგბას "ჩელსისთან" კონტრაქტი 2012 წლის ივლისში ეწურება. ჯერჯერობით ლონდონელები ფეხბურთელს ახალ ხელშეკრულებას არ სთავაზობენ. ერთადერთი დაბრკოლება, რაც შეიძლება ამ გარიგებას წინ აღუდგეს, აფრიკელის ანაზღაურებაა. ლონდონში მას კვირაში 120 ათას ფუნტს უხდიან, "მარსელი" კი ალბათ ამის ნახევარსაც ვერ გასწვდება.

## ტომ ჰიქსი ბრძოლას არ წყვეტს

"ლივერპულის" ყოფილი მენილე **ტომ ჰიკსისა** და შოტლანდიის სამეფო ბანკის იურისტები მალე ერთმანეთს სასამართლოში შეებმებიან, - გვამცნობს "ტელეგრაფი". ბიზნესმენს თავად მერსისაიდულ კლუბთან პრეტენზია არ აქვს და ვერც ექნება, რადგან გადაუხდელი ვალების გამო კლუბის 300 მილიონ ფუნტად გაყიდვის გადაწყვეტილება შოტლანდიელებმა მიიღეს. ჰიკსსა და მის ყოფილ პარტნიორ **ჯორჯ ჯილეტს** მიაჩნიათ, რომ ბანკის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო, რადგან ისინი "ლივერპულის" გაყიდვას ისედაც გეგმავდნენ და ვალების გასტუმრებას ამ გზით აპირებდნენ. მათი თქმით, ისინი კლუბს არა 300 მილიონად, არამედ 1,6 მილიარდად გაყიდდნენ. პრეტენზიაც სწორედ აქედან მოდის - ამერიკელები ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ.

## დერბი ბალოტელის გარეშე

"მანჩესტერ სიტის" 20 წლის იტალიელმა ფორვარდმა **მარიო ბალოტელიმ** მუხლის ტრავმა პრემიერლიგის წინა ტურებში მიიღო. თითქოს სერიოზული არაფერი უნდა ყოფილიყო, თუმცა როგორც ახლა აღმოჩნდა, ის ვერც უახლოეს უქმეებზე დაეხმარება ისტლენდელებს თანაქალაქელი "იუნაიტედის" წინააღმდეგ ბრძოლაში. მატჩი შაბათს "ოლდ ტრეფორდზე" შედგება.

## ლანდრო ლილის ერთგულია

საფრანგეთის ნაკრების 31 წლის გოლკიპერმა **მიკაელ ლანდრომ** ქვეყნის ჩემპიონობისთვის მებრძოლ "ლილთან" მოქმედი ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა. ამიერიდან ის "მეტროპოლზე" 2014 წლამდე დარჩება. შეგახსენებთ, რომ მიკაელმა ჩრდილოფრანგული ქალაქის გუნდს პსჟ-დან 2009 წელს მიაშურა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამხანაგური მატჩები

# გერმანიას იტალია შეეყარა


გერმანია-იტალია 1:1

დღის მთავარი მატჩი უდავოდ გერმანიისა და იტალიის დაპირისპირება იყო, რომელიც დორტმუნდში გაიმართა. ბუნდესგუნდმა ისევ ვერ შეძლო „სკუადრა აძურას" დამარცხება - **იოახიმ ლიოვის** შეგირდები **მირო კლოზეს** გოლით იგებდნენ, მაგრამ შეხვედრის მიწურულს **ჯუზეპე როსიმ** გერმანელთა მცველების პოზიციური შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. მატჩის შემდეგ გერმანული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, იტალიელთა დამარცხებას ვერა და ვერ ვახერხებთ, დღესაც თითქოს ვაჯობეთ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გავიმარჯვეთ, ვფიქრობ, ჩვენს გუნდს იტალიის კომპლექსი აწუხებსო. მართლაც: გერმანიამ იტალიის დამარცხება ბოლოს 16 (!) წლის წინ შეძლო (2:0, მაშინ ბუნდესნაკრებს **ბერტი ფოგთსი** წვრთნიდა).

ინგლისის ნაკრებმა კოპენჰაგენში დანიას თამაში შეუტრიალა - „ლივერპულის" მცველის, **დანიელ აგერის** სწრაფმა გოლმა **ფაბიო კაპელოს** შეგირდები შოკში არ ჩააგდო. **დარენ ბენტმა თეო უოლკოტის** ბრწყინვალე პასით მალევე შეძლო წონასწორობის აღდგენა. გამარჯვების გოლი კი შეცვლაზე შესული **ეშლი იანგის** ანგარიშზეა, რომელმაც 68-ე წუთზე იხეირა.

უდიდეს ინტერესს იწვევდა „სტად დე ფრანსზე" გამართული კლასიკური ჯახი საფრანგეთსა და ბრაზილიას შორის, რომელიც მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა (1:0). 1998 წლის მუნდიალის ფინალიდან 13 წლის შემდეგ, ბრაზილიელებმა ფრანგებზე რევანშის აღება ვერ შეძლეს. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში „სელესაოს" „ლაციოს" ფეხბურთელი **ერნანესი ბენზემასთან** გადამეტებული უხეშობის გამო გაუძევეს, რამაც ბრაზილიელთა მდგომარეობა საკმაოდ დაამძიმა. საფრანგეთს ბურთის ფლობის მხრივაც საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა და ზოგადად, **ლორან ბლანის** გუნდის გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია.

არგენტინა და პორტუგალია კი ერთმანეთის წინააღმდეგ ჟენევაში წარსდგნენ. შეხვედრა, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო გამოვიდა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ფრედ დასრულდებოდა, მაგრამ 90-ე წუთზე არგენტინელებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს, რომელიც **ლეო მესიმ** გოლად აქცია და მატჩის ბედი „ალბისელესტეს" სასარგებლოდ გადაწყვიტა. მანამდე კი გოლები მადრიდის „რეალის" ფეხბურთელებმა, **ანხელ დი მარიამ** და **კრიშტიანო რონალდომ** გაიტანეს.

### გერმანია-იტალია 1:1

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი (64. ბოატენგი), მერტეზაკერი, ბადშტუბერი (64. ჰუმელსი), აოგო - ხედირა, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი (46. გიოტცე), იოზილი, პოდოლსკი - კლოზე (75. გროსკროიტცი).

**იტალია (4-1-2-1-2):** ბუფონი - კასანი (53. მაჯო), რანოკია, ბონუჩი, კიელინი (78. კრიშიტო) - ტ. მოტა (63. აკვილანი) - მონტოლივო, დე როსი - მაური (74. ჯოვინკო) - პაცინი (46. ბორიელო), კასანო (46. როსი).

**გოლები:** 1:0 კლოზე (16), 1:1 როსი (86)

**გაფრთხილება:** ტ. მოტა

**მაყურებელი:** 60 146

### დანია-ინგლისი 1:2

**დანია:** სორენსენი, აგერი, მატიას იორგენსენი (45. კიაერი), ს. პოულსენი (45. ვასი), იაკობსენი (60 ზილბერბაუერი), კ. პოულსენი, კვისტი (90. ვინგაარდი), კრონ-დელი (70 პედერსენი), რომედალი (81. ენევოლდსენი), ბენდტნერი, ერიკსენი.

**ინგლისი:** ჰარტი, გ. ჯონსონი, ტერი, დოუსონი (60. გ. კეჰილი), ე. კოული (81. ბეინესი), მილნერი, ლემპარდი (45. პარკერი), უილშერი (45. ბერი), უოლკოტი (68. დაუნინგი), რუნი (45. იანგი), ბენტი.

**გოლები:** 1:0 აგერი (8), 1:1 ბენტი (10), 1:2 იანგი (68)

**გაფრთხილება:** ვასი

**მაყურებელი:** 45 000

### არგენტინა-პორტუგალია 2:1

**არგენტინა:** რომერო, ხ. ძანეტი (62. საბალეტა), როხო, გ. მილიტო, ბურდისო, მასკერანო, დი მარია (66. პასტორე), კამბიასო (79. ბილია), ბანეგა (62. გაგო), მესი, ლავეცი (84. ხუან მარტინესი).

**პორტუგალია:** ედუარდო, როლანდო, ჟოაო პერეირა, ბრუნო ალვეში, რაულ მეირელესი (79. მიგელ ველოსო), ნანი (60. კვარეშმა), ჟოაო მუტინიო, ფაბიო კოენტრაო, კარლოს მარტინსი (85. მაჩადო), კ. რონალდო (60. დანი), უგო ალმეიდა (60. ელდერ პოშტიგა).

**გოლები:** 1:0 დი მარია (14), 1:1 კ. რონალდო (21), 2:1 მესი (90-პენ)

**გაფრთხილება:** გაგო - ველოსო

**მაყურებელი:** 55 000

### საფრანგეთი-ბრაზილია 1:0

**საფრანგეთი:** ლორისი, სანია, რამი, მექსე, აბიდალი, მენეზი (69. რემი), მ'ვილა (59. დიაბი), გურკუფი (86. გამეირო), ა. დიარა, მალუდა, ბენზემა (86. კაბაიე).

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი, ანდრე სანტოსი, რენატო (58. ჟადსონი), ლეივა, ერნანესი, ელიასი (89. ანდრე), რობინიო (70. სანდრო), პატო (85. ჰალკი).

**გოლი:** 1:0 ბენზემა (55)

**გაძევება:** ერნანესი (40. ბრაზილია)

**გაფრთხილება:** მენეზი - რობინიო

**მაყურებელი:** 60 000

### ჰოლანდია-ავსტრია 3:1

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ვან დერ ვილი, მატიისენი (46. ვისგერჰოფი), პიეტერსი, ჰეიტინგა, აფელაი, ვან ბომელი, იანსენი (71. სტროოტმანი), სნეიდერი (46. ელია), კუიტი (75. დე იონგი), ჰუნტელაარი (73. ვან ნისტელროი).

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (28), 2:0 ჰუნტელაარი (48), 3:0 კუიტი (71-პენ), 3:1 არნაუტოვიჩი (84-პენ)

### ესპანეთი-კოლუმბია 1:0

**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პიკე, კაპდევილა (56. არბელოა), რაულ ალბიოლი, ჩავი (56. კასორლა), ინიესტა (69. ხესუს ნავასი), ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო (76. დავიდ სილვა), დავიდ ვილია, პედრო (82. ლორენტე).

**გოლი:** 1:0 დავიდ სილვა (86)

### რუსეთი-ირანი 0:1

**რუსეთი:** აკინფეევი, შიშკინი (46. ანიუკოვი), ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი (46. ბილიალეტდინოვი), ზირიანოვი, დენისოვი, ტორბინსკი (46, მამაევი), ბისტროვი (46. პავლიუჩენკო), კერჟაკოვი (69. სემშოვი), არშავინი.

**გოლი:** 0:1 ხალათბარი (90)

### თურქეთი-ს. კორეა 0:0

**თურქეთი:** ვოლქანი, საბრი (78. ინჩედემირი), ჩეთინი, ბალჩი (46. გონული), ქოიბასი, ქესიმალი, ჰამით ალთინთოფი (59. თუნაი თორუნი), ემრე, ინანი, ექიჩი (59. ბურაქ ილმაზი), ბულუთი (46. კაზიმ რიჩარდსი).

### მოლდოვა-ანდორა 2:1

**გოლები:** 0:1 ხოსე მანუელ აიალა (52), 1:1 პიკუშიაცი (66), 2:1 ბუგაიოვი (90-პენ)

### სან მარინო-ლიხტენშტაინი 0:1

**გოლი:** 0:1 პოლვერინო (57)

### ბელორუსი-ყაზახეთი 1:1

**გოლები:** 1:0 ვ. გლები (44-პენ), 1:1 ოსტაპენკო (88)

### მაკედონია-კამერუნი 0:1

**გოლი:** 0:1 ანდონგჩო (72)

### აზერბაიჯანი-უნგრეთი 0:2

**გოლები:** 0:1 რუდოლფი (37), 0:2 ჰაინალი (82)

### ნიგერია-სიერა ლეონე 2:1

**გოლები:** 1:0 ტ. ტაივო (16-პენ), 2:0 ეკიგბო (45), 2:1 კაბია (89)

### კვიპროსი-რუმინეთი 1:1 (პენ. 4:5)

**გოლები:** 0:1 ტორიე (55), 1:1 კონსტანტინუ (84)

### შვედეთი-უკრაინა 1:1 (პენ. 4:5)

**გოლები:** 1:0 ელმანდერი (7), 1:1 დევიცი (20-პენ)

### ს. აფრიკა-კენია 2:0

**გოლები:** 1:0 სომა (3), 2:0 პიენაარი (45)

### ალბანეთი-სლოვენია 1:2

**გოლები:** 0:1 ნოვაკოვიჩი (24), 1:1 ბულკუ (62), 1:2 დედიჩი (90-პენ)

### ბულგარეთი-ესტონეთი 2:2

**გოლები:** 0:1 კ. ვასილიევი (20-პენ), 1:1 პოპოვი (41-პენ), 1:2 კ. ვასილიევი (80), 2:2 პოპოვი (83-პენ)

### ლუქსემბურგი-სლოვაკეთი 2:1

**გოლები:** 0:1 იენდრიშეკი (55), 1:1 მოტა (62), 2:1 მოტა (82)

### ბელგია-ფინეთი 1:1

**გოლები:** 1:0 ვიტსელი (61), 1:1 პოროკარა (90)

### ნორვეგია-პოლონეთი 0:1

**გოლი:** 0:1 ლევანდოვსკი (12)

### შოტლანდია-ჩრდ. ირლანდია 3:0

**გოლები:** 1:0 მილერი (19), 2:0 მალუნი (32), 3:0 კომონსი (51)

### მაროკო-ნიგერი 3:0

**გოლები:** 1:0 ბუსუფა (16), 2:0 ბუსუფა (82), 3:0 ბეკალი (90)

| | |
|---|---|
| მალაიზია-ჰონგკონგი | 2:0 |
| მოზამბიკი-ბოცვანა | 1:1 |
| სენეგალი-გვინეა | 4:0 |
| სვაზილენდი-ზამბია | 0:4 |
| ლიბია-ბენინი | 3:2 |
| ეგვიპტე-აშშ | გადაიდო |
| ალჟირი-ტუნისი | გადაიდო |

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

იაშარ დოგუს ტურნირი

# სტამბოლში ჩემპიონები იჭიდავებენ




ამ დილით, გამთენიისას „თავისუფალ" სტილში მოჭიდავეთა ნაკრები სტამბოლში გაემგზავრა, სადაც 11-13 თებერვალს იაშარ დოგუს სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამოვა. ეს შეჯიბრება ჭიდაობის საერთაშორისო თუ თურქული ფედერაციების საიტებზე „ოქროს დიდ პრიზადაა" მოხსენიებული, რაც, ცოტა არ იყოს გაურკვევლობას იწვევს. ამ რანგის შეჯიბრება სეზონში მხოლოდ ორჯერ ტარდება, „თავისუფლებში" კი პირველს უკვე უმასპინძლა კრასნოიარსკმა - ივან იარიგინის სახელობისას, ხოლო მეორე ივნისში თბილისში გასამართი **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის ტურნირი უნდა იყოს. მაშ დოგუს მემორიალი მესამე გამოდის? არადა, ბერძენ-რომაელებსა და ქალებში კვლავაც ორ-ორი ტარდება. ან, იქნებ, ჩვენსას არ ექნება ეს სტატუსი? საკითხში გასარკვევად საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას დავუკავშირდით, სადაც გვიპასუხეს, რომ ეს შეჯიბრება საერთაშორისო კალენდარში „ოქროს დიდ პრიზად" კი მოიხსენიება, მაგრამ ის ივლისში ბაქოში გასამართი სუპერფინალის საგზურს არ იძლევა და ამის პრეროგატივა მხოლოდ ბალავაძის სახელობის ტურნირს გააჩნია. შესაძლოა, იაშარ დოგუს მემორიალი „ოქროს დიდი პრიზის" გათამაშება ქალებისთვის იყოს - მათი შეჯიბრება ვაჟთა პარალელურად იმართება, ქალთა პირველი ასეთი ტურნირი კი კრასნოიარსკში ჩატარებული იარიგინის მემორიალი იყო. თუ ეს ვარაუდი მართალია, მაშინ ვაჟთა ორივე სახეობას და ქალებსაც სეზონში მართლაც ორ-ორი „ოქროს დიდი პრიზი" გამოუდის.

ჩვენი გუნდის თავკაცი **ზაზა თურმანიძე** ერთი გამონაკლისის გარდა, სტამბოლში საჭიდაოდ ყველა წონაში საქართველოს ჩემპიონებს იახლებს: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **კობა კაკალაძე**, **ილია ხუციშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელი** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120).

ის ერთადერთი გამონაკლისი 66 კილოგრამია, სადაც ქვეყნის ჩემპიონ **ცოტნე ბარამიძეს** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ახალი კანონით, საქართველოს სახელით ასპარეზობის ნება აღარ აქვს - რამდენიმე წლის წინ ყაზახეთში წავიდა და ახლა იმათი სახელით თუ იჭიდავებს, ამიტომ მწვრთნელმა აქ ორი კონკურენტი წაიყვანა - ვიცე-ჩემპიონი ილია ხუციშვილი და ბრინჯაოს პრიზიორი კობა კაკალაძე, ვინაც ევროპის ვიცე-ჩემპიონიცაა. როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთში არ იჭიდავებენ გუნდის ლიდერები - **ოთარ თუშიშვილი** (66) და **გიორგი გოგშელიძე** (96). ტრავმების გამო მათ არც საქართველოს ჩემპიონატში უასპარეზიათ და ოფიციალური მონაცემებით, ახლაც აგრძელებენ მკურნალობას.

იაშარ დოგუს ტურნირი საჭიდაო სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობს. იქ მუდამ ძლიერი შემადგენლობა იკრიბება და, ალბათ, ასე იქნება ახლაც. სავარაუდოდ, სტამბოლში იჭიდავებს რუსთა ის უძლიერესი ხუთეულიც, რომელიც **ჯამბულათ თედეევმა** იარიგინის ტურნირზე დაასვენა - **ვიქტორ ლებედევი** (55), **ბესიკ კუდუხოვი** (66), **დენის ცარგუში** (74), **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96) და **ბილიალ მახოვი** (120). ამათგან გაცალოვის გარდა, ყველა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებულია, გაცალოვმა კი იქ ფინალი წააგო. ამ ხუთეულიდან ყველაზე საეჭვო ლებედევის ჭიდაობაა, რომელიც ძალიან ბევრს იკლებს.

საინტერესოა აზერბაიჯანელთა შემადგენლობაც, სადაც ძალზე ბევრი საკადრო გადაადგილებაა - რამდენიმე ლიდერი ზედა წონაში გამოვა. იმათგან ზოგს მტკიცედ გადაუწყვეტია წონითი კატეგორიის შეცვლა, ზოგი კი ჯერაც საკუთარ თავს ცდის. **იაშარ ალიევი**, **ნიჯატ მურადოვი** (ორივე - 55), **მაჰმუდ მაგომედოვი**, **ტორლულ ასკეროვი** (60), **ზელიმხან ჰუსეინოვი** (66), **ჯაბრაილ ჰასანოვი**, **კირილ გოსტიევი** (74), **ნოვრუზ ტემრეზოვი** (84), **ხეტაგ გოზიუმოვი**, **შარიფ შარიფოვი** (96), **ალი ისაევი** (120) - ასეთია იქაურთა დაღესტნელ დამრიგებელ **საიპულა აბსაიდოვის** კრებული.

როგორც ვხედავთ, ზედა წონებში გამოდიან ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯილი (რუსეთიდან უნებართვოდ გადავიდა აზერბაიჯანში) მაგომედოვი, ასკეროვი, ჯაბრაილოვი და შარიფოვი. პირველ ორთან დაკავშირებით აბსაიდოვმა განაცხადა, რომ მათ ბევრი აქვთ დასაკლები და ერთბაშად ამას ვერ გააკეთებინებდნენ, თუმცა ასკეროვზე დასძინა, რომ მას დააკვირდებიან, რამდენად გამოიჩენს თავს ახალ წონაში. მისი სიტყვებიდან ისე ჩანს, რომ თუ შეგირდმა გაუმართლა, არც აქ დატოვება გამორიცხული, თუმცა ასკეროვისგან არც კიდევ უფრო მომატება გამორიცხა, რადგან ის ჯერ ახალგაზრდაა. სამაგიეროდ, მწვრთნელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონმა **ჩამსულვარა ჩამსულვარაევმა** საბოლოოდ დაასრულა 84-ში გადასვლის პროცესი, რადგან 74-ში მისი დაკლება უკვე შეუძლებელი ხდებოდა, თუმცა დასძინა, რომ 84-ში პირველ ნომრად კვლავაც შარიფოვს ხედავს. ანუ, შარიფოვი ევროპისთვის კვლავაც 84-ს დაუბრუნდება. აბსაიდოვს ერთი ნატურალიზებულიც მიჰყავს - რუსეთიდან გადაყვანილი გოსტიევი. ამჯერად აქ იჭიდავებს ევროპის ჩემპიონი ჯაბრაილოვიც, თუმცა ის კვლავაც 66-ის ფალავნად რჩება.

სტამბოლის ტურნირს თებერვალშივე ბულგარეთში დან კოლოვის სახელობის მემორიალი მოჰყვება, თუმცა იქ ჩვენები არ მიდიან (მხოლოდ ბერძენ-რომაელები იჭიდავებენ ნიკოლა პეტროვის მემორიალში), თურმანიძის გუნდი კი საევროპოდ სასტარტო ტურნირად მარტში მახაჩყალაში გასამართ მსოფლიოს თასს მოიტოვებს. იქ გუნდური შეჯიბრებაა და მონაწილეთა რაოდენობა ისედაც შეზღუდულია - მხოლოდ ერთი სათადარიგოს წაყვანა შეიძლება და თან, რადგანაც სასტარტო იქნება, ევროპაზე წამსვლელებს აჭიდავებს. ევროპაზე წასაყვანი გუნდი ისედაც ლამის სრულადაა ცნობილი - იქ საქართველოს ჩემპიონებმა უნდა იჭიდაონ.

სტამბოლში 11 თებერვალს ვაჟთა შორის 55 და 74-ის ფალავნები იასპარეზებენ. 12-ში 60, 84 და 120-კილოიანთა შეხვედრები გაიმართება, 13-ში კი ლეიბზე 66-96-ის ფალავნები გავლენ. ტურნირი კომერციულია - ვაჟთა შორის ჩემპიონები 2.000 დოლარს მიიღებენ, მეორე პრიზიორები - 1.000-ს, ბრინჯაოს მედალოსნებს 500-500 დოლარი გადაეცემათ, ქალებისთვის კი ანაზღაურება შედარებით დაბალია.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. დიდი პრიზის ტურნირი

# ტუნისის ნაცვლად – აზერბაიჯანი

ხმები, რომელიც თავის დროზე ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგების ზედმეტი ოპტიმიზმის ნაყოფი გვეგონა, რეალობად იქცა. ორიოდე კვირის წინ იქაურმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ შესაძლოა, 6-8 მაისს ტუნისში ძიუდოში გასამართი „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირი ბაქოში გადმოეტანათ (ამაზე „ლელოც" წერდა). ტუნისში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ყველას მოგეხსენებათ და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია სწორედ ამან შეაშფოთა. გარდა იმისა, რომ ეს ძალიან მაღალი რანგის შეჯიბრებაა, ოლიმპიადისთვის სალიცენზიო ქულებსაც იძლევა. ამიტომ საერთაშორისო ფედერაციისთვის სულერთი არ იყო მისი ბედი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ქვეტანაში პოლიტიკური ვითარება გამოსწორდებოდა, მაგრამ იქ კვლავაც სროლები და დაძაბული სიტუაციაა. ამიტომ საერთაშორისო ფედერაცია იოლად დაეთანხმა აზერბაიჯანელთა სურვილს და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ის შეჯიბრება დათქმულ ვადებში ტუნისის ნაცვლად ბაქოში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ ბაქომ წლეულს უკვე უმასპინძლა სეზონის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ტურნირს - მასტერსს. საერთაშორისო ფედერაციის ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ კიდევ ერთ სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობის შანსი გვეძლევა. ტუნისი საკმაოდ შორსაა და ფინანსური პრობლემების გამო შარშან იქ ჩვენებმა ვერ იჭიდავეს ეს არც წლეულს იყო მოსალოდნელი, ბაქო კი აქვეა და, სავარაუდოდ, გუნდსაც გაუშვებენ. ამით სალიცენზიო რეიტინგის შევსების შანსიც იზრდება. ვნახოთ, იქნებ იქ ქალთა გუნდმაც იჭიდაოს, რომელიც შეჯიბრებებით ისედაც შეზღუდულია.

სავარაუდოდ, ბაქოში კვლავაც არ ჩავა სომხეთის ნაკრები - მათ არც მასტერსზე უჭიდავიათ. ალბათ, აღარც რუსთა სომხური წარმოშობის ევროპის ჩემპიონი **არსენ გალსტიანი** (60) იზამს პირს იქით. მან მასტერსზე კი იასპარეზა, მაგრამ კოშმარულად იგონებს იქ გატარებულ დღეებს. როგორც რუსულ მედიაში გამოქვეყნებული მისი ინტერვიუდან ირკვევა, გალსტიანს ბაქოში წასვლა არც მაშინ ნდომებია, მაგრამ მწვრთნელს დაუძალებია, თუ საჭირო გახდა, პირად დაცვასაც დაგიქირავებთო. „ეციო გამბა იტალიელია და, ეტყობა, არაფერი იცის ყარაბახ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე" - განაცხადა მან და თან ამ კრიზისს განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა. გალსტიანს პრობლემები აეროპორტიდანვე დაეწყო, საპასპორტო რეჟიმის გავლისას - აზერბაიჯანელმა მებაჟე მანდილოსანმა როგორც კი მისი გვარი ამოიკითხა, მაშინვე ზემდგომთ უხმო. ისინიც დროზე მოვიდნენ, მაგრამ ქალაქში შესვლის ნებას არ აძლევდნენ, უსაფრთხოების გარანტიებს ვერ მოგცემთო. გალსტიანი აეროპორტის ერთ პატარა ოთახში გადაიყვანეს, სადაც 3 საათი გაატარა. გამბა მიდგა-მოდგა და ყველა შეაწუხა, იქით რუსეთის ნაკრები დაიმუქრა, რომ დატოვებდნენ ტურნირს და ორგანიზატორებმა გალსტიანი ქალაქში შეიყვანეს, თუმცა რაღა ქალაქში - მან მთელი დრო სასტუმროში გაატარა და იქიდან მხოლოდ დარბაზში მისასვლელად გამოდიოდა. თან უსაფრთხოებისთვის მისი ყოფნა სასტუმროშიც კი გასაიდუმლოებული იყო, თანამშრომელთა ვიწრო წრემ იცოდა მხოლოდ.

გალსტიანს პრობლემები მარტო აეროპორტში არ შექმნია - დარბაზში მისი გვარის ყოველი გამოცხადება რა აკომპანემენტით ჩაივლიდა, იოლად წარმოიდგენთ, ვითარებამ კი კულმინაციას მერვედფინალში მიაღწია, როცა მასპინძელთა ერთ-ერთი ლიდერი **ილგარ მუშკიევი** (სწორედ ამან მოიგო ჩვენი ტურნირი) დაამარცხა! გალსტიანისთვის ეს ნამდვილი კოშმარი იყო. მაშინ მან ნაადრევად დატოვა ბაქო და სავარაუდოდ, ის მეორედ აღარ ეცდება იმავე სიტუაციაში მოხვედრას.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ყოჩაღ ანა!

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ მიდლენში მიმდინარეობს ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „დოუ ქორნინგ ტენის კლასიკი", რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. უკვე ვწერდით, რომ ჩვენს პირველ ჩოგან **ანა ტატიშვილს** (129) კენჭისყრაში არ გაუმართლა, როცა ტურნირის პირველი ჩოგანი **ვარვარა ლეპჩენკო** (75) შეხვდა. უზბეკეთში დაბადებული ამერიკელი 24 წლისაა, ის ახლა მსოფლიოს 75-ე ჩოგანია. ქართველი აქამდე ორჯერ შეხვედრია მას, მაგრამ ორივეჯერ ლეპჩენკომ მოიგო. მაგრამ, თურმე, კენჭისყრამ ვარვარა ლეპჩენკოს არ გაუმართლა - ტურნირის პირველმა დღემ დიდი სენსაცია მოიტანა, 20 წლის ქართველმა სამ სეტში დაამარცხა ფავორიტი, რომელიც მასზე 50-ზე მეტი ადგილითაა წინ მსოფლიო კლასიფიკაციაში - 6:7 (4), 6:3, 6:4.

ახლა მიდლენდურ მერვედფინალში ტატიშვილის მეტოქე ჩეხი **ლუსი ჰრადეჩკაა** (106). 25 წლის ჰრადეჩკა შარშან მსოფლიოს 56-ე ჩოგნობამდე ამაღლდა. მან პირველ წრეში ტატიშვილის მეწყვილე, ამერიკელი **ჯემი ჰემპტონი** (133) დაამარცხა - 7:5, 6:4. შარშან აკაპულკოში ანამ უშეღავათო ბრძოლაში დათმო ჰრადეჩკასთან. დღეს ანა, ჰემპტონთან დუეტში, წყვილთა თანრიგში თამაშობს კანადელების, მარი-ივ პელეტიესა (537) და რებეკა მარინოს (84) წინააღმდეგ.

18 წლის **გიორგი ცივაძე** ლამის ერთადერთია, რომელიც წლეულს ქართველ ვაჟთა შორის აქტიურობს და ტურნირებზე გამოდის. გიორგიმ თურქეთში ზედიზედ ორ შეჯიბრებაში ვერ შეძლო საკვალიფიკაციო ბადის გადალახვა, თუმცა მესამე ჯერზე ეს მოახერხა. ანთალიაში მან მიჯრით მოუგო: ავსტრალიელ **ბლეიკ მოტს** - 7:6 (2), 6:4; რუს **დიმიტრი სიტაკს** - 6:3, 6:2 და გერმანელ **რიჩარდ ბეკერს** - 6:2, 6:0, მაგრამ ჩვენებურმა მეტი ველარ შეძლო და ძირითადი ბადის პირველივე წრეში რუს **ივან ნედელკოსთან** (555) წააგო - 2:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ანა ტატიშვილი

ჭადრაკი

# მარცხი ფინიშის სწორზე

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, რომ 18 წლის მოჭადრაკე გოგონათა საქართველოს პირველობაზე **მერი არაბიძე** ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 1,5-1,5 ქულით უსწრებდა მეტოქეებს, მაგრამ გუშინდელ მე-8 ტურში შავი ფიგურებით **ნათია ჯალაბაძესთან** მარცხით ოქროს მოპოვება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუმცა ჩემპიონობის კვლავაც უმთავრეს ფავორიტად რჩება, რადგან 8 ტურის შემდეგ **მარიამ ჭოლაძის** მძლეველი **ლიკა კობეშავიძე** მას ნახევარი ქული ჩამორჩება. ლიდერთა ჯგუფში **ნატო იმნაძემ ანა შამათავა** დაამარცხა, ხოლო **ნანი უნაფქოშვილი** და **ანა კუჭავა** დაზავდნენ.



პირველობის დამთავრებამდე ბოლო ტურის წინ მეწინავეთა შორის ასეთი მდგომარეობაა: არაბიძე-6,5, კობეშავიძე-6, ჯალაბაძე, უნაფქოშვილი-5,5-5,5, იმნაძე, კუჭავა-5-5 ქულა.

ვაჟებში კვლავაც სამხელისუფლებიანობაა, რადგან გუშინ **ზურაბ ჯავახაძემ**, **ნოდარ ლორთქიფანიძემ** და **ირაკლი ბერაძემ**, შესაბამისად, **გიორგი ნიკოლაშვილს**, **გიგლა ბენიძეს**, **შალვა ნადირაშვილს** აჯობეს და 6,5-6,5 ქულით პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ. **კახაბერ წერეთელს** 5,5 ქულა აქვს, **ნიკა ვოლკოვს**, **გიორგი ნიკოლაშვილსა** და **გიორგი სიბაშვილს** - 5-5 ქულა.

ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობა დღეს შემდეგ შეხვედრებში გაირკვევა: **გოგონები.** არაბიძე-კუჭავა, კობეშავიძე-თევზაძე, უნაფქოშვილი-ჯალაბაძე, იმნაძე-მაჭარაშვილი. **ვაჟები.** სიბაშვილი-ჯავახაძე, ნიკოლაშვილი-ბერაძე, ვოლკოვი-ლორთქიფანიძე, ბენიძე-წერეთელი.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

## მხოლოდ ორი ოროსანი

„აეროფლოტის" საჭადრაკო ფესტივალზე, რომლის A ტურნირში 86 მონაწილიდან 74 დიდოსტატია, გუშინ მე-2 ტურის პარტიები გათამაშდა. **ნაზი პაიკიძემ** შავი ფიგურებით **მაქსიმ როდშტეინთან** (ისრაელი) 45-ე სვლაზე დათმო პარტია და ორი ტურის შემდეგ მხოლოდ ნახევარი ქულა აქვს. ორ-ორი ქულა მხოლოდ სლოვენიელმა **ლუკა ლენიჩმა** და ვიეტნამელმა **ქუანგ ლიემ ლიმ** მოაგროვეს.

**ვაჟა დანელია**

მკლავჭიდი

# აპოლონის ბრინჯაო

ჩეხეთის დედაქალაქში მკლავჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრებაში 15-მდე ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შორის — ქართველი სპორტსმენი **აპოლონ ბერიძეც** (70 კგ), რომელმაც მარჯვენა ხელით პაექრობაში მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს მკლავჭიდელები აპრილის დასაწყისში ეროვნულ ჩემპიონატში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მერე კი ევროპის პირველობისთვის მოემზადებიან. ამ შეჯიბრებას მაისში თურქეთი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან

# სლოვენია ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა...

ევროპის ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ სლოვენიელებმა, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ყველა თანაჯგუფელი ალაპარაკეს. მათ შორის აზრი **ვლადიმერ ბოისასაც** ჰკითხეს. სლოვენიის ნაკრებს კარგად იცნობს **ვლადიმერ სტეფანია,** რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სლოვენიურ „ოლიმპიაში" თამაშობდა. ვოვას მეტოქეთა შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ვთხოვეთ.

- ევროპის ჩემპიონატზე იოლი ჯგუფი არ არსებობს. საქართველოს ნაკრებსაც სერიოზული მეტოქეები შეხვდა. სლოვენია, რუსეთი ძალიან კარგი გუნდებია...

**- სლოვენიის ნაკრების თამაშს კარგად იცნობ. ალბათ, ჯგუფის ფავორიტი სწორედ ის იქნება.**

- მხოლოდ ჯგუფის ფავორიტი? სლოვენიელებს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჰყავთ და მაღალი მიზნებისთვის თამამად შეუძლიათ ბრძოლა. მათ რიგებში თამაშობენ დრაგიჩი, ლაკოვიჩი, უდრიხი... ოღონდ, ერთია საკითხავი - შეკრებენ თუ არა საუკეთესო შემადგენლობას.

**- რუსეთის ნაკრებზე რისი თქმა შეიძლება?**

- რუსებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, ჯგუფიდან უნდა გავიდნენ. მიმაჩნია, რომ ამ ნაკრების დამარცხება ქართველებს შეუძლიათ, მაგრამ ძალიან ძნელი იქნება.

**- დარჩა ბელგია, უკრაინა, ბულგარეთი.**

- ბელგიელებთან ძალიან ცუდი მოგონებები გვაკავშირებს და ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე ამ გუნდს დავამარცხებთ. შარშან გამოჩნდა, რომ ბულგარეთის ნაკრები არ არის უძლეველი და, ჩემი აზრით, მათაც უნდა ვაჯობოთ. ძალიან გაგვიჭირდება უკრაინელებთან. მათ გამოცდილება აქვთ, რაც ბევრს ნიშნავს. თუმცა, იმას არ ვამბობ, რომ საქართველოს ნაკრების კალათბურთელებს არ აქვთ გამოცდილება. ჩვენ უბრალოდ, ასეთი დონის ტურნირებზე დებიუტანტები ვართ. ასევე, შედეგებზე ლაპარაკისას გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი ფაქტი - ევროპის ჩემპიონატზე მატჩები ყოველდღე, ერთმანეთის მიყოლებით იმართება, რაც დიდ ენერგიას მოითხოვს, აუცილებელია ძალების თანაბრად გადანაწილება.

**- ევროლიგაზე „ოლიმპიას" თამაშს თუ ადევნებთ თვალს?**

- სამწუხაროდ, რეგულარულად ვერ ვუყურებ. ისე ვიცი, კარგი სეზონი აქვს...

**- ევროლიგაზე პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვიან. სლოვენიელები იმ დროს იხსენებენ (1997 წელს), როცა თქვენც „ოლიმპიაში" თამაშობდით, ევროლიგის ნახევარფინალში რომ გავიდნენ.**

- თუ პლეი ოფში გავლენ, ძალიან გამიხარდება, მაგრამ გაუჭირდებათ. ჯგუფში ორი ძლიერი გუნდია — „ბარსელონა" და „მაქაბი".

**- სლოვენიელები გიორგი შერმადინზე ამბობენ, სტეფანიას გზას აგრძელებსო...**

- გიორგი კარგი კალათბურთელია. მისი პროგრესი ძალიან მახარებს. შერმადინს ნამდვილად შეუძლია „ოლიმპიას" ერთ-ერთ წამყვან კალათბურთელად ჩამოყალიბება.





ქართველი NBA-ში

# ფაჩულია: ჩვენი დღე არ იყო

ატლანტაში ჩატარებული მატჩის შემდეგ „ფილადელფიას" თავკაცმა **დაგ კოლინზმა** გაკვირვებით თქვა, წინასწარ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი სხვაობა დაფიქსირდებოდაო.

8 თებერვლის მატჩამდე „ატლანტა ჰოქსმა" ფილადელფიელებს ორჯერ მოუგო და ჯორჯიაში მესამე მატჩისთვის ჩასულ კოლინზს ნამდვილად არ ეგონა, რომ „ჰოქსი" ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. რეალურად ასეც მოხდა: „ფილადელფიამ" 117:83 იმარჯვა.

მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 15:33 წააგეს, ხოლო მეორე თორმეტწუთეულის ბოლოს სტუმართა უპირატესობამ 32 ქულას მიაღწია - 65:33. შესაბამისად მეორე ტაიმმა სიმბოლური სახე მიიღო.

„ატლანტას" მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** წაგება საკუთარ თავზე აიღო, თუმცა კალათბურთელებსაც გაჰკრა კბილი:

*- შეიძლება, ბურთი ვერ ჩააგდო, მაგრამ დაუშვებელია, მეტოქეს თავისუფლად ტყორცნის საშუალება მისცე. ეს მაშინ, როცა ჩვენთვის თითოეულ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს.*

მწვრთნელმა მეფარე **ელ ჰორფორდზეც** ილაპარაკა:

*- ელმა მატჩის წინ გუნდთან ერთად ივარჯიშა და „ფილადელფიასთან" მოედანზე გასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ თამაშის დრო რომ მოახლოვდა, მითხრა, ზურგი ძალიან მაწუხებს და დღეს ვერ დაგეხმარებითო.*

ჰორფორდის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში **ზაზა ფაჩულიამ** ითამაშა. დანარჩენ თანაგუნდელებთან ერთად ვერც მან შეძლო სტუმრების შეჩერება. მატჩის შემდეგ ზაზამ აღნიშნა:

*- არაფერი გამოგვივიდა. თითქოს, ენერგიაც არ გვქონდა. ჩვენი ტყორცნები მიზანს არ აღწევდა, დაცვამაც ვერ იმუშავა სათანადოდ. მოკლედ, ჩვენი დღე არ იყო.*

12 თებერვალს „ატლანტა" სეზონის 53-ე მატჩს ჩაატარებს - „შარლოტ ბობქეთსს" უმასპინძლებს.

**ატლანტა-ფილადელფია 83:117**

**ზაზა ფაჩულია:** 11:15 წუთი, 2 ქულა (2-დან 0 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 2 ფოლი

**ქრონოლოგია**

| I პერიოდი | |
|---|---|
| 09:42 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:30 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:17 | ფოლი: 1 |
| 06:17 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

| III პერიოდი | |
|---|---|
| 10:25 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 09:16 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 09:16 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 37:68) |
| 08:13 | ფოლი: 2 |
| 06:28 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

თურქეთი. საერთაშორისო ტურნირი

# როცა მაქსიმუმი 58 ქულაა

**9 თებერვალი**

**საქართველო-ბულგარეთი 58:84**

24:27, 11:26, 12:14, 11:17

**საქართველო:** ამირხანაშვილი (12ქ, 3მ, 1პ), ლილუაშვილი (14ქ, 5პ, 1მ), ქობალავა (2ქ, 3მ), აბულაძე (9ქ, 3მ, 4პ), დარახველიძე (17ქ, 6მ, 1პ), ლურწკაია (1მ), ჭიხვარია (4ქ, 10მ, 2დ), ლომთაძე (1მ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 5 | 5 | 0 | 426/281 | 10 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 4 | 1 | 361/282 | 9 |
| 3. სლოვენია | 5 | 3 | 2 | 359/343 | 8 |
| 4. ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 332/338 | 7 |
| 5. ირანი | 5 | 1 | 4 | 271/323 | 6 |
| 6. საქართველო | 5 | 0 | 5 | 250/432 | 5 |

გავიმეოროთ სათაური: როცა მაქსიმუმი 58 ქულაა, რისი იმედი უნდა გვქონდეს? დიახ, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ხუთი მატჩი ითამაშა და 60 ქულამდე ვერც ერთხელ მიაღწია. ეს განსაკუთრებით დამაფიქრებელი მაშინაა, როცა ქართველებს ირანის, ბულგარეთის, ჩინეთის წინააღმდეგ უწევდათ თამაში...

ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში **გია კაზანჯიანის** შეგირდები ბულგარეთს დაუპირისპირდნენ და პირადი „რეკორდი" დაამყარეს - 58 ქულა ჩააგდეს. მწვრთნელმა ამჯერად მხოლოდ 8 კალათბურთელი ათამაშა. მეტსაც გეტყვით, განაცხადში სულ 8 მოთამაშე შეიყვანა, თუმცა შეხვედრის სურათი წინა მატჩებისგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა: მეტოქემ ფარქვეშ გვაჯობა (ბულგარელებმა ბურთი 51-ჯერ მოხსნეს, ქართველებმა - 31-ჯერ) და სწორედ სამნამიან ზონაში მოპოვებული უპირატესობა გარდასახა 26-ქულიან მოგებაში (84:58).

წინა მატჩისგან განსხვავებით, ქართველმა კადეტებმა პერიმეტრიდან უკეთესად ისროლეს - 17-დან 6 სამქულიანი ჩააგდეს, მაგრამ ბულგარელებს ვერც ამ კომპონენტში აჯობეს (16-დან 6 სამიანი).

მატჩის ოქმის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება ისიც ითქვას, რომ არც ბულგარეთის ნაკრები წყვეტს ვარსკვლავებს. ეს არ ეხება მეათე ნომერ **ალექსანდრ ვეზენკოვს**, რომელიც თანატოლთა შორის მართლაც ვარსკვლავია. იგი საქართველოს ნაკრებთან მატჩში სამმაგი დუბლის ავტორი გახდა: 35 ქულა, 16 მოხსნა, 10 პასი. ერთი მისნაირი კალათბურთელი ჩვენს 16-წლამდელთა ნაკრებსაც დაამშვენებდა...

ქართველი კადეტები ტურნირში მეცხრე-მეთორმეტე ადგილებს თანაჯგუფელ ირანთან და A ჯგუფის ბოლო ორ გუნდთან, პუერტო რიკოსა და რუმინეთთან გაითამაშებენ: 11 თებერვალს პუერტო რიკოს დაუპირისპირდებიან, ხოლო ამ წყვილში გამარჯვებული მეცხრე ადგილისთვის ირანი-რუმინეთს შორის მოგებულს შეხვდება. წაგებულები მე-11 ადგილისთვის იბრძოლებენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




საქართველოს ნაკრების მეტოქე. ბელგია

# აქსელ ერველე: ბელგია ევროათეულში შევა

გასული წლის აგვისტოში საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე ჩვენს გაზეთში ბელგიელი **აქსელ ერველეს** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მაშინ მან თქვა: თბილისურ შეხვედრაზე ევრობასკეტის საგზური ჰკიდია. ვინც მოიგებს, ლიტვაშიც ის ითამაშებსო. გემახსოვრებათ, 20 აგვისტოს თბილისში ბელგიამ იმარჯვა და 1993 წლის შემდეგ პირველად მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე.

ესპანური „ბილბაოს" ფორვარდი აქსელ ერველე ევრობასკეტის წილისყრის შემდეგ ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედი აქვს, რომ საქართველოს და ბულგარეთის ნაკრებებს ერთხელაც მოუგებს. მისი მოსაზრებები „ფიბა-ევროპის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა.

*- ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ბევრი ვიშრომეთ. მოხარული ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ. ასეთი დონის შეჯიბრებაზე პირველად ვიასპარეზებ და ვიმედოვნებ, თამაშითაც ვისიამოვნებ და შემდეგ ეტაპზეც გავალთ.*

აქსელი მიზნის მისაღწევად ყველას ბელგიის ნაკრებში ეპატიჟება:

*- ევრობასკეტზე საუკეთესო 10 გუნდში უნდა მოვხვდეთ. ამისთვის აუცილებელია, სექტემბერს საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ და ყველამ ითამაშოს. მაგალითად, ცენტრმა ტომას ვან დენ შპიგელმა („მილანი"), დიდიე მბენგამ („ნიუ ორლეანი, NBA)...*

მკითხველს შევახსენებთ, რომ შარშან მბენგა ბელგიელებს არ დაეხმარა. არადა, შეიძლება, უკეთესიც ყოფილიყო NBA-ს ცენტრის თბილისში ჩამოსვლა, რადგან მბენგა ძირითადად დაცვაზე ორიენტირებული კალათბურთელია. მის არყოფნაში კი ნაკრებში მეორე ნატურალიზებულმა უკანახაზელმა **მარკუს ფეისონმა** ითამაშა, რომელიც მაღალი კლასის კალათბურთელია და ქართველებსაც დიდი თავსატეხი გაუჩინა.

ერველე სამართლიანად მიიჩნევს, რომ ბელგიის ნაკრების წარმატება უმთავრესად მთავარი მწვრთნელის, **ედი კასტელსის** დამსახურებაა.

*- ბელგიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ კასტელსმა არაერთი ცვლილება განახორციელა. გუნდი გააახალგაზრდავა. თუმცა დატოვა რამდენიმე ვეტერანი (ვან დენ შპიგელი, ბეგინი, მოორსი), რომლებიც გუნდს დიდ სამსახურს უწევენ. ბელგიის ნაკრები გამოცდილებისა და ახალგაზრდების კარგი ნაზავია. გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა.*





ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტის ახალი სახეობები

# სნოუბორდი საქართველოში

**ამას წინათ "ტაიმ აუტში" სნოუბორდზე მოგითხრეთ და დაგპირდით, რომ საქართველოში სპორტის ამ ახალი სახეობის შესახებ მოგითხრობდით „ქართული ქრონიკების" დღევანდელ გამოშვებაში. ვასრულებთ დანაპირებს.**



საქართველოში სნოუბორდით პირველად 1980-იანი წლების მიწურულს დაინტერესდნენ, როცა უცხოელმა ტურისტებმა გუდაურის ფერდობებზე საჩვენებელი დაშვება მოაწყვეს. **მამუკა** და **პალიკო ბურდულების** თაოსნობით ჩამოყალიბდა სნოუბორდის პირველი კლუბი, 1992 წელს კი გუდაურში გაიმართა საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი სლალომში, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანელი, შვეიცარიელი, ავსტრიელი და უკრაინელი სნოუბორდისტები. გაიმარჯვეს **მამუკა ბურდულმა** და **ნანა გველებიანმა.** მომდევნო ჩემპიონატი მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 2002 წელს ჩატარდა. ამჯერად პროგრამაში იყო ორი დისციპლინა — სლალომი და გიგანტური სლალომი. ამ შეჯიბრების შემდეგ საქართველოში სნოუბორდის მიმდევართა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოს სნოუბორდისტთა ფედერაცია დაფუძნდა 1992 წლის მაისში, 1993 წლიდან სნოუბორდის საერთაშორისო ასოციაციის (ISA) და სნოუბორდის საერთაშორისო ფედერაციის (ISF) წევრია. პრეზიდენტები: **ზურაბ ბურდული** (1992-96). მამუკა ბურდული (1997 წლიდან).

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** სუმოისტი, რომელიც საქართველოდან იაპონიაში ტოკიოს ერთ-ერთ წამყვან სკოლაში ჩაირიცხა 2001 წელს, იყო სოხუმელი **ლევან ცაგურია.**

**პირველმა** მსოფლიოში ქალთა შორის უშბის ორივე მწვერვალზე ტრავერსი განახორციელა **მარიამ უთმელიძემ.**

**პირველად** დამოუკიდებელი საქართველოს სახელით საქართველოს მესტენდურებმა მაღალ წარმატებას მიაღწიეს 1995 წელს. **თამაზ იმნაიშვილმა, დავით ქვათაძემ** და **გივი შენგელიამ** ვერცხლის მედლები მოიპოვეს მსოფლიოს თასის გათამაშებაში.



## თარიღი 10–16 თებერვალი

10.02.1984 წ. დაიბადა **ზაზა ფაჩულია** — კალათბურთი
10.02.1951 წ. დაიბადა **რაშ ხუტაბა** — თავ. ჭიდაობა
11.02.1970 წ. დაიბადა **დავით თორთლაძე** — კალათბურთი
12.02.1962 წ. დაიბადა **ნანა იოსელიანი** — ჭადრაკი
12.02.1938 წ. დაიბადა **რევაზ ქვაჩაკიძე** — მძლეოსნობა
12.02.1988 წ. ქუთაისში დაფუძნდა ბალახის ჰოკეის საქართველოს ეროვნული ფედერაცია
13.02.1942 წ. დაიბადა **მევლუდ მიმინოშვილი** — ფეხბურთი (მსაჯი)
15.02.1973 წ. დაიბადა **ანა დოლონაძე** — ბატუტზე ხტომა
15.02.1990 წ. დაფუძნდა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია
15.02.1951 წ. დაიბადა **შოთა მორჩილაძე** — ბ/რ ჭიდაობა
15.02.1921 წ. დაიბადა **ასლან ხარბედია** — ფეხბურთი.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

1. რომელმა ქართველმა კინორეჟისორმა მიუძღვნა თავისი სადიპლომო ფილმი ლეგენდარულ ფეხბურთელს **ბორის პაიჭაძეს?**
ა – თენგიზ აბულაძემ
ბ – რეზო ჩხეიძემ
გ – ნანა მჭედლიძემ

2. დაასახელეთ მოჭიდავე, რომელმაც ზედიზედ მსოფლიოს ჩემპიონის ორი მედალი მოიპოვა ჭიდაობის ორ სხვადასხვა სახეობაში
ა – ანზორ კიკნაძე
ბ – ანზორ ქიბროწაშვილი
გ – ლევან თედიაშვილი

3. რა არის „მენჩურუა"?
ა – სამეგრელოში გავრცელებული პაექრობა წყალში
ბ – ხალხური თამაში სამეგრელოში
გ – ასეთი არ არსებობს

4. რა პოზიციაზე თამაშობს **გია ლაბაძე** საქართველოს ნაკრებში?
ა – ფულბეკია
ბ – მესამეხაზელია
გ – მცველია

5. ჩამოთვლილთაგან სპორტის რომელი სახეობა არ შედის თანამედროვე ხუთჭიდში?
ა – ფარიკაობა
ბ – სროლა
გ – ნიჩბოსნობა

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## ვინ რა თქვა

„ტალანტების გამოჩენას უფრო მეტად რაიონებში, პერიფერიებში უნდა ველოდოთ. ქალაქში უფრო „იხარჯება" ადამიანი, ათასგვარი თავშესაქცევი არსებობს და მთავარი, არსებითი ეკარგება. რაიონში კი, თუ კაცი სპორტით დაინტერესდა, თავდავიწყებით, მთელი არსებით მიეცემა ვარჯიშს".

**ვიქტორ სანეევი**
სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში

„არ არსებობენ ფიზიკურად სუსტი ბავშვები, არსებობენ ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვები და მათი არსებობა ჩვენი დანაშაულია. პირველ რიგში, მშობლებისა და სკოლის დანაშაულია".

**ეროსი მანჯგალაძე**
1981 წ. იანვარი

## იყო ასეთი შემთხვევა

# გურამ მინაშვილი იხსენებს

*-ლენინგრადში, „სპარტაკთან" მატჩის წინ მაღალი ტემპერატურა მქონდა. მწვრთნელმა გოგი ავალიშვილმა სასტუმროში დამტოვა. გუნდი რომ წავიდა, ვერ მოვითმინე, სათამაშო ფორმა ავიღე და დარბაზისკენ გავემართე. მატჩი „დინამოსთვის" არასახარბიელოდ დაიწყო, რომ შევატყვე, გუნდი აგებდა, პირველი ტაიმის ბოლოს მოედანზე გავედი. მაღალი ტემპერატურისას მგრძნობელობა მატულობს... მეც 32 ქულა ჩავაგდე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩვენი გუნდის ყველა ქულას მე ვაგდებდი...*



## შეკითხვა ლელოს

გამიგია, რომ იაპონიაში წარმატებით მუშაობს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სისტემა - კაკუგი. როგორია ეს სისტემა?

**დავით ხავთასი**
თბილისი. პედაგოგი

**პასუხი:** დიახ, კაკუგი იაპონიის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სისტემაა და მოიცავს ორთაბრძოლის სამ იაპონურ სახეობას - ძიუდოს, სუმოს და კენდოს. ისწავლება საშუალო სკოლებში.

## ფოტო ლელოს არქივიდან

**სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გადაღებულია 20 წლის წინათ, 1991 წელს, საქართველოს აწ უკვე ყოფილი სპორტის აკადემიის წინ. კადრში თქვენ ხედავთ ჩვენი ქვეყნის ცნობილ სპორტსმენებს და სპორტის გამოჩენილ მუშაკებს, რომლებსაც ხსენებულ უმაღლეს სასწავლებელში უსწავლიათ. ზოგიერთი სპორტის მუშაკისთვის ეს იყო მეორე სპეციალობა, რათა ღრმად ჩასწვდომოდნენ დარგის სპეციფიკას.**



# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. აკრობატთა სახტუნაო; 6. არმრესლინგის ქართული სახელწოდება; 8. ძიუდოს ხალიჩა; 9. იაპონური სპორტის სახეობა; 10. კალათბურთში აქტიური დაცვის ერთ-ერთი ხერხი; 12. ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი; 13. კლუბი, რომელშიც შოთა არველაძე თამაშობდა; 17. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა თბილისში; 18. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 20. ზუგდიდის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 21. საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი; 22. ფანდი ანუ...; 24. ძალოსნური ორჭიდის დისციპლინა; 26. საქართველოს სპორტის მინისტრი; 28. თავდაცვის სამინისტროს საკალათბურთო გუნდი; 29. ქართული ჭიდაობის ილეთი.

**შვეულად:** 1. ცურვის სტილი; 2. ქართველი ხელბურთელი ... კალანდაძე; 3. სტუ-ს საკალათბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელი; 4. ვეტერანი ქართველი ტანმოვარჯიშე მამაკაცი; 5. "ყარაბალის" ქართველი თავდამსხმელი; 7. სპორტული ფეხსაცმელი; 11. ბაქოს "ინტერის" ქართველი ლეგიონერი; 14. გურჯაანის "ალაზანის" ყოფილი მეკარე, ამჟამად ბარნაულის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი; 15. საქართველოს მორაგბეთა ყოფილი ფრანგი მწვრთნელი; 16. ლეგენდარული ძველი ქართველი ფალავანი; 19. სასროლეთი; 20. შერმადინის საკალათბურთო გუნდი; 23. მოთხილამურეთათვის აუცილებელი ატმოსფერული ნალექი; 25. ბოლნისის "სიონის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ... ქასრაშვილი; 27. შინაგან საქმეთა სამინისტროს საკალათბურთო გუნდი.

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

პასუხები მომდევნო ნომერში

**გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

# უეცრად ჩამქრალი ვარსკვლავები


ანდრე პრეტორიუსი

ეს არასდროს ხდებოდა გეგმის მიხედვით. **გევინ ჰენსონი** ახლახან „სარასენზიდან“ ფრანგულ „ტულონში“ გადაბარგდა. მას ძალიან უნდა უელსის ნაკრებში დაბრუნდეს და მსოფლიო თასზე ითამაშოს. პესიმისტებს, შეუძლიათ არ გამოგვეხმაურონ. ჰენსონს კიდევ შესწევს ძალა, თავისი ნიჭი წარმოაჩინოს. მსგავს ვითარებაში არაერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავი აღმოჩენილა. მათი უმრავლესობა იძულებული იყო, ბუცები ლურსმანზე ჩამოეკიდა.

## ანტონ ოლივიერი
**(ტულონი)**

ის ერთ-ერთი ყველაზე მოაზროვნე მორაგბე გახლდათ. მას შემდეგ, რაც 2007 წლის მსოფლიო თასზე ახალი ზელანდიის ნაკრებმა კრახი განიცადა, ოლივიერმა კონტრაქტი ფრანგულ „ტულონთან“ გააფორმა. სამწუხაროდ, ოტაგოელი შერკინების კვაჭის კარიერა აქ წარუმატებელი გამოდგა. „კონტრაქტი რომ გავაფორმე „ტულონთან“, იმავე ღამეს მივხვდი, ჩემი რაგბი დასრულდა. ახალი ზელანდიის ნაკრებიდან წასვლა, მაფიიდან წასვლას ჰგავს. თუ წახვედი, მორჩა, წასული ხარ და ველარასდროს დაბრუნდები“ - თქვა მან „ტაიმსთან“ ინტერვიუში.

ოლივეირისთვის „ტულონს“ წელიწადში 250 ათასი ევრო უნდა გადაეხადა. ერთი სეზონის შემდეგ ის რაგბიდან წავიდა და ოქსფორდის უნივერსიტეტში, მიკრობიოლოგიის შესწავლა დაიწყო.

## ჯონა ლომუ
**(კარდიფ ბლუზი)**

ლეგენდარული ახალზელანდიელი „არმს პარკის“ ქომაგთა ფავორიტი მალევე გახდა. „კარდიფ ბლუზის“ შემადგენლობაში ლომუმ სადებიუტო მატჩშივე შეძლო ლელოს გატანა. თუმცა მალე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ „დიდი კაცი“ თირკმლის გადანერგვის შემდეგ წარსულის აჩრდილილა იყო.

ლომუმ მალე ფეხის ტერფი დაიშავა, რამაც, ფაქტობრივად, მისი სარაგბო კარიერის დასრულება გამოიწვია.

## კრისტიან კალენი
**(მანსტერი)**

ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფულბეკი იყო. მისი კარიერა უეცრად დასრულდა ირლანდიურ „მანსტერში“, ისე, რომ 2003 წლის მსოფლიო თასზე თამაში ველარ შეძლო. კალენს სერიოზულად აწუხებდა დაშავებული მხარი, სტკიოდა მუხლი და ფეხის ტერფი. ყოველივე ამან კი, აიძულა რაგბიდან წასულიყო.

„სიამოვნებით ვიხსენებ ხოლმე ჩემი კარიერის ირლანდიურ პერიოდს. გული მწყდება, რომ „მანსტერი“ დავალალატე. როდესაც ამ გუნდთან კონტრაქტი გავაფორმე, შორს მიმავალი, დიდი გეგმები მქონდა, მაგრამ მხარზე გადატანილი სამი ოპერაციის შემდეგ, რაგბის თამაში ველარ შევძელი“ - სინანულით იხსენებს კრისტიან კალენი.

## ოლი ბარკლი
**(გლოსტერი)**

მის მიერ „გლოსტერში“ გატარებულმა ერთმა სეზონმა გვანახა, რომ გარკვეული მოთამაშეებისთვის უკეთესი ადგილი, ვიდრე მშობლიური კლუბია, არ არსებობს. ბარკლიმ „ბასის“ შემადგენლობაში 164 მატჩი გამართა და გუნდს 1 538 ქულა მოუტანა. „გლოსტერში“ გადასვლის შემდეგ მისი საქმე უკუღმა წავიდა. ოლიმ გლოსტერელთა რიგებში 19 მატჩში ითამაშა და მხოლოდ ასი ქულის დაგროვება შეძლო.

*„მე დავბრუნდი, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩემი გული „ბასის“ ეკუთვნის. აქ ვგრძნობ, რომ დიდი რაგბის თამაში შემიძლია და დავბრუნდი, რათა ეროვნულ გუნდსაც დავუბრუნდე“* - თქვა მან.

## ანდრე პრეტორიუსი
**(ვესტერნ ფორსი)**

ის ყველაზე უილბლოა ამ სიაში. პრეტორიუსმა სამხრეთ აფრიკის შემადგენლობაში 2007 წლის მსოფლიო თასი მოიგო და 2010 წლის დასაწყისში „ლაიონზიდან“ ავსტრალიურ „ვესტერნ ფორსში“ გადაბარგდა. „ბოკეს“ მგეზავს „ბრამბიზში“ გადასული **მეთ გიტო** უნდა შეეცვალა. სამწუხაროდ, ზე 14-ის გათამაშების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ანდრე ვარჯიშისას სერიოზულად დაშავდა, ოპერაცია გაუკეთეს და მთელი სეზონი გაუცდა.


რუპენი კაუკაუ

## რუპენი კაუკაუნიბუკა
**(აჟენი)**

ფიჯელი ვარსკვლავი ყველაზე ჭირვეული აღმოჩნდა ყველა ვარსკვლავს შორის. კაუკაუ ორი წელიწადი ფრანგული „აჟენის“ გარემარბი იყო, თუმცა მან ამ კლუბის ხელმძღვანელებს საკმაოდ დააწყვიტა ნერვები. რუპენი მუდმივად სკანდალებში ეხვეოდა. კლუბში შვებულებიდან დაბრუნებას მუდმივად აგვიანებდა, რასაც ხან ტროპიკული ვირუსით დაავადებას აბრალებდა, ხანაც სავიზო პრობლემების მოუგვარებლობას.

კაუკაუ ბოლოს ჰაშიშის მოხმარებაშიც ამხილეს. „აჟენის“ თავკაცებს მოთმინების ფიალა აევსოთ და მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს გარემარბს სამუდამოდ გამოემშვიდობნენ.

მოგვიანებით, უსაქმოდ დარჩენილი რუპენი კაუკაუნიბუკა (იგივე კაუკაუ) ფრანგულმა გრანდმა „ტულუზმა“ მიიწვია, როგორც სამედიცინო ჯოკერი.

## მაიკლ პესამინო
**(სეილ შარქსი)**

ჰენსონთან შედარებით პესამინოს ისტორია გამყინვარების ხანაა. „სეილ შარქსის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბრიუერმა** მასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ განცხადება 2010 წლის ივლისში გააკეთა. სამოელი მაიკლ პესამინო, რომელიც შარშანდელი სეზონის შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, კლუბში დღემდე არ გამოცხადებულა. მიზეზად სავიზო პრობლემები სახელდება.

მდგომარეობა ისეა გართულებული, რომ პესამინო, სავარაუდოდ, „სეილ შარქსის“ კვართს ვერასდროს მოირგებს.

*„ეს ვითარება ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მის აგენტთან ურთიერთობა მაიკ ბრიუერს აქვს. ვერაფრით ვხვდები, რა შეიძლება უშლიდეს ხელს პესამინოს. თუ მას ჩვენთან თამაში არ სურს, ან რაიმე აეჭვებს, მაშინ ჯობია, საერთოდ არ ჩამოვიდეს“* - თქვა „სეილ შარქსის“ ამჟამინდელმა მწვრთნელმა **პიტ ენგლესიმ.**

ექვსი ერი



# ენდი რობინსონი 2015 წლამდე

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის ჯგუფურ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდიის ეროვნული გუნდი შაბათს, ექვსი ერის გათამაშების მორიგ შეხვედრას შინ გამართავს უელსის ნაკრებთან.

„სკოტებმა“ პირველ წრეში სტუმრად წააგეს საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან - 21:34. მარცხის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა**, რომელსაც სერ **კლაივ ვუდვორდის** სკოლა აქვს გავლილი, შოტლანდიის ნაკრები ანგარიშგასაწევ ძალად აქცია.

„ნარშავები“ თამაშის შემდეგ კარგ ხასიათზე იყვნენ. მათ ევროპის უძლიერეს ნაკრებს ხომ სამი ლელო გაუტანეს. ეს ზუსტად იმდენია, რაც შარშანდელ ექვსი ერის გათამაშებაში ერთად აღებული. რობინსონს მარცხის გამართლება არ უცდია. პირიქით, - მოთამაშეებს ბავშვური შეცდომები რომ არ დაეშვათ, მატჩის მოგების შანსი გვექნებოდაო - თქვა მან.

შოტლანდიის ნაკრების ადრინდელი მწვრთნელები, მუდმივად თავის მართლებით იყვნენ დაკავებულნი. მადაგასკარზე უფრო მეტი მორაგბეა, ვიდრე შოტლანდიაშიო - ამბობდნენ ისინი და მართალიც იყვნენ. მადაგასკარზე ორჯერ უფრო მეტი ადამიანი თამაშობს რაგბის ვიდრე შოტლანდიაში, მაგრამ ხარისხი?

ერთი სიტყვით, რობინსონმა პოლიტიკაც და გუნდის თამაშიც საგრძნობლად შეცვალა. თუმცა ერთი თვალშისაცემი ნაკლი გუნდს მკვეთრად ეტყობა. „სკოტების“ შერკინება „ლე ბლემ“ სტატიკაში აშკარად დაჯაბნა, რასაც დინამიკურ თამაშში ვერაფრით ვიტყვით. შოტლანდიელთა რიგებში გამორჩეული „კაცი მთა“, მეორეხაზელი **რიჩი გრეი** იყო.

ეს წერილი თითქმის დამთავრებული გვქონდა, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ენდი რობინსონმა შოტლანდიის რაგბის კავშირთან ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ის „ნარშავებს“ 2015 წლის მსოფლიო თასის დასრულებამდე გაწვრთნის. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა „სკოტებთან“ მუშაობა 2009 წელს დაიწყო და 2012 წლის ექვსი ერის დასრულებამდე უნდა ემუშავა.

უელსთან საშინაო მატჩში რობინსონმა შემადგენლობა არ შეცვალა.

**შოტლანდიის ნაკრები**

**15. ჰუგო საუთვილი, 14. შონ დენიელი, 13. ჯო ანსბრო, 12. ნიკ დე ლუკა, 11. მაქს ევანსი, 10. დენ პარქსი, 9. რორი ლაუსონი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი, 4. ალისტერ კელოკი, 5. რიჩი გრეი, 6. კირან ბრაუნი, 7. ჯონ ბარკლი, 8. რიჩი ვერნონი**

**16. დენ ჰალი, 17. მარკ ლოუ, 18. ნათან ჰინესი, 19. ჯეიმზ ბიტი, 20. მეთიუ ბლერი, 21. რაიან ჯექსონი, 22. შონ ლამონტი.**

ერთა თასი

# ლობუშებთან ორი ქართველით

ერთა თასის გათამაშება რუსეთის ნაკრებმა მადრიდში, ესპანეთის ეროვნული გუნდის ძლევით დაიწყო. მომავალ შაბათს კი სოჭში პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდება. „ლობუშებმა“, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოულოდნელად დაამარცხეს მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნების“ მეტოქე რუმინეთი - 24:17.

რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრებების დაპირისპირება მუდმივად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს და წინასწარ გამარჯვებულის დასახელება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. რუსთა თავკაცმა **ნიკოლაი ნერუშმა,** ესპანურ 23-კაციან შემადგენლობას კიდევ ხუთი ახალი მორაგბე დაუმატა და მეტოქესთან სათამაშოდ სოჭში ემზადება.

რუსეთის ნაკრების რიგებში არიან წარმოშობით ქართველები **კარლო მალლაკელიძე და ვალერი ცნობილაძე.** გუნდს ვერ დაეხმარება ტრავმირებული მეორეხაზელი **კირილ კულემინი,** რომელიც, სავარაუდოდ, მოედანს სეზონის ბოლომდე ვერ დაუბრუნდება.

**რუსეთის ნაკრები**

**შერკინება: კარლო მალლაკელიძე, ვალერი ცნობილაძე, ალექსანდრ ვოიტოვი, ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოსტრიკოვი, ევგენი პრონენკო, ალექსეი ტრავკინი, არტიომ ფატახოვი, ალექსანდრ ხროკინი, ნიკიტა მედკოვი, ალექსეი პანასენკო, ივან პრიშეპენკო.**

**უკანა ხაზი: ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, კონსტანტინ რაჩკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ალექსეი მაკოვეცკი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, იგორ კლუჩნიკოვი, იგორ გალინოვსკი, მიხაილ ბაბაევი, ვასილი არტემევი, ოლეგ კობზევი, ალექსეი შერბანი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. ახალი ამბები

პირსი და ალენი კონკურენტები იქნებიან




# ბინუმი კარმელოში?

„დენვერ ნაგეტსის" ლიდერ **კარმელო ენტონის** კიდევ ერთი პრეტენდენტი გამოუჩნდა. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ წინასწარი მოლაპარაკებები გამართა „დენვერის" ხელმძღვანელობასთან და ენტონის სანაცვლოდ ძირითადი ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** შესთავაზა. ამ ინფორმაციას ESPN-ის მიმომხილველი **კრის ბროსარი** ავრცელებს.

მისი თქმით, „ნაგეტსს" არ აინტერესებს **რონ არტესტი** და **ლამარ ოდომი**, ამიტომაც „ლეიკერსს" ენტონის ხელში ჩასაგდებად ტრეიდში სხვა კალათბურთელების ჩართვა მოუწევს.

ჩემპიონთან მოლაპარაკებები საწყის სტადიაშია, ამიტომაც „დენვერის" ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს სამმხრივ გაცვლას „ნიუ იორკთან" და „მინესოტასთან", რომლის შესახებაც რამდენიმე დღის წინ გამოცხადდა. ამავდროულად, „ლეიკერსის" წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ სავარაუდო ტრეიდის შესახებ.

## პირსი ტიტულს დაიცავს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" სამქულიანების კონკურსის მონაწილეთა სია გამოქვეყნა. შარშანდელმა გამარჯვებულმა, „ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდმა **პოლ პირსმა** 19 თებერვალს, ლოს ანჯელეს „სტეიპლ ცენტრში" ტიტულის დაცვის შანსი მიიღო.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებს „ბოსტონის" კიდევ ერთი კალათბურთელი - **რეი ალენი**, რომელსაც ეს პრიზი 2001 წელს აქვს მოგებული. სხვათა შორის, ვეტერანი მცველი ახლოა **რეჯი მილერის** რეკორდის გაუმჯობესებასთან. სულ მალე რეის რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე მეტი სამქულიანი ექნება ჩაგდებული.

ბოსტონელებს კონკურენციას გაუწევენ **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **დანიელ გიბსონი** („კლივლენდი"), **ჯეიმს ჯონსი** („მაიამი") და **დორელ რაიტი** („გოლდენ სტეიტი").

## ბიზლი რამდენიმე მატჩს გამოტოვებს

„მინესოტა ტიმბერვულვზის" ერთ-ერთმა ლიდერმა **მაიკლ ბიზლიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დროა ტრავმირებული ფეხის მკურნალობაზე იფიქროს. ამისათვის კალათბურთელი უახლოესი რამდენიმე მატჩის გამოტოვებას გეგმავს.

ბიზლი ამ აზრამდე „ნიუ ორლეანთან" მატჩის შემდეგ მივიდა. იმ შეხვედრაში ფორვარდმა ფეხი გადაიბრუნა და ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება. მიმდინარე რეგულარულში ბიზლის მაჩვენებლებია - 19.9 ქულა და 5.6 მოხსნა.

## როი ამ კვირას დაბრუნდება

„პორტლენდის" შემტევმა მცველმა **ბრენდონ როიმ** სამედიცინო შემოწმება გაიარა და ექიმებისგან სრულფასოვანი ვარჯიშების განახლების უფლება მიიღო. შეგახსენებთ, „ბლეიზერსის" ლიდერმა იანვარში ოპერაცია ორივე მუხლზე გადაიტანა და დღემდე აღდგენით კურსს გადიოდა. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ როი გუნდის შემადგენლობაში დაბრუნდება და რეგულარულ ჩემპიონატში გამოსვლას განაახლებს.

ამ სეზონში ბრენდონმა მხოლოდ 23 მატჩში მოასწრო მონაწილეობა. მის ანგარიშზეა 16.6 ქულა, 3.0 მოხსნა და 3.3 შედეგიან პასი.

## ნოჩიონი ესპანეთზე ფიქრობს

„ფილადელფია სიქსერზის" არგენტინელი ფორვარდი **ანდრეს ნოჩიონი** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კარიერის დასრულებასა და ესპანეთში დაბრუნებაზე ფიქრობს. სამხრეთამერიკელს „კახა ლაბორალში" სურს თამაშის გაგრძელება, კლუბში, საიდანაც შვიდი წლის წინ ამერიკის დასაპყრობად გაემგზავრა. ვებგვერდ encestando.es-ის ცნობით, ნოჩიონიმ უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ესპანეთის ჩემპიონთან სავარაუდოდ დაბრუნების შესახებ.

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ ფორვარდმა უარი თქვა 6.6 მილიონ დოლარზე. ამ კონტრაქტის მიხედვით ანდრესი NBA-ში 2013 წლის ზაფხულამდე დარჩებოდა, მაგრამ არგენტინელი შეთავაზებამ არ დააკმაყოფილა.

ნოჩიონი „კახა ლაბორალში" (მაშინ კლუბი „ტაუგრესი" ერქვა) 2000-04 წლებში თამაშობდა. ამ დროის განმავლობაში არგენტინელი ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სუპერმენამდე ჯერ ადრეა

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერმა „სან ანტონიომ" კლასის ხარჯზე მორიგ გამარჯვებას მიაღწია. „სპურსს" სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია „დეტროიტის" მხრიდან. თითქოს მასპინძლები მატჩის დიდი ნაწილი ღირსეულად ებრძოდნენ ფავორიტს, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა ტექსასელთა სათამაშო რეზერვი - **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს ნებისმიერ მომენტში შეეძლო თამაშის მომატება. სტუმრების ძალა განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოჩნდა, როცა „სან ანტონიოს" აწყობილი მანქანა უფრო აგრესიულად ამოქმედდა.

პირველ რიგში, ეს დაცვის თამაშს ეხება. ერთადერთი, ვისაც სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს, **უილ ბინუმი** იყო. ამ გამთამაშებლის შედეგიანი თამაში „დეტროიტის" ერთადერთი იმედი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ბოლო სიტყვა მაინც **ჯინობილიმ** და კომპანიამ თქვეს. არგენტინელმა დროულად აილო საკუთარ თავზე ინიციატივა და ნერვული ფინალი აიცილა თავიდან.

რთული მატჩი ჰქონდა გუშინ „მაიამისაც". ვინ იფიქრებდა, რომ „ინდიანა" ასეთ ბრძოლას გაუმართავდა აღმოსავლეთისა და მთლიანად სეზონის ერთ-ერთ ფავორიტს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ „პეისერსმა" ახალი მწვრთნელის **ფრენკ ვოგელის** მეთაურობით ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და „ჰიტთან" შეხვედრას კარგი განწყობით შეხვდა.

შეხვედრის დებიუტი ფლორიდელებს უკეთესი გამოუვიდათ. **ლებრონ ჯეიმსის** შესანიშნავი თამაშის წყალობით „ჰიტი" კომფორტულ უპირატესობას ინარჩუნებდა, მაგრამ როგორც კი „მეფე" დასასვენებლად გაემართა, „პეისერსმა" შთამბეჭდავი გაქცევა მოაწყო. **ჰიბერტის, გრეინჯერისა** და **ჰენსბროს** მონდომებით, მესამე მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთითა და 4 წამით ადრე „ინდიანა" 13 ქულით იყო წინ - 94:81. როგორც კი „მაიამი" საფრთხის წინაშე დადგა, მაშინვე თამაში თავის თავზე ლებრონმა აილო. მან და მისმა პარტნიორებმა ბოლო მეოთხედში მეტოქეს მხოლოდ 15 ქულა დააგროვებინეს (თამაშიდან ტყორცნების რეალიზაცია 28 პროცენტს უდრიდა), თავად კი 12-ით მეტი ქულა აილეს და გამარჯვებათა სერია შვიდამდე აიყვანეს.

ლებრონმა 41 ქულა დააგროვა. მან თამაშიდან 23-ჯერ ისროლა და აქედან 15 ზუსტი იყო, ხუთიდან ორი სამქულიანი გამოიყენა და 13-დან 9 საჯარიმო ჩააგდო. გარდა ამისა, „მეფის" ანგარიშზეა 13 მოხსნა, 8 შედეგიანი პასი, 3 ჩაჭრა და ერთი დაფარება. აგრეთვე გადამწყვეტი ტყორცნა საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე და ორი გამოყენებული საჯარიმო 6 წამით ადრე. სხვათა შორის, ჯეიმსი ბოლო 20 მატჩში 29.6 ქულას, 8.6 მოხსნასა და 7.5 შედეგიან პასს აგროვებს, „ჰიტმა" კი ამ ოციდან 17 შეხვედრა მოიგო.

ძალიან საინტერესო დუელს ელოდნენ ფლორიდაში - **დუაიტ ჰოვარდი ბლეიკ გრიფინის** წინააღმდეგ. ეს კალათბურთელები ჩატენვების მიხედვით სეზონის ლიდერები არიან, მაგრამ ამჯერად ბრძოლა არ შედგა. „ორლანდომ" ძალიან უნარიანად დაიცვა თავი კალიფორნიელი დებიუტანტის წინააღმდეგ და გასაქანი არ მისცა მას. გრიფინმა 12 ტყორცნიდან მხოლოდ ოთხი გამოიყენა და ჯამურ 10 ქულას 12 მოხსნა დაუმატა. თავის მხრივ, „სუპერმენი" განუმეორებელი იყო. მან 22 ქულა და 20 მოხსნა დააგროვა. ეს მისთვის მეხუთე მატჩია სეზონში, როცა მინიმუმ 20 ქულა და მოხსნა მიითვალა. ახლა ასეთი შთამბეჭდავი ორმაგი დუბლი დუაიტს კარიერაში 31 აქვს. ბოლო 25 წლის განმავლობაში ამ მაჩვენებლით ჰოვარდი მხოლოდ **ჩარლზ ბარკლის, შაკილ ო'ნილსა** და **ჰაკიმ ოლაჯუონს** ჩამორჩება. რაც შეეხება შეხვედრას, ინტრიგა ბოლო მეოთხედამდე შენარჩუნდა, მაგრამ დასკვნითი 12 წუთი „ჯადოქრებმა" 35:20 მოიგეს.

მოულოდნელი იყო სტუმრად „მემფისის" გამარჯვება „ოკლაჰომასთან", მით უმეტეს, რომ „დათვებს" წამყვანი მოთამაშე **რუდი გეი** არ ჰყავდათ. პირველი ნახევარი „მემფისს" კარგს არაფერს უქადდა. **რასელ უესტბრუკსა** და **კევინ დურანტს** დამაჯერებლად მიჰყავდათ საკუთარი გუნდი მორიგ გამარჯვებამდე, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა.

გეის როლი **ტონი ალენმა** იტვირთა, რომელიც არა მარტო შეტევაში შედეგიან თამაშს, არამედ დაცვაში მუშაობასაც ასწრებდა. ძირითადი დრო მთავრდებოდა, როცა ალენმა ბოლო შეტევაში დურანტს დაუფარა და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებით ხუთ წუთში თავი შეგვახსენა „მემფისის" კიდევ ერთმა ლიდერმა **ზაკ რენდოლფმა**. ბოლოს მისმა ზუსტმა ტყორცნებმა გადაწყვიტა სტუმრების სასარგებლოდ მატჩის ბედი.

**ატლანტა–ფილადელფია 83:117**

15:33, 18:32, 25:23, 25:29

ა: სმიტი (16+7 პასი+5 მოხსნა), უილკინსი (12), უილიამსი (10+10 მოხსნა), ტიგი (10).

ფ: უილიამსი (20), ბრენდი (17+5 მოხსნა), მიქსი (16+8 მოხსნა), იანგი (16+8 მოხსნა), ჰოლიდეი (15), იგუოდალა (11+8 პასი+7 მოხსნა).

**ორლანდო–კლიპერსი 101:85**

21:23, 21:23, 24:19, 35:20

ო: ჰოვარდი (22+20 მოხსნა), ნელსონი (17), ანდერსონი (13+5 მოხსნა), რედიკი (12+6 მოხსნა), რიჩარდსონი (10), კლარკი (10).

კ: დევისი (25+8 მოხსნა+8 პასი), დიოგუ (18+5 მოხსნა), გრიფინი (10+12 მოხსნა).

**დეტროიტი–სან ანტონიო 89:100**

25:26, 26:26, 15:19, 23:29

დ: ბინუმი (21), მონრო (14+13 მოხსნა), პრინსი (12+5 მოხსნა), დეი (10+6 მოხსნა), სტაკი (10).

ს-ა: პარკერი (19+7 პასი), ბლეირი (18+12 მოხსნა), ჯინობილი (13+6 პასი+5 მოხსნა) ჯეფერსონი (11), დანკანი (10+10 მოხსნა), ბონერი (10).

**მაიამი–ინდიანა 117:112**

33:29, 30:37, 27:31, 27:15

მ: ჯეიმსი (41+13 მოხსნა+8 პასი), ბოში (19+7 მოხსნა), უეიდი (17+7 პასი), ჩელმერსი (16).

ი: ჰიბერტი (20+10 მოხსნა), გრეინჯერი (19), ჰენსბრო (18), კოლისონი (15+8 პასი+5 მოხსნა), მაკრობერტსი (12), ჯონსი (10).

**მილუოკი–ტორონტო 92:74**

24:17, 16:21, 26:20, 26:16

მ: სალმონსი (17+6 მოხსნა), მაგეტი (16+9 მოხსნა), ბოგუტი (14+5 მოხსნა+5 დაფარება), ჯენინგსი (12), მბა ა მუტე (10+14 მოხსნა).

ტ: ბარნიანი (23+5 მოხსნა), დეროზანი (18+7 მოხსნა).

**ოკლაჰომა–მემფისი 101:105 (ო)**

27:24, 27:20, 17:30, 24:21, 6:10

ო: დურანტი (31+10 მოხსნა), უესტბრუკი (21+11 პასი+5 მოხსნა), ჰარდენი (13), იბაკა (6+14 მოხსნა).

მ: რენდოლფი (31+14 მოხსნა), ალენი (27+5 ჩაჭრა), იანგი (14), კონლი (13), გასოლი (12+5 მოხსნა).

**ჰიუსტონი–მინესოტა 108:112**

29:27, 24:29, 32:27, 23:29

ჰ: მარტინი (23), ლი (23), სკოლა (22+7 მოხსნა), ლოური (14), ჰეიესი (10+13 მოხსნა+5 ჩაჭრა).

მ: ლავი (20+14 მოხსნა), ელინგტონი (18), ფლინი (15+7 პასი), ტელფეირი (14), ჯონსონი (13+6 მოხსნა), ბრიუერი (10), ტოლივერი (4+10 მოხსნა).



ჰოვარდმა გრიფინს აჯობა

# გარნეტს რეკორდი წაართვეს



კევინ ლავი

„მინესოტა ტიმბერვულვზის" ლიდერმა და რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მომხსნელმა **კევინ ლავმა** საკლუბო რეკორდი დაამყარა. გუშინ 22 წლის მძიმე ფორვარდმა „ჰიუსტონთან" მატჩში ზედიზედ 38-ე ორმაგი დუბლი შეასრულა და გააუმჯობესა **კევინ გარნეტის** რეკორდი, რომელიც 37 დაბლ-დაბლს უდრიდა.

„ჰიუსტონთან" გასვლით მატჩში ლავის მონაგარი 20 ქულა და 14 მოხსნა იყო, მისმა გუნდმა კი 112:108 გაიმარჯვა. მატჩის შემდეგ ლავმა აღიარა, რომ იცოდა სავარაუდო რეკორდის შესახებ, მაგრამ ამის გამო განსაკუთრებით არ ღელავდა.

ლავმა არა მარტო გააუმჯობესა კლუბის ლეგენდის შედეგი, არამედ ზედიზედ შესრულებული ორმაგი დუბლებით ლიგის ისტორიაში მეორე ადგილზე გადავიდა. ჯერჯერობით საუკეთესოდ რჩება **მოზეს მელოუნის** შედეგი. მან 1982-83 წლების სეზონში ზედიზედ 44 ორმაგი დუბლი მიითვალა.

ლავი „მინესოტაში" მესამე სეზონია თამაშობს, გარნეტი კი „მგლების" ღირსებას 1995-2007 წლებში იცავდა, რის შემდეგაც „ბოსტონ სელტიქსში" გადავიდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ეშმაკები წინ მიდიან



ჰეთ-თრიკის ავტორი დრიუ სტეფორდი

„სან ხოსე შარქსმა“ გადალახა კრიზისი და „ვაშინგტონთან“ შეხვედრას სამმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა. სწორედ ეს მატჩი იყო გუშინდელ სათამაშო დღეს ცენტრალური. დედაქალაქელებს წამყვანი მცველი **მაიკ გრინი** დააკლდათ, რომელმაც წინა მატჩში „პიტსბურგთან“ ტრავმა მიიღო. ამის გამო „კეპიტალზს“ სასწრაფოდ მოუწია ფარმკლუბიდან **ტაილერ სლოუნის** გამოძახებამ.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ორ პერიოდში გოლი არ გასულა, თამაში ძალიან საინტერესოდ ვითარდებოდა. „ზვიგენებმა“ კარგად ჩაკეტეს მასპინძლების ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, რის გამოც „ვაშინგტონს“ იშვიათად ჰქონდა საგოლე მომენტი. ერთ-ერთი ასპროცენტიანი იყო - მეორე პერიოდის ბოლოსკენ **დევიდ შტეკელი** გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ „შარქსისთვის“ საბედნიეროდ, ფორვარდმა შანსი ვერ გამოიყენა.

„სან ხოსეს“ უფრო ადრე შეეძლო გადაეწყვიტა მატჩის ბედი, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა „კეპიტალზის“ ჩეხი მეკარე **მიხალ ნოივირტი**. სტუმრები იოლად შედიოდნენ მეტოქის ზონაში, იქ კომბინაციებს ათამაშებდნენ, მაგრამ ბოლო ბარიერს ვერ გადიოდნენ. ერთ მომენტში ნოივირტმა ზედიზედ სამი დარტყმა მოიგერია. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა - 30-ზე მეტი დარტყმის მოგერიების შემდეგ ჩეხმა სწრაფად გაუშვა ორი შაიბა. ჯერ **ლოგან კუტური** შევარდა „ვაშინგტონის“ ზონაში და ფეხებს შუა გაუძვრინა შაიბა ნოივირტს, შემდეგ კი **დენ ბოილმა** ახლო მანძილიდან გაიტანა. „კეპიტალზი“ ბოლოსკენ გააქტიურდა, მაგრამ **ანტი ნიემიმ** დაამტკიცა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში უსაქმურობას მისი ყურადღება არ მოუდუნებია. ფინელმა მეკარემ მშვიდად მიითვალა „შათაუტი“.

„ვაშინგტონის“ გასახარად, წააგო დივიზიონში მისმა მთავარმა კონკურენტმა. „ტამპა ბეი“ თითქოს დამაჯერებლად აკონტროლებდა „ბაფალოსთან“ მატჩს და ორი პერიოდის შემდეგ წინ იყო, მაგრამ მესამეში „ლაითნინგის“ თამაში მთლიანად მოიშალა, რამაც ამ გუნდის კარში ხუთი შაიბა მოიტანა! კარგი მატჩი ჩაატარა ფორვარდმა **დრიუ სტეფორდმა**. ბაფალოელმა ჰეთ-თრიკი შეასრულა და დღის პირველი ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა.

პლეი ოფის ზონასთან მიახლოებას ცდილობს „ტორონტო“. კანადურმა კლუბმა ბოლო ორ დღეში მეორე გამარჯვება მოიპოვა - მან ნიუ იორკში „აილენდერსი“ დაამარცხა. მასპინძლებისთვის საინტერესო მომენტი იყო 22 წლის ფინელი მეკარის **მიკო კოსკინენის** დებიუტი, რომელიც პირველ გუნდში **რიკ დიპიეტროს** ტრავმის შემდეგ გამოიძახეს. კოსკინენი ამ მატჩში დუბლიორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოთელვაზე ტრავმა მიიღო **კევინ პოულინმა**, ამიტომაც ფინელს მოედანზე გასვლამ მოუწია. დებიუტი საუკეთესო ვერ გამოვიდა, რადგან 26 დარტყმიდან მიკომ ხუთი შაიბა გაუშვა და მისმა გუნდმა 2:5 წააგო. „ტორონტოდან“ უნდა გამოვყოთ **კოლბი არმსტრონგი** და **დერილ ბოისი** - მათ სამ-სამი ქულა მოიპოვეს.

მოულოდნელად წააგო „პიტსბურგმა“, რომელიც „კოლამბუსს“ მასპინძლობდა. „პიტსბურგის“ პრობლემების შესახებ საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ სტუმრების გამარჯვებას (4:1) მაინც არავინ პროგნოზირებდა. აღსანიშნავია „კოლამბუსის“ მეკარის **სტივ მეისონის** კარგი თამაში, რომელმაც 32 დარტყმა მოიგერია და თავის გუნდს ცხრილში „კოლორადოს“ გასწრების საშუალება მისცა.

სულ ცოტა ხნის წინ გულშემატკივრები იმაზე ბჭობდნენ - დააღწევდა თუ არა თავს „ნიუ ჯერსი“ აღმოსავლეთის ბოლო ადგილს. ახლა კი ფანები „დევილზის“ პლეი ოფში მოხვედრის შანსებს ითვლიან. რა თქმა უნდა, გუნდს ძალიან წაადგა მწვრთნელ **ჟაკ ლემერის** დაბრუნება, რომელმაც დაალაგა სიტუაცია და ახლა „ნიუ ჯერსი“ თამაშს თამაშზე იგებს. ამჯერად მან ოვერტაიმში მოუგო „კაროლინას“ - 3:2, მატჩის გმირი კი ახალგაზრდა შვედი **მატიას ტედენბი** გახდა, რომელმაც ორი შაიბა გაიტანა, მათ შორის - გამარჯვების. „ეშმაკების“ პროგრესის მიუხედავად, ისინი ჯერ შორს არიან პლეი ოფის ზონისგან - უახლოეს კონკურენტს „ტორონტოს“ ჩამორჩებიან შვიდი ქულით.

**ნიუ ჯერსი-კაროლინა 3:2 (ო)**

**0:0, 1:1, 1:1, 1:0**

**გოლები:** 0:1 სკინერი-19 (კორვო-20, პიტკანენი-21), 1:1 ტედენბი-6 (არნოტი-11, კ. უაიტი-4), 1:2 სკინერი-20 (ე. სტაალი-28, ი. უაიტი-13), 2:2 პალმიერი-5 (კოვალჩუკი-18, კ. უაიტი-5), 3:2 ტედენბი-7 (ზაიაცი-23, ჰედბერგი-1).

**აილენდერსი-ტორონტო 3:5**

**1:2, 1:0, 1:3**

**გოლები:** 0:1 კ. არმსტრონგი-7 (ბოისი-4, ტ. კაბერლე-33), 0:2 როუზილი-1 (შენი-11), 1:2 მოულსონი-19 (ტავარესი-22, პარენტო-20), 2:2 გრაბნერი-17 (მარტინეკი-6, ოკსოპო-3), 2:3 ტ. კაბერლე-3 (კ. არმსტრონგი-11, ბოისი-5), 2:4 კულემინი-20 (კესელი-16), 2:5 სიოსტრიომი-2 (კ. არმსტრონგი-12, ბოისი-6), 3:5 შრემპი-10 (იურჩინა-7, მარტინი-4).

**პიტსბურგი-კოლამბუსი 1:4**

**0:1, 0:2, 1:1**

**გოლები:** 0:1 ნეში-24 (ბრასარი-23, ვორაჩეკი-24), 0:2 პალსონი-5 (უმბერგერი-20, ჰეიდა-10), 0:3 ვორაჩეკი-10 (ნეში-22, ბრასარი-24), 1:3 ტაილერ კენედი-10 (რუპი-5, მარტინი-17), 1:4 ვერმეტი-13 (ჰუსელიუსი-8, უმბერგერი-21).

**ვაშინგტონი-სან ხოსე 0:2**

**0:0, 0:0, 0:2**

**გოლები:** 0:1 კუტური-24 (იგერი-9, ჰასკინსი-6), 0:2 დ. ბოილი-6 (ჰიტლი-27, სეტოგუჩი-9).

**ფლორიდა-სტ. ლუისი 1:2**

**1:0, 0:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ვიდემანი-8 (უეისი-22, ფროლიკი-21), 1:1 ბეკსი-18 (ენდი მაკდონალდი-11, ბოიესი-23), 1:2 დ'აგოსტინი-12 (სობოტკა-17, ჯეკმენი-9).

**ტამპა ბეი-ბაფალო 4:7**

**1:1, 2:1, 1:5**

**გოლები:** 1:0 ბერგენჰაიმი-9 (ლეკავალიე-17, ბ. კლარკი-14), 1:1 სტეფორდი-18 (ლეოპოლდი-19), 2:1 ლეკავალიე-10 (ჰედმანი-19), 3:1 ბერგენჰაიმი-10 (მელოუნი-23), 3:2 ვანეკი-20 (მ. უებერი-5), 3:3 ლეოპოლდი-11 (ენისი-17), 3:4 ტიმ კონოლი-8 (ენისი-18), 3:5 ვანეკი-21 (მაკორმიკი-8), 3:6 სტეფორდი-19 (შ. მორისონი-3, მ. უებერი-6), 3:7 სტეფორდი-20 (ლეოპოლდი-20, ვანეკი-26), 4:7 ლეკავალიე-11 (სენტ ლუისი-45, სტემკოსი-33).

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# დამარცხებული ფავორიტები

გარმიშ-პარტენკირხენში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღეს კაცებს შორის სუპერგიგანტში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა იტალიელმა **კრისტოფ ინერჰოფერმა**.

ამერიკელი **ლინდსი ვონის** მსგავსად, გუშინ მამაკაცებიც ჩიოდნენ სუპერგიგანტის ტრასის გამო - ისევ ყინული და განსაკუთრებული სპეციფიკა: თუ ტრასის ზედა ნაწილის სწრაფად და უშეცდომოდ გავლის შესაძლებლობა არსებობდა, შუა ნაწილში მოთხილამურეებს ბევრი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდათ. კერძოდ, დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ სპორტსმენები კარს აცდენილიყვნენ.

ასეთ პირობებში რამდენიმე ფავორიტს ხელი მოეცარა. სუპერგიგანტი ჩააგდეს **ტედ ლიგეტიმ** (კარი გამოტოვა), **მიხაელ ვალჰოფერმა** და **აქსელ ლუნდ სვინდალმა**; ზოგიერთს ცოტა დააკლდა პოდიუმამდე (**რაიხი, კუში, ბაუმანი**), ხოლო პუბლიკა გაართო საყოველთაოდ ცნობილმა ამერიკელმა **ბოდე მილერმა**. ის დიდი ხანი აუმჯობესებდა იმ მომენტისთვის საუკეთესო შედეგს, ერთხელ შეცდა, მაგრამ შეინარჩუნა ტემპი, მეორედ შეცდა და კინალამ დაეცა, თანაც ჯოხი დაკარგა. აქაც არ შეუწყვეტია გამოსვლა, მაგრამ ბოლოს კარი გამოტოვა და ბრძოლას გამოეთიშა. ნებისმიერ შემთხვევაში, ბოდე უნიკალური მოთხილამურეა.

ასეთ რთულ პირობებში იდეალური დაშვება აჩვენა კრისტოფ ინერჰოფერმა. იტალიელმა სტარტის წინ თქვა - ტრასის კონფიგურაცია ძალიან მაწყობს და ხუთეულში შესვლას ვგეგმავო. ინერჰოფერი არათუ ხუთეულში შევიდა, არამედ ოქროს მედალი მოიპოვა. მან ყველა საშუალედო ნიშნულზე გააუმჯობესა **ჰანეს რაიჰელტის** დრო. იტალიელი ჟურნალისტების გარდა ასეთ შედეგს არავინ ელოდა, ამიტომაც გაკვირვებას ვერავინ მალავდა.

თავად რაიჰელტის პოდიუმს კი ბევრი წინასწარმეტყველებდა. ალბათ, გახსოვთ, რომ ამ ავსტრიელმა მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპზე შესანიშნავი ფორმა აჩვენა, თანაც გარმიშის ტრასა ძალიან ჰგავდა ავსტრიული ჰინტერშტოდერის ტრასას.

რაც შეეხება მსოფლიოს თასის ლიდერ **ივიცა კოსტელიჩს**, ვეტერანი ხორვატი წელს შეუდარებელია. სუპერგიგანტში მას ფავორიტად ცოტა ვინმე თუ ასახელებდა, კოსტელიჩმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რითაც საუკეთესო სპორტული ფორმა დაადასტურა. შესაბამისად, ხორვატი თავის საყვარელ დისციპლინებში - სუპერკომბინაციასა და სპეციალურ სლალომში უმთავრეს ფავორიტად განიხილება.

ახლა ჩემპიონატში ერთდღიანი შესვენებაა, პარასკევს კი ქალების სუპერკომბინაციაა დაგეგმილი, სადაც ადგილობრივი გულშემატკივრები **მარია რიშის** ტრიუმფს მოელიან.

**სუპერგიგანტი**

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | კრისტოფ ინერჰოფერი (იტა) | 1:38.31 |
| 2. | ჰანეს რაიჰელტი (ავსტრია) | +0.60 |
| 3. | ივიცა კოსტელიჩი (ხორ) | +0.72 |
| 4. | დიდიე კუში (შვეიცარია) | +1.03 |
| 5. | ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | +1.34 |
| 6. | რომედ ბაუმანი (ავსტრია) | +1.48 |
| 7. | კარლო იანკა (შვეიც) | +1.72 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლიბია-ბენინი | 3:2 |
| ტანზანია-პალესტინა | 1:0 |
| მალაიზია-ჰონგ კონგი | 2:0 |
| მოზამბიკი-ბოტსვანა | 1:1 |
| კონგო-გაბონი | 0:2 |
| მოლდოვა-ანდორა | 2:1 |
| სან მარინო-ლიხტენშტაინი | 0:1 |
| ბელარუსი-ყაზახეთი | 1:1 |
| საბერძნეთი-კანადა | 1:0 |
| ბოლივია-ლატვია | 1:2 |
| რუსეთი-ირანი | 0:1 |
| მაკედონია-კამერუნი | 0:1 |
| ხორვატია-ჩეხეთი | 4:2 |
| აზერბაიჯანი-უნგრეთი | 0:2 |
| სვაზილენდი-ზამბია | 0:4 |
| ისრაელი-სერბეთი | 0:2 |
| ნიგერია-სიერა ლეონე | 2:1 |
| თურქეთი-ს. კორეა | 0:0 |
| კვიპროსი-რუმინეთი | 1:1 პენ. 4:5 |
| შვედეთი-უკრაინა | 1:1 პენ. 4:5 |
| ს. აფრიკა-კენია | 2:0 |
| ალბანეთი-სლოვენია | 1:2 |
| ბულგარეთი-ესტონეთი | 2:2 |
| დანია-ინგლისი | 1:2 |
| ლუქსემბურგი-სლოვაკეთი | 2:1 |
| ბელგია-ფინეთი | 1:1 |
| ჰოლანდია-ავსტრია | 3:1 |
| მალტა-შვეიცარია | 0:0 |
| ნორვეგია-პოლონეთი | 0:1 |
| გერმანია-იტალია | 1:1 |
| შოტლანდია-ჩრ. ირლანდია | 3:0 |
| არგენტინა-პორტუგალია | 2:1 |
| საფრანგეთი-ბრაზილია | 1:0 |
| მაროკო-ნიგერი | 3:0 |
| ესპანეთი-კოლუმბია | 1:0 |

**Under 21**

| | |
|---|---|
| რუსეთი-უკრაინა | 3:0 |
| ფინეთი-ესტონეთი | 4:1 |
| კვიპროსი-ირლანდია | 0:0 |
| ისრაელი-სერბეთი | 0:1 |
| სლოვენია-ხორვატია | 1:1 |
| შვეიცარია-უკრაინა | 1:1 |
| თურქეთი-რუმინეთი | 1:0 |
| საბერნეთი-გერმანია | 0:0 |
| ჰოლანდია-ჩეხეთი | 0:1 |
| პორტუგალია-შვედეთი | 3:1 |
| უელსი-ჩრ. ირლანდია | 2:0 |

**Under 20**

| | |
|---|---|
| გერმანია-იტალია | 3:1 |
| ინგლისი-საფრანგეთი | 1:2 |

**Under 19**

| | |
|---|---|
| რუსეთი-უკრაინა | 1:0 |
| სლოვაკეთი-შვედეთი | 2:1 |
| საბერძნეთი-შვეიცარია | 3:1 |
| საფრანგეთი-ჰოლანდია | 1:1 |
| ნორვეგია-პორტუგალია | 1:1 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| ულინი-ტრნჩინი | 3:0 |
| ჰორსენსი-მიდტიულანდი | 1:2 |
| დინამო (მ)-რადი | 2:1 |
| კლუჟი-ლიტექსი | 3:2 |
| ბოხუმი-კიოლნი | 2:1 |
| ვესტსილანდი-ოდენსე | 2:3 |
| ლევსკი-ტეპლიცე | 2:1 |
| ჰიორინგი-ოლბორგი | 0:2 |
| ჰიონეფოსი-ასკერი | 0:0 |
| მიოლდე-ჰიოდი | 3:0 |
| თუნი-არაუ | გადაიდო |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალენი-ჰანზა | 0:2 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-პარტიკი | 2:0 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| სიდნეი-ველინგტონი | 2:0 |
| გოლდ კოუსტი-სენტრალი | 1:3 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პაოკ | 89:61 |
| არისი-პანათინაიკოსი | 74:70 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ეფესი-ბეშიქთაში | 55:57 |
| ტრაბზონი-ალიაგა | 72:62 |

**ჩოგბურთი**

**ATP. კოშტა დე საუპი**

| | |
|---|---|
| დოლგოპოლოვი-რ. იდალგო | 7:5, 6:4 |
| მაშადო-ვოლანდრი | 6:2, 6:1 |
| სტარაჩე-ლ. მაიერი | 6:4, 7:6 |
| მონტანიესი-მელო | 3:6, 3:6 |

**ATP. როტერდამი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-გრანოლერსი | 6:2, 7:6 |
| ფ. მაიერი-ფ. ლოპესი | 3:6, 4:6 |
| სიმონი-პერი | 2:6, 6:2, 3:6 |
| ცონგა-ლოდრა | 4:6, 6:4, 6:4 |
| მელცერი-ჩილიჩი | 2:6, 4:6 |
| მიურეი-ბაღდატისი | 4:6, 1:6 |
| ტროიცკი-ნიემინენი | 7:6, 7:5 |

**ATP. სან ხოსე**

| | |
|---|---|
| კარლოვიჩი-სვიტინგი | 6:4, 6:4 |
| ბერანკისი-იანგი | 6:4, 5:7, 7:5 |

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| პეტკოვიჩი-კერბერი | 7:5, 3:6, 6:2 |
| ვიკმაიერი-ვესნინა | 7:6, 6:2 |
| კორნე-არვიდსონი | 2:6, 6:7 |
| პეტროვა-რაზანო | 6:1, 6:3 |
| კლაისტერსი-ბაროისი | 4:6, 6:2, 6:0 |
| ციბულკოვა-ოუდინი | 6:4, 7:6 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| კირილენკო-ვოსკობოევა | 6:1, 5:7, 4:6 |
| პენგი-ბალტაჩა | 2:6, 6:1, 6:4 |
| ივანოვიჩი-კრეიბასი | 4:6, 6:1, 7:5 |
| ვინჩი-ჟანჭი | 7:5, 6:1 |

TV პროგრამა

**10 თებერვალი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**18:40** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. დინამო-სკავოლინი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**22:25** ჰოკეი. ევროტური. შვედეთი-ჩეხეთი. შვედეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**06:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-გოლდე სტეიტი (LIVE).

**SPORT+**

**20:50** ჰოკეი. ევროტური. რუსეთი-ფინეთი. შვედეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**17:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**20:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ფორტ კენტი. აშშ (LIVE).
**20:55** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**16:00** ველოსპორტი. კატარის ტური. IV ეტაპი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**22:15** ბალახის ჰოკეი. მსოფლიოს თასი. ქალები. პოლონეთი-ურუგვაი. პოლონეთი (LIVE).
**23:00** ბალახის ჰოკეი. მსოფლიოს თასი. კაცები. პოლონეთი-გერმანია. პოლონეთი (LIVE).

კრივი

# პაკმენს ტიტული ჩამოართვეს

ფილიპინელ მოკრივეს **მენი პაკიაოს** 69.9-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ მსოფლიოს საკრივო საბჭოს დირექტორთა საბჭომ. ასე რომ, ახლა აზიელ მოკრივეს მხოლოდ 66.7 კილოგრამში WBO-ის საჩემპიონო ქამარი ამშვენებს.

WBO-ის ტიტულს „პაკმენი“ 2009 წლის ნოემბრიდან ფლობს, როცა ქულებით დაამარცხა პუერტორიკოელი **მიგელ ანხელ კოტო**. 2010 წლის ნოემბერში ფილიპინელმა ერთი კატეგორიით ზემოთ აინაცვლა და 69.9 კილოგრამში WBC-ის ვაკანტური ტიტულისთვის მექსიკელ **ანტონიო მარგარიტოს** მოუგო.

WBC-ის წესების თანახმად, ორ წონით კატეგორიაში ქამრის მფლობელმა მოკრივემ 15 დღის განმავლობაში ერთ-ერთს უნდა მიანიჭოს უპირატესობა. პაკიაომ თავად თქვა უარი WBC-ის ტიტულზე - მან განაცხადა, რომ აღარ სურს 69.9 კილოგრამში ჩხუბი. ამის შემდეგ WBC-მა ოფიციალურად ჩამოართვა ჩემპიონობა მენის.

ახლა WBC-ის ეს ტიტული ვაკანტური გახდა. მის მოსაპოვებლად საჩემპიონო ბრძოლა გაიმართება, რომლის ერთი მონაწილე უკვე ცნობილია. ეს არის 20 წლის მექსიკელი პრეტენდენტი **საულ ალვერასი**. მისი მეტოქის ვინაობა უახლოეს ხანში გამოცხადდება.

რაც შეეხება პაკიაოს, თავის მომდევნო ბრძოლას ის 7 მაისს ამერიკელი **შეინ მოზლის** წინააღმდეგ გამართავს. ამ ბრძოლაში პაკმენი სწორედ WBO-ის ტიტულს დაიცავს 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ქველმოქმედები

# ღამე ამელისთან

ცნობილმა ჩოგბურთელებმა და სპორტულმა ფუნქციონერებმა მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო საღამოში - „ღამე ამელისთან". ღონისძიება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **ამელი მორესმოს** მიერ იყო ორგანიზებული. ამელი ამ კვირას მიმდინარე პარიზის ტურნირის თანადირექტორი გახლავთ.

საჩვენებელ მატჩში მონაწილეობდნენ წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი **იანიკ ნოა** და მსოფლიოს მეორე ჩოგანი **კიმ კლაისტერსი**. ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა ბოლო მომენტში შეცვალა რეჟისორი და მსახიობი **პასკალ ელბე**. წყვილში კლაისტერსმა და ნოამ მორესმოსა და მსახიობ **მიშელ ლაროკის** წინააღმდეგ ითამაშეს.

გარდა ამისა, საქველმოქმედო აქციის რანგში გაიმართა საჩოგბურთო მატჩი სახელგანთქმულ ფრანგ ფეხბურთელ **ჟან-პიერ პაპენსა** და მუსიკოს **ბობ სინკლერს** შორის. საქველმოქმედო პროგრამის ბოლოს მორესმო **ფაბრის სანტოროსთან** დუეტში **ანრი ლეკონტისა** და **მანსურ ბაჰრამის** წყვილს დაუპირისპირდა.

როგორც პარიზის ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, აქციის დროს დაახლოებით 80 ათასი ევრო შეკრიბეს. ეს თანხა გადაირიცხება ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშზე, სადაც მეცნიერები ონკოლოგიურ დაავადებათა ბრძოლის მეთოდებზე მუშაობენ.

# სერენა მაიამის განაცხადშია



სერენა კარგ ხასიათზეა

გუშინ ცნობილი გახდა მაიამის უმაღლესი კატეგორიის ტურნირის - Sony Ericsson Open-ის მონაწილე მამაკაცი და ქალი ჩოგბურთელების სია. კაცების ძირითად ბადეში ჯერჯერობით 77 მოთამაშეა, ქალებში - 74. ტურნირი 21 მარტს დაიწყება.

გარდა ამისა, ორივე ბადეში მოხვდება კვალიფიკაციის გამარჯვებული 12-12 ჩოგბურთელი. და კიდევ - ორგანიზატორები მამაკაცებს ხუთ, ქალებს კი რვა უაილდ-ქარდს შესთავაზებენ - წერია ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მთავარი სიახლე ის არის, რომ Sony Ericsson Open-ის მონაწილეთა შორისაა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**, რომელიც ფეხის ტრავმის გამო ზაფხულიდან ვერ ახერხებს კორტზე გასვლას. უფრო ადრე უმცროსმა უილიამსმა დაადასტურა კომპანია „ნაიკის" მიერ ორგანიზებულ საჩვენებელ ტურნირში მონაწილეობა. ეს შეჯიბრება 8 მარტს გაიმართება.

*„გაზაფხულზე ისევ მხიარულება იქნება. იმედია, კორტზე დათქმულ ვადებში დავბრუნდები. ახლა ჩემი მდგომარეობა სწრაფად უმჯობესდება და მარტისთვის მზად ვიქნები დასაბრუნებლად. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ.*

*ჯერ კიდევ ბევრის მიღწევა მინდა ჩოგბურთში - ტიტულების მოპოვება ძალიან მომწონს. ყველაზე მეტად კი წყვილებში საკუთარ დასთან ერთად თამაში მხიბლავს. ვფიქრობ, გაზაფხული დაბრუნებისთვის შესანიშნავი დროა"*, - განაცხადა სერენამ.

კალათბურთი

# ოლ სტარზე რიანა იმღერებს



რიანა

NBA-ის „ყველა ვარსკვლავის უქმეების" ორგანიზატორები გრანდიოზულ შოუს გვპირდებიან. გასართობი პროგრამის მთავარი მოვლენა იქნება Grammy-ის მფლობელების - **რიანასა** და **ლენი კრავიცის** გამოსვლა. ისინი მაყურებელს საკუთარ ჰიტებს შესთავაზებენ.

კრავიცი გუნდების სასტარტო შემადგენლობების წარდგენისას შეასრულებს კომპოზიციას - Come on Get it. ამას მოჰყვება ამერიკის ეროვნული ჰიმნი **ჯოშ გრობანის** შესრულებით.

რიანა კი პუბლიკას უქმეების მთავარი მატჩის შესვენებაზე გაართობს. ის ორ სიმღერას (Only Girl (In the World) და What's My Name) შეასრულებს.

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# სენსაცია და მცირე მოულოდნელობები



დოკიჩი დაბრუნებას ცდილობს

მეორე დღის მიმოხილვა როტერდამის ტურნირით უნდა დავიწყოთ, სადაც ყველაზე ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი. თავდაპირველად გამოვყოფთ მატჩს განთესვის ლიდერის მონაწილეობით. შვედი **რობინ სიოდერლინგი** ჰოლანდიელ **რობინ ჰაასეს** ხვდებოდა, რომელიც აქ სპეციალური მიწვევით თამაშობდა. ჰაასემ მეტოქეს მხოლოდ ეისების რაოდენობით (11 8-ის წინააღმდეგ) აჯობა. ეს იყო და ეს. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა ჰაასეს და იოლად გაიკვლია გზა მეორე წრეში.

მთავარი სენსაცია გახდა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტის, ესპანელი **დავიდ ფერერის** მარცხი ფინელ **იარკო ნიემინენთან**. აღსანიშნავია, რომ ფერერმა შარშანდელი აგვისტოს შემდეგ პირველად წააგო ATP-ის ტურნირის პირველ წრეში. სკანდინავიელი უბრალოდ უკეთ თამაშობდა, თანაც ესპანელს პირველმა მოწოდებამ უღალატა.

მესამე ფავორიტ **ტომაშ ბერდიხს** პრობლემა არ ჰქონია ესპანელი **გილერმო გარსია-ლოპესის** წინააღმდეგ. 55 წუთი ისე გაილია, რომ ჩეხის მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუღია.

კარგად ითამაშა მოწოდებაზე ფრანგმა ჟო-ვილფრიდ ცონგამ. მას 11 ეისი დაუგროვდა ახალგაზრდა ბულგარელის **გრიგორ დიმიტროვის** წინააღმდეგ. იუნიორთა შორის უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა ვერაფერი მოახერხა ცონგას გეიმებზე და შესაბამისად, ვერც ღირსეული ბრძოლა გაუმართა უფრო გამოცდილ მეტოქეს.

სან ხოსეს ტურნირში მოულოდნელად რამდენიმე განთესილი გამოეთიშა ბრძოლას. ახალგაზრდა ჩოგბურთელები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მაგალითად, ლიტველმა **რიკარდას ბერანკისმა** მეექვსე ნომერი **ბენჯამინ ბეკერი** დაამარცხა. თანაც, ბალტიისპირელი მოულოდნელად ძლიერად გამოიყურებოდა მოწოდებისას და მეტოქეს ეისების რაოდენობითაც კი აჯობა (7:6). თუმცა რთული სათქმელია, რა შედეგით დასრულდებოდა შეხვედრა, ბეკერს შვიდი ბრეიკ-პოინტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა.

ასევე გავიდა შემდეგ წრეში კიდევ ერთი ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშე **მილოშ რაონიჩი**, თუმცა ამ კანადელის მიღწევები აღარავის უკვირს. რაონიჩმა 20 ეისი ჩაუწოდა **ქსავიე მალისეს**, რომელმაც ძალიან სუსტად ჩაატარა შეხვედრა - მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ისიც ვერ გამოიყენა.

დღის ბოლოს საყოველთაო ყურადღება იყო მიპყრობილი აშშ-ის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონის **ხუან მარტინ დელ პოტროს** მიმართ. არგენტინელი კვლავაც ვერ ახერხებს ტრავმის შემდეგ პროფესიულ ტურში სრულფასოვან დაბრუნებას. ამჯერად დელ პოტრომ იოლად გაიარა რუსი **თეიმურაზ გაბაშვილის** ბარიერი. მთელი მატჩის განმავლობაში არგენტინელი ერთხელ მოდუნდა და ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მისცა მეტოქეს, მაგრამ გაბაშვილმა ეს შანსი ვერ გამოიყენა, თავად დელ პოტრომ კი სამჯერ აიღო რუსის მოწოდება. თამაში საათსა და 18 წუთს გაგრძელდა.

მეორე წრეში ხუან მარტინს სლოვაკი **ლუკაშ ლაჩკო** ელის, რომელიც სან ხოსეში დღის მთავარი მოულოდნელობის ავტორი გახდა. მან ორ სეტში დაამარცხა მესამე ნომერი, მასპინძელი **სემ კუერი**. აღსანიშნავია, რომ ლაჩკომ კარიერაში პირველად მოუგო რეიტინგის საუკეთესო ოცეულის წარმომადგენელს.

■ ■ ■

ქალების მიმოხილვა პარიზის ტურნირით დავიწყოთ, სადაც დიდ ინტერესს იწვევდა ბალტიისპირული დერბი **კაია კანეპისა** და **ანასტასია სევასტოვას** შორის. ესტონელმა კანეპიმ 72 წუთში მოუგო ლატვიელ მეზობელს. არადა სევასტოვამ ამ მატჩში ცხრა ეისი ჩააწოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა უფრო გამოცდილი მეტოქის დასამარცხებლად. აღსანიშნავია, რომ ლატვიელს ცხრავე ეისი პირველ სეტში ჰქონდა.

დელ პოტროს მსგავსად დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას ცდილობს ავსტრალიელი **ელენე დოკიჩი**. მან აქ კვალიფიკაცია გაიარა და ისე მოხვდა ძირითად ბადეში, ამის შემდეგ კი დღის მთავარი მოულოდნელობა შემოგვთავაზა - ტურნირს გამოთიშა ჩეხი **ლუსი საფაროვა**. დოკიჩს ჯამში 19 (!) ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ სამი გამოიყენა და ამიტომაც სამივე სეტის თამაში გახდა საჭირო. ბოლოს მაინც უფრო იღბლიანი დოკიჩი აღმოჩნდა.

**ATP**

**ABN AMRO World Tennis**

როტერდამი (ჰოლ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 150 000 ევრო

**I წრე**

**ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:4, 7:6; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:3, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 7:6, 6:3; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 6:4, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 3) 6:3, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:1, 6:2; **ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:4, 0:6, 6:1.

**SAP Open**

სან ხოსე (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 531 000 დოლარი

**I წრე**

**კეი ნიშიკორი (იაპ, 8)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:1, 7:6(6); **ბრაიან დაბული (არგ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:4, 6:3; **რიკარდას ბერანკისი (ლიტ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ, 6) 6:3, 7:6(2); **მილოშ რაონიჩი (კან)**-ქსავიე მალისე (ბელ, 4) 6:3, 6:4; **ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ)**-სემ კუერი (3) 7:6(6), 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:3, 6:2.

**Brasil Open**

კოშტა დო სოიპე (ბრაზილია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 442 500 დოლარი

**I წრე**

**რიკარდო მელო (ბრა)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:4, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 5)**-როჟერიო დუტრა და სილვა (ბრა) 6:7(4), 7:6(4), 6:3; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-ანდრე გემი (ბრა) 6:4, 6:3; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ედუარდო შვანკი (არგ) 6:7(5), 7:5, 7:6(2); **რუი მაშადო (პორ)**-ფაკუნდო ბანისი (არგ) 6:4, 6:2; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 4:6, 6:4, 7:6(2); **ტომი რობრედო (ესპ, 6)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:3, 6:7(4), 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 7)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:4, 5:7, 6:4.

**WTA**

**Open GDF Suez**

პარიზი (საფრანგეთი): ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 618 000 დოლარი

**I წრე**

**კაია კანეპი (ესტ, 3)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 7:6(5), 6:2; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-ვესნა მანასიევა (რუს) 7:5, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 8)**-ანა ვრილიჩი (ხორ) 6:0, 6:2; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ტიმეა ბაშინსკი (შვეიც) 6:3, 6:3; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:0, 6:3; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:6(5), 6:3; **მელანი ოუდინი (აშშ)**-ვერა დუშევინა (რუს) 7:5, 5:7, 6:2; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 4:6, 6:3, 6:4; **კრისტინა კუკოვა (სლოვაკ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 4:6, 6:3, 7:6(1).

**PTT Pattaya Open**

პატაია (ტაილანდი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**I წრე**

**ვერა ზვონარევა (რუს, 1)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:4, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ, 2)**-ნუდნიდა ლაუნგნანი (ტაილ) 6:0, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 4)**-კურუმი ნარა (იაპ) 6:2, 6:1; **რობერტა ვინჩი (იტა, 5)**-ქსენია პალკინა (ყირ) 6:1, 6:3; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 7) 6:4, 7:6(6); **სარა ერანი (იტა, 8)**-კაი ჩენ ჩანი (ტაივ) 4:6, 6:2, 6:4; **კიმიკო დატე (იაპ)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:2, 6:2; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-ნიჩა ლერტპიტაკშინჩაი (ტაილ) 6:2, 6:3; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:3, 6:2; **ჩენელ სხეპერსი (ს. აფრკ)**-ტატიანა მალეკი (გერ) 7:6(4), 6:2; **გალინა ვოსკობოევა (ყაზ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 4:6, 6:3, 7:5; **ნუნადა ვანასუკი (ტაილ)**-ზარინა დიასი (ყაზ) 6:4, 6:4.

# პიტმა კინაღამ მოიგო



სამპრასი კარგ ფორმაშია

სან ხოსეს ტურნირში ყველაზე გვიან ჩაება მსოფლიოს მე-12 ჩოგანი, ფრანგი **გაელ მონფილსი**, თუმცა მას სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა არ ჰქონია. გაელმა საჩვენებელი მატჩი გამართა „დიდი სლემის" 14-გზის ჩემპიონ **პიტ სამპრასის** წინააღმდეგ.

არ არის გასაკვირი, რომ მონფილსმა ორ სეტში მოუგო ამერიკელ ლეგენდას, მაგრამ ანგარიშიდანაც ჩანს, რომ მატჩს მეტად დაძაბული განვითარება ჰქონდა. კერძოდ, 39 წლის სამპრასმა პირველ სეტში ოთხი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და საბოლოოდ ტაი-ბრეიკი 4:7 წააგო. მეორე პარტიაში კი პიტი ბრეიკით იყო წინ - 3:2, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, ორი საკუთარი მოწოდება და მასთან ერთად მატჩიც დათმო - 6:7, 4:6.

თამაში 79 წუთი გრძელდებოდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა